# საერთო გაზეთი

№39 (351) • 9 დეკემბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## კობა არაბული:

რა „დააშავა“ ივანიშვილმა ანუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველოში ღირსეული მამულიშვილი, რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ ან საკუთარი ქვეყნიდან არ გააძევონ?

## რამაზ საყვარელიძე:

სააკაშვილმა კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლი ამოიღო... აი, ამის მწარე შედეგს ვიმკით დღეს ქართულ მედიაში





## ტრისტან წითელაშვილი:

სააკაშვილი „ისლამურ სახელმწიფოს“ ტერორისტებით ამარაგებს, რომლებსაც უკრაინაში სპეციალურ ბაზაზე წვრთნიან

## „თბილისის ომიდან“ 23 წელი გავიდა...



## ქაოსი, რომელიც შეიძლება დიდ მსოფლიო კატასტროფაში გადაიზარდოს



## „ანანერბე“



**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთის“ დღევანდელ ნომერში იბეჭდება ინტერვიუ ბატონ რამაზ საყვარელიძესთან, რომლის წაკითხვის შემდეგ ქართულ ჟურნალისტიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები სულ სხვანაირად დავინახე, ვიდრე ეს კონკრეტული პერსონების კრიტიკა და მათთან დავა, მათ წინააღმდეგ ბრძოლა, გნებავთ, მათთვის მორალის კითხვა და მათი ხელხლა აღზრდის მცდელობაა.

ბატონი რამაზის აზრით, ამ პრობლემის თავი და თავი ის კანონებია, რომლებიც სააკაშვილმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა და რომელთა შეცვლაზე ჯერჯერობით არავის უფიქრია.

საუბარია კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლის ამოღებაზე, რომელმაც საშუალება მისცა სააკაშვილს და მის გუნდს ცილისწამებების ნიაღვარი მიემართათ თავიანთი ოპონენტების მისამართით, პასუხი კი არაფერზე ეგოთ.

ამ ავანტიურისტული მემკვიდრეობის მძევალია დღეს ჩვენი საზოგადოება მთლიანად და მისი თითოეული წევრი ცალ-ცალკე.

სწორედ ეს ავანტიურისტული მემკვიდრეობა ქმნის იმ ნოყიერ ნიადაგს, საიდანაც ეს „ქილერი ჟურნალისტები“ აღმოცენდებიან ხოლმე, რომლებიც ქვეყანას შხამით და ლენცოფით წამლავენ.

კარგად თუ დავფიქრდებით, ასეთ ადამიანებთან ბრძოლა ისევ და ისევ მათნაირების წისქვილზე ასხამს წყალს და მათ უბადრუკ არსებობას გარკვეულ სტატუსს და ლეგიტიმურობას ანიჭებს.

პროვოკატორი-კალმოსნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი და ამოცანა ისიც არის, რომ წონასწორობიდან გამოგიყვანონ, მათივე ლექსიკით აგამეტყველონ, მათივე უზნეო მეთოდები გამოგაყენებინონ იარაღად, რომ ამით დაგიმსგავსონ და თავისნაირი გაგხადონ.

რაც უფრო მეტი ასეთი შხამოსან-კალმოსანი იქნება ქვეყანაში, მით უფრო კარგი მათთვის, მით უფრო კარგი მათი შავბნელი საქმიანობისთვის და მით უფრო ცუდი იმ სახელმწიფოსთვის, სადაც ბევრი, ბევრი ასეთნაირი დათარეშობს, ხოლო კანონი, რომლითაც მათი თარეშის აღკვეთა იქნებოდა შესაძლებელი, უბრალოდ, არ არსებობს — ის სატანასთან წილნაყარმა სააკაშვილმა გააქრო და განგვაიარაღა, რომ არამზადებმა ფეხქვეშ გაგვიგდონ და როგორც უნდათ, ისე თელონ სახელმწიფო და ხალხი.

თითქოსდა, საიდან სადაო, მაგრამ ამ რეპლიკის წერისას, ჩემდაუნებურად, ალენ დალესის დოქტრინის ის მუხლი გამახსენდა, სადაც დალესი თავის სულიერ მემკვიდრეებს ინსტრუქციას აძლევს, როგორ იმოქმედონ, როგორ დათრგუნონ და როგორ დააბეჩავონ ადამიანები.

— დააბრალე ნებისმიერი რამ, დააბრალე ყველანაირი საზიზღრობა და სიბინძურე. დაე, თავი იმართლონ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი დამარცხდნენ — ასეთია შინაარსი დალესის იმ მზაკვრული ინსტრუქციისა.

რასაც დალესის იდეური მემკვიდრეები აკეთებენ, არა მარტო ცალკეულ მოქალაქეებს, არამედ მთელ საზოგადოებას, თვით სახელმწიფოს უსაფრთხოებას უქმნის სერიოზულ პრობლემებს.

ცილისმწამებლური ჟურნალისტიკა სინდრომია, მეტასტაზია და მისი შეჩერება და გაუვნებელყოფა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია და შეუძლია მარტივად — კანონმდებლობაში ცილისწამებისთვის მუხლის აღდგენით.

თუ ამას არ გავაკეთებთ, როგორც ზემოთ ვთქვი, ამ პროვოკატორებთან ბრძოლა და მით უმეტეს, მათივე ხერხებით და მეთოდებით ბრძოლა, კიდევ ახალ-ახალ პროვოკატორებს აღმოაცენებს და როცა ისინი ძალიან, ძალიან ბევრნი იქნებიან, უცებ აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფო, რომლის აშენებას ვცდილობდით და რომელსაც გარეგნულად რაღაც ფორმა და სახე მივეცით, შიგნიდან პროვოკატორი მჯღაბნელების მიერ არის გამოღრღნილი და გამოხრული...

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:**

**— ბატონო რამაზ, „რუსთავი2-ის“ გულშემატკივრებს თუ დავუჯერებთ ქვეყნის მომავალი, ვიზა ლიბერალიზაცია, დემოკრატია, თავისუფალი სიტყვის დაცვა სწორედ ამ ერთ ტელე-არხზე ყოფილა დამოკიდებული. ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა კი ყოფილი პრემიერის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. რა ხდება ქართულ მედია-სივრცეში? ხელისუფლების წინააღმდეგ საბოტაჟის მცდელობას ხომ არ აქვს ადგილი?**

— საბოტაჟი, მეტისმეტად, ძლიერი ფორმულირებაა, თუმცა ხელისუფლების მიმართ, რაღაც აშკარად ხდება. კერძოდ, ჟურნალისტებს, ძალიან ხშირად, ასეთი პათოსი აქვთ — ჟურნალისტიკა დემოკრატიის მოდარაჯე ძაღლია და როგორც კი რამეს შენიშნავენ ყეფა უნდა დაიწყონ. ამიტომ, პრაქტიკულად, თითქმის ყოველთვის უფრო კრიტიკულნი არიან, ვიდრე ამას სიტუაცია ითხოვს. პრობლემები მრავლადაა. ინტერვიუმდე, თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველოში პუბლიცისტიკა აღარაა. ახლა, ჩვენთან უამრავი ექ-

ნელი ჟურნალისტიკა როგორ შეიძლება ჟურნალისტიკა იყოს. მახსენდება, ჩუქჩაზე ანეკდოტი — მე მწერალი ვარ და არა მკითხველიო. თუ ჟურნალისტი თვლის რომ მარტო კითხვის დამსმელია და არა პასუხის მომსმენი, ეს საინტერესო აღარაა. მახსოვს, ზვიად გამსახურდიასთან ინტერვიუს ჩასაწერად ბალტიისპირელი ჟურნალისტი იყო ჩამოსული. ეს კაცი თითქმის არ იღებდა ხმას, მარტო მაშინ სვამდა კითხვას, როცა ზვიადი ჩერდებოდა, მანამდე ყურადღებით უსმენდა. ეს არ იყო სკანდალური კითხვები, მაგრამ რესპონდენტი ისეთი ასპექტით დაგვანახა, რომლის მსგავსი გამსახურდია ჩვენ არ გვინახავს. ესაა ჟურნალისტიკა. თავისი სიტყვაძუნწობით იგი გაცილებით უფრო მაღალი რანგის ჟურნალისტი გამოჩნდა, რესპონდენტს დიდი ასპარეზი გაუხსნა და მისი სახე დაგვანახა. ეს ხელოვნებაა, რაც დღეს ძალიან შემცირდა. ზოგ ჟურნალისტს ჰგონია, რომ ინტერვიუ საკუთარი პოზიციის წარ-

ბრძოლა უწევდა, პოზიცია ჰქონდა და გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე დღესაა. პოზიცია ჟურნალისტს თავისთავად აძლევს იმ ემოციურ მუხტს, რომლითაც იგი უფრო საინტერესო საყურებელი თუ საკითხავია. უპოზიციო ჟურნალისტიკა მოსაწყენია. ამდენად, ძალიან ხშირად, იმისთვის რომ ეს პოზიცია შეიქმნას, ყველაზე ადვილიდან იწყებენ — მოდი ხელისუფლებას ვუკბინოთ. ეს არაა საკმარისი იმიტომ, რომ რაღაც ეტაპის მერე, მომაბეზრებელი ხდება. თუკი ის



## რამაზ საყვარელიძე:

# სააკაშვილმა კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლი ამოიღო... აი, ამის მწარე შედეგს ვიმკით დღეს ქართულ მედიაში

სპერტი გაჩნდა, რაც ღიმილისმომგვრელია იმიტომ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ამა თუ იმ სფეროში, ექსპერტი თვითონ ჟურნალისტია. სულ ვკითხულობ რატომ თავად არ მსჯელობენ, შეფასებებს არ აკეთებენ თუნდაც, პოლიტიკაზე. პოლიტიკური ჟურნალისტიკა უზარმაზარი თემაა. რატომღაც ითვლება, რომ ექსპერტის აზრი უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ჟურნალისტის. ამ დროს სემანტიკაში არანაირი განსხვავება არაა. მაგალითად, მე, თავს პოლიტიკის ექსპერტად არ ვთვლი, ფსიქოლოგი ვარ და რამდენადაც პროფესიული განათლება შესაძლებლობას მაძლევს, ვმსჯელობ. ჟურნალისტებს პოლიტიკის გარდა არაფერი აინტერესებთ. ჟურნალისტიკიდან გაქრა ჟანრები — პუბლიცისტიკა, ანალიტიკა, მაღალი ხარისხის ჟურნალისტური გამოძიება და ა.შ. ფაქტობრივად, მთელი ჟურნალისტიკა ახალ ამბებზე და ინტერვიუებზეა გადასული.

თუმცა, ინტერვიუ ურთულესი ჟანრია. მაგრამ ჟურნალისტების დიდი ნაწილი მოულოდნელი კითხვის დასმას ვერ ახერხებს. ზოგ მათგანს ჩამოწერილი აქვს კითხვები და გრძნობ, რომ არ გისმენს, თხრობას რომ ჩაათავებ მერე პირდაპირ დასვამს იმ კითხვას, რაც მეორე ნომრად უწერია. ანუ, მოუსმე-

მოჩინების საშუალებაა, დაალაგებსხოლმე ჭარბსიტყვიან კითხვას და ბოლოში მეკითხება, სწორია? — მეც ვპასუხობ, დიახ ან არა და მორჩა. ახლა, მოდაშია, რომ ჟურნალისტს პოლიტიკური ორიენტაცია არ უნდა ჰქონდეს. რას ნიშნავს ეს? ისიც ხომ ადამიანია. პირიქით, ჟურნალისტი თავისი პოლიტიკური ორიენტაციითაა საინტერესო. ამი-



ტომ, ეს დარგები ძალიან ღარიბად გამოიყურება. იმ ფონზე, როცა საჭიროა პოზიცია და არ ჩანს, რა თქმა უნდა, „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტები უფრო პროფესიონალურად გამოიყურებიან იმიტომ, რომ მათ პოზიცია აქვთ (სწორი თუ მცდარი, ეს სხვა საკითხია) და სწორედ, ეს აიძულებთ უფრო მობილურები იყვნენ. გაიხსენეთ, როცა „მაესტროს“ სააკაშვილის რეჟიმთან

ხელისუფლება მოსახლეობისთვის ისე მომაბეზრებელი არაა როგორც ჟურნალისტი აღწერს, მის სიტყვას ფასი ეკარგება. ამიტომ, ჟურნალისტი მოსახლეობის განწყობილებას უნდა გრძნობდეს, მათ შორის, მაშინაც, როცა ხელისუფლებას აკრიტიკებს. ესენი პირდაპირ მიდიან და ინტერვიუს მინისტრისგან იღებენ, რომელიც გაპრიალებული სიტყვებით ლაპარაკობს. რა საჭიროა ეს? ეს ხომ არაფრის მომცემია. ანუ, მომხმარებლის იაფფასიანი ხერხებით მოზიდვა ხდება. აღარაფერს ვამბობ მეტყველების სტილზე, აზრისა და ტექსტის ურთიერთობაზე, ქართველის ქართველობაზე და ა.შ. მაგრამ არის კიდევ სხვა პრობლემები: ჟურნალისტიკა თუკი მხოლოდ მკითხველზე ანუ, გაყიდვაზე იქნება ორიენტირებული, ის, რა თქმა უნდა, მკითხველის დონეზე დავა. დღეს ამ დონის ჟურნალისტიკა იმიტომ გვაქვს, რომ საზოგადოებაც იმავე დონისაა. აქ, განათლების მიმართ დამოკიდებულებაა მნიშვნელოვანი. თუკი ჟურნალისტიკას, კარგი გაგებით, პროპაგანდისტული მიზანი თუ არ ექნა, ვგულისხმობ, სოციალური ღირებულებების პროპაგანდას და არა პოლიტიკურს, ისე არაფერი გამოვა. მთელი ქრისტიანული რელიგია სიკეთის პროპაგან-

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# სააკაშვილმა კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლი ამოიღო... აი, ამის მწარე შედეგს ვიმკით დღეს ქართულ მედიაში

დაა და ამით არაფერი აკლდება, პირიქით, ემატება. რელიგია ზრდის ადამიანს. ასევე, ჟურნალისტიკამაც, რაღაც თვალსაზრისით, ადამიანი უნდა გაზარდოს. ადამიანი სკოლას რომ დაამთავრებს, მერე სამყაროს შესახებ ცოდნას ჟურნალისტიკით იღებს. ჩვენ, რას ვაძლევთ, რა სამყაროში ვამყოფებთ ამ ადამიანებს? ამიტომ, დღეს ბევრი ამბობს, ქართულ ტელევიზიას არ ვუყურებო. იმიტომ, რომ ის სამყარო, რომელსაც ქართული ტელევიზია თუნდაც, „რუსთავი-2" ხატავს, რეალობას არ შეეფერება.

ცუდი ცხოვრების დროს, კარგის დანახვის უნარია უფრო მნიშვნელოვანი. ესეც გვაკლია. შესაბამისად, რა ტიპის ერს ვიღებთ? — დღეს რაც გვხვდება, ეს მედიის ჩამოყალიბებული ხასიათია — მოწუწუნე, ისტერიულ ნოტებზე მყოფი ერი. ეს შექმნა მედიამ იმიტომ, რომ ამ ცხოვრებაზე მოწუწუნე, ისტერიულ ინტონაციებზე მყოფი, ეგზალტირებული ტონით მოსაუბრე თავად მედიაა. დიდი დრო არ სჭირდება იმას, რომ იმ ადამიანებში ვინც ამ მედიით იკვებება, აზროვნების იგივე წესი დამკვიდრდეს.

**— თქვენი საუბრიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ის რაც დღეს გვაქვს, ამას ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვს. ეს ყოველივე სააკაშვილის სისტემის გაგრძელება ხომ არ არის?**

— ჩვენთან, 21-ე საუკუნეში ჟურნალისტური პროდუქციის დიდი მასა შეიქმნა, რაშიც გარკვევა — რა არის კარგი და რა ცუდი, ადამიანს, პრაქტიკულად, არ შეუძლია. თუ არ ვცდები იაპონური იგავია: ხმა გავარდა, ცნობილმა მებაღემ ახალი ვარდი გამოიყვანაო. იმპერატორმა ვარდის ნახვა მოინდომა, მებაღეს შეუთვალა მოვალო. მივიდა იმპერატორი ჭიშკართან და არავინ დახვდა. შევიდა შიგნით და ხედავს, რომ ბაღის უზარმაზარი ტერიტორია გაჩანაგებული, აჩეხილია, გავიდა მეორე ეზოში, იქაც აჩეხილია ბაღი, იგივე სიტუაცია დახვდა მესამე ეზოშიც, ოღონდ, აქ, კედელთან მებაღე იდგა ერთ ცალ ვარდთან ერთად. რა გიქნია, რატომაა მთელი ბაღი გაჩეხილიო, იკითხა იმპერატორმა. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ისე ამ ვარდს ხომ ვერ დაინახავდითო, მიუგო მებაღემ. აი, რა პრობლემა დგას. მე-19 საუკუნეში, ჟურნალისტიკაში, ილია რომ გამოჩნდა, თავისი სტილისტიკით იმდენად მკვეთრი იყო, რომ მან როგორც ჟურნალისტმა ერის მენტალიტეტი შეცვალა. ასე, რომ ერის მამის სტატუსი, მან როგორც ჟურნალისტმა მოიპოვა. დასანანია, მაგრამ დღეს ამ მიზნისკენ აღარავინ ისწრაფვის. მეორე მხრივ, ამ მიზნისკენ სვლას, რა თქმა უნდა, ილიაობა უნდა, რაც ადვილი არაა. მით უმეტეს, რომ ვიმეორებ, დღეს ჟურნალისტური პროდუქციის ძალიან დიდი მასივი დაგროვდა და ამ მასივში რომ გამოიკვეთო, რა თქმა უნდა, ვერ გაკაფავ როგორც იაპონელმა მებაღემ. იმისათვის რომ ეს ვარდი დაინახონ, იგი იმდენად მკვეთრი და იმ სიმაღლისა უნდა იყოს, ამ ამოცანის დაძლევა საკმაოდ რთულია.

**— დღეს დამკვიდრდა ტენდენცია, რომ რიგ ჟურნალ-გაზეთებში ათასგვარ ცილისწამებას წერენ, მერე ამას სიტყვის თავისუფლებად ნათლავენ და პასუხისმგებლობისგანაც თავისუფალნი არიან. ეს ხომ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და სხვა თუ არაფერი საზოგადოებაში დეზორგანიზაციის შეტანას, დესტაბილიზაციას ემსახურება.**

— ერთ დროს პრესის კანონზე მუშაობა მიწევდა. ყველაზე მძაფრი წინააღმდეგობა, კანონის იმ ვარიანტში რასაც ვთავაზობდი, მაშინდელმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გიგა ბოკერიამ და ლევან რამიშვილმა, ასევე, ეროსი კიწმარიშვილმა და ჟურნალისტების გარკვეულმა ჯგუფმა გამიწიეს. ერთ-ერთი იდეა, რაც კანონს უნდა გაეთვალისწინებინა, საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა იყო, ოღონდ, ჟურნალისტების ბორდში ყოფნით, რაზეც შემეწინააღმდეგნენ. საერთოდ, ითვლება, რომ თვითრეგულაცია თავისუფლების ყველაზე დიდი გარანტია, რაც ჟურნალისტებს არ აქვთ. ამიტომ, ჟურნალისტის მოსყიდვა ადვილია. **როგორც მერე გაირკვა, იმიტომ შემეწინააღმდეგნენ, რომ კანონში საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობები იყო ჩადებული ცილისწამებაზე, ტყუილზე და ა.შ. მათ, სასწრაფოდ კანონის თავიანთი ვარიანტი დადეს, რაც დღეს მოქმედებს, სადაც არანაირი პასუხისმგებლობა გათვალისწინებული არაა. ამ ადამიანებმა მერე „ვარდების რევოლუცია" მოახდინეს, პოლიტიკაში მოვიდნენ და მედია პოლიტიკური მიზნებისთვის მაქსიმალურად გამოიყენეს**. მათ, რა თქმა უნდა, ნორმალური მედია არ აწყობდათ. უბრალოდ, ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ამ საქმეს ბოლომდე უნდა მივყოლოდი, მე, უფრო ზურაბ ქვანიას იმედი მქონდა და ადამიანებს უკეთესი თვალით ვუყურებდი, ვიდრე იყვნენ. მეგონა, რომ მათაც ქვეყნის კარგად ყოფნა უნდოდათ.

**როცა იმაზე ხარ ორიენტირებული თუ რა გამოადგება ქვეყანას, ამის გამო ილიამ შუბლში ტყვიაც მიიღო. ქვეყნის მიმართ ეს დამოკიდებულება გრძელდება. ამიტომ, მედიაშიც იგივე ხდება. თორემ წესით, ეს პრობლემა არ უნდა იყოს, კანონში ერთი-ორი მუხლის შეტანა ყველაფერს დაალაგებდა. სააკაშვილმა კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლი ამოიღო. სწორედ იმიტომ, რომ თავისი ოპონენტების წინააღმდეგ ნებისმიერი სახის ბინძური ცილისწამებები გამოეყენებინა, თვითონ კი დაუსჯელი დარჩენილიყო. არც ახალ ხელისუფლებას შეუტანია ეს მუხლი კანონში. თქვენ სწორი ბრძანეთ, ეს, მედიის თვალსაზრისით, სააკაშვილის ხაზის გაგრძელებაა**. ამ დროს, დასავლეთში თუკი რამე არეგულირებს მედიის ნორმალურ იერს, ეს სასამართლოა. მაგრამ სასამართლო თავისთავად ვერ ამუშავდება, მას კანონი სჭირდება, რომელიც მოქმედების საზღვრებს დაუდგენს და უფლებებს მისცემს და ადამიანი რომელიც იჩივლებს. ჩვენ არც კანონი გვაქვს და არც სასამართლოში ჩივილი გვინდა. ამ პირობებში მდგომარეობას არაფერი გამოასწორებს.

**— მოქალაქეებს ჩივილი არ უნდათო, ამბობთ, მაგრამ რას აკეთებენ სამართალდამცავები, მათ არ შეუძლიათ რეაგირების დამოუკიდებლად მოხდენა?**

— ამერიკაში ტელევიზიით ეროტიული სცენები გავიდა, რაც პატარა ბავშვმა ნახა, წავიდა ბებია და სასამართლოში იჩივლა. უცხოეთის ტელევიზიებში ეროტიკული და ძალადობის კადრები მკაცრადაა გაკონტროლებული. ამაზე სასამართლოში ჩივიან, რათა ეს ოჯახს ტრამვას აყენებს. ანუ, თავისუფალი სიტყვა არ ნიშნავს მოძალადე სიტყვას. ადამიანი მოძალადე რომ არ გახდეს, ამისთვის სასამართლო არსებობს. ასევე, სიტყვა, ჟურნალისტიკა მოძალადე რომ არ გახდეს, ამისთვისაც უნდა იყოს ქმედითი სასამართლო სისტემა.

**— ბატონო რამაზ, ერთმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მას „სუსში" საიდუმლო კადრები აჩვენეს. ანუ, საიდუმლო მასალებს ყველა ჟურნალისტს აჩვენებენ? მე რომ მივიდე მაჩვენებენ ასეთ კადრებს? თუ არა, მაშინ რას ნიშნავს ყოველივე?**

— რა თქმა უნდა, თქვენ არ გაჩვენებენ. ეს მოპოვებული მასალა კიდევ ცალკე თემაა. ესა თუ ის უწყება თუ იჩივლებს, რომ იმ აუდიტორიაში რომლისთვისაც ეს განკუთვნილი არ იყო, სამხედრო ან სახელმწიფო საიდუმლო იქნა გამჟღავნებული და მისი მაღალი ჯარიმით დასჯა მოითხოვოს, ჟურნალისტი იგივეს მეორედ გააკეთებს?! აი, კიდევ ერთი პრობლემა — იმის გამო, რომ ჯარიმები არ არის, ფაქტობრივად, დანაკარგიც არაა. მეორე მხრივ, გაზეთები ტირაჟს არ უთითებენ, სააკაშვილმა კანონიდან ესეც ამოიღო. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია გაკონტროლება ესა თუ ის გაზეთი თავისი შემოსავლებით არსებობს თუ არა.

**—ბოლო დროს მედიით ბიძინა ივანიშვილის მიმართ სერიოზული უარყოფითი კამპანია დაიწყო. „რუსთავი-2" ივანიშვილთან ბრძოლის გარდა ქვეყანაში სხვა პრობლემებს ვერ ხედავს?**

— პოლიტიკა ბრძოლაა. კი ასეა ებრძვიან. თქვენ ამბობთ, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეს როგორ ექცევიან, ხომ. იმათ ეს ქვეყანა მარტო თავისთვის უნდათ. თუ ის პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, რომელსაც თვითონ გულშემატკივრობენ, მაშინ უნდათ ეს ქვეყანა, თუ არადა ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა. ამიტომ ვამბობ, პოლიტიკური ბრძოლა საშინელია. ამიტომაც მინდოდა თვითრეგულაციის მექანიზმები ყოფილიყო, რათა თავად ჟურნალისტებს შორის რაღაც შინაგანი სინდისის აპარატი გაჩენილიყო, მაგრამ ჟურნალისტებმა სინდისზე უარი თქვეს და ასე დარჩნენ.





აქვე, თავს იჩენს მეორე უბედურება. „ქართულ ოცნებას", ივანიშვილს ებრძვიან, ხომ? სიტყვის თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ მედიამ თუკი არ ცრუობს, დეზინფორმაციას არ ავრცელებს, თავის სათქმელი უნდა თქვას, ოღონდ, შენც უნდა თქვა შენი სათქმელი. აქეთა მხარე რატომაა ჩუმად?! ერთი მხარე ლაპარაკობს, მეორე ჩუმადაა. პირველყოვლისა, ჯერ თავად უნდა დაიცვან თავი. როგორც ჩანს თავის დაცვის უნარი არ აქვთ. საკუთარი სიმართლის თქმას ინტელექტი, გაბედულება სჭირდება, რომელიც ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს. რამდენი მართალი ადამიანია გაჩუმებული იმიტომ, რომ შარის თავი არ აქვს. რაც კარგი გაუკეთებიათ იმაზეც ვერ ლაპარაკობენ.

**— გამოდის ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის?**

— ქარავანი მიდის, რო?! იმედი ვიქონიოთ რომ მიდის, მაგრამ თავისთავად, საზოგადოებაში ძალიან მძიმე, დეპრესიული განწყობილებაა, რაც ყველგან თვალსაჩინოა — ქუჩაში, შეხვედრებზე და ა.შ. ამიტომ, ქარავანმა რაც არ უნდა იაროს, პრობლემა თვითონ დეპრესიულ განწყობილებაშია, რასაც ჟურნალისტიკის გარდა სხვა ვერაფერი შექმნის — საწამლავიც ჟურნალისტიკაა და წამალიც. წამალი ჟურნალისტიკის წამოწევას შესაბამისი ჟურნალისტების გაზრდა, ბრძოლასა თუ მშვიდობაში მათი გაწვრთნა და მათი დანახვის აუცილებლობაა.

**— ანუ ახლა საწამლავი ჟურნალისტიკა გვაქვს?**

— ყოველშემთხვევაში წამალი რომ არ გვაქვს, ფაქტია. ახლა „რუსთავი2"-ს არ გამოვყოფ იმიტომ, რომ იგი იმდენად პოლიტიზირებულია, აღიქმება კიდეც როგორც პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ თავისთავად ის ჟურნალისტიკა, რომელიც სულ იძახის — გახმი, გახმიო, უფრო ზუსტად, ვხმებით, ვხმებითო და ეს ხალხიც ხმება, ამის მერე რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ. ხე თუ ხმება ხალხის გახმობას რა უნდა. ამის შემძახებელი არის ჟურნალისტიკა. იმის მომგვარებელი თუ როგორ მივიღოთ სხვანაირი ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოა, მაგრამ სახელმწიფოში არ ჩანს პოტენციალი, რომ ამის მოგვარებასა და გამოსწორებაზე ფიქრი შეუძლიათ.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

> **„სააკაშვილმა კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლი ამოიღო. სწორედ იმიტომ, რომ თავისი ოპონენტების წინააღმდეგ ნებისმიერი სახის ბინძური ცილისწამებები გამოეყენებინა, თვითონ კი დაუსჯელი დარჩენილიყო. არც ახალ ხელისუფლებას შეუტანია ეს მუხლი კანონში."**

# რა „დააშავა“ ივანიშვილმა ანუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველოში ღირსეული მამულიშვილი, რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან?



მოდით, დავსვათ კითხვა: რა უნდა აკეთოს და როგორ უნდა მოიქცეს ღირსეული მამულიშვილი საკუთარ სამშობლოში, საქართველოში რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ, ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან, რომ არ დაუწყონ დევნა და განდევნა საკუთარი სამშობლოდან...

ყველა ადამიანის სულს ვერ ამოავსებ ვერც სიკეთით, ვერც სიყვარულით...

ვისაც მეტს მისცემ და მიაწოდებ: იტყვის, უფრო მეტი მეკუთვნოდაო და მტრად გექცევა.

ვისაც არ მისცემ, ისიც მტრად მოგეკიდება...

ვისაც ბევრს წაართმევ და ცოტას დაუბრუნებ, ის უფრო მადლობელი დაგრჩება: იფიქრებს, იქნება, დარჩენილიც დამიბრუნოსო... ეს არის ქართველთა ფსიქოლოგია.

* * *

„შიში შეიქმს სიყვარულსა“, ბრძანებს გენიალური შოთა რუსთაველი. ანუ „მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო“, ამასაც ამბობს ძველი ქართული სიბრძნე. „პარადიგმები“ დიდი ჭეშმარიტების შემცველი აღმოჩნდა.

ბიძინა ივანიშვილს არც არავინ შეუშინებია, არც არავინ დაუხრჩვია... არც არავისთვის წაურთმევია, მხოლოდ გასცემდა და ეტყობა, ამიტომაც მიუბრუნდა ეს დაუსჯელი და დაუჯერებელი (თავზე ხელგადასმული) „გიენების ხროვა“ და ადამიანს, რომელიც განგებამ მოგვივლინა, შეჭმა დაუწყეს...

* * *

საერთოდ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში: ისევ „რატომ კარგი აგიგიას“ სინდრომი ამუშავდა?!

ისევე, როგორც „დიდოსტატის მარჯვენაში“, „სვეტიცხოვლის“ ამშენებელს მარჯვენა მოსჭრეს, „სამების“ (საუკუნის ტაძრის) აღმშენებლისთვისაც მარჯვენის მოჭრა უნდათ?!

და არა ოდენ სამების აღმშენებლის, ყოველი ტაძრის (ხუთასამდე!), ყოველი თეატრის, კულტურის ცენტრის, არაერთი სამკურნალო დაწესებულების, ყოველი დიდი ეროვნული საქმის, თუ რომელიმე და რაიმე ამ საუკუნის დამდეგს და წინა საუკუნის დასასარულს კეთდებოდა და კეთდება, ბიძინა ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, მსგავსი საქველო საქმეები, არც ერთ ქველმოქმედს, არც ერთ ბიზნესმენს (გნებავთ, ოლიგარქს) საქართველოსთვის არ გაუკეთებია.

დიდი სარაჯიშვილი ჩიოდა: ქართველებს თუ შეძლებული კაცი გამოუჩნდა, ყველანი მიესევიან, გაწეწავენ დ მერე სალანძღავად გაიხდიანო... ეტყობა, მანაც გამოსცადა ქართველთა უმადურობა საკუთარ თავზე.

**სად, რომელ ქვეყანაში ექცევიან თავის გამორჩეულ მამულიშვილს ისე უდიერად და უსინდისოდ, როგორც აქ, ამ ბედკრულ საქართველოში.**

**მაინც, რა დააშავა ივანიშვილმა ისეთი (რა შეცდომა დაუშვა), რომ: კვესიტაძის ტიპის ლაქია ჟურნალისტიც კი თავისი „ლაქარდიანი ენით“ ტარტალს უბედავს?**

**რა ცილისწამების და დაუსჯელობის ჯოჯოხეთი დუღს ამ ქვეყანაში?**

სწორედ: „რატომ კარგი აგიგიას!“ ეგოიზმში „დევს“ ეს ძაღლის თავი და დაუსჯელობის სინდრომში – რაც გინდა თქვი და დააბრალე, როცა შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვს... მით უფრო, „მოენე დიაცს“ ვინ რას ეტყვის...

ერთ საპასუხო ლექსში ვაჟა ამბობს, როდესაც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდნენ და განაქიქებდნენ:

„იქნებ მეც, ჩემმა ენამა, სამშობლო დავაღონეთა,

ფრთები შევჰკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა,

* * *

უვარგისობის მიზეზი „ფშავლობა“ არის სწორედა...“

ნახეთ, რა ბრალდება წაუყენა ვაჟამ მეშჩან, მედროვე, ეგოისტ ელიტას... მასა აღიარებდა ვაჟას, მაგრამ გარკვეულ „ელიტარულ კლანს“ არ სურდა მისი გენიით შეშფოთებულთ, მისი აღიარება.

ალუდას ფენომენიც სწორედ იმიტომ წამოსწია ვაჟამ, რომ „კაი ყმის“ დევნისა და განდევნის „სინდრომი“ უკვე გაჩენილი იყო ქართულ საზოგადოებაში.

* * *

მაშ, რატომ ვებრძვით და ვუპირისპირდებით კაცს, რომლის მოსვლასა და გამოცხადებას სიზმარში თუ ვხედავდით, თორემ იმდენად დაუჯერებელი იყო, სატანური „მკვლელი რეჟიმის“ პირობებში.

მაშინ მე ვწერდი ჩემს ერთ წერილში: გმირი იბადება უჟამო ჟამის პერიოდში, თითქოს არსაიდან და იგი სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, როგორც კვირია... „შეუძლებლობის“ ჩაკეტილ სივრცეში „პროკრუსტეს სარეცელზე“ მწოლიარე ერს ჰქონდა ასეთი პიროვნების მოლოდინი... და მოვიდა იგი და მოიყვანა უფალმა, და მან შეძლო იმ ურჩხულის დაძლევა, რომელიც 10 წელიწადი ჭამდა და ღრღნიდა ქართველი ერის სულსა და სხეულს, და ეს 10 წელი იყო, ვითარცა 1000 –ათასი)! იმდენად მძიმე იყო ეს 10 წელი ქართველთათვის, როგორც ასწლეული მონღოლოიდურ-ხაზარული ეპოქებისა...

ამ ათმა წელიწადმა გადააგვარა საზოგადოება, სატანის რეჟიმმა შეძლო სულიერი, მატერიალური, კულტურული ინსტიტუტების ნგრევა, სრულიად შეცვალა მოზარდთა ფსიქოლოგია მაზომბირებელი მასმედიის (და, კერძოდ, „რუსთავი-2“ის) მეოხებით...

და როგორც ერთმა ნიჭიერმა მწერალმა ბრძანა, „სააკაშვილი შეეცადა ახალი ქართველი ადამიანის გამოყვანას და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილიო...“

შესანიშნავი, თუმცა სამწუხარო სატირაა: მართლაც ჩერგოლეიშვილებით, ხერხეულიძეებით, ორჯონიკიძეებით, გაბუნიებით, კოჟორიძეებით და მისთანებით აივსო ეს ქვეყანა... და უფრო უარესებითაც!..

მართლაც მან 10 წელიწადში 1000-წლეული ზიანი და ზარალი მიაყენა ქვეყანას და სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დააკარგინა ტერიტორიების კიდევ 1/3.

* * *

**მაინც, რა „დააშავა“ ივანიშვილმა, ან დააშავა თუ არა, საერთოდ?**

**დიახ, „დააშავა“, მან ჩამოაშორა ეს ურჩხული და მისი რეჟიმი ქვეყანას, მან შეცვალა სატანის დრო! – ეს მოვლენა საეტაპო მოვლენად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში...**

ეს იყო მისი დანაშაული სატანისტთა სამყაროსთვის, მან დაამხო სატანის ტირანია, მაგრამ გაუშვა (შეიწყალა) ამ მონსტრის გვამიდან ამოსული „ჭიები“... ახლა ისინი შხამიან გიენებად იქცნენ და ქვეყანას (და ივანიშვილს) სახიფათო ზღვარზე აყენებენ.

რა შეიძლება იყოს პიროვნების, კერძოდ, ივანიშვილის წინააღმდეგ გამოხდომის მიზეზი? არაფერი და ყველაფერი! „დანაშაულია“ მისი ღირსება და ქველობა, მისი მამაცობა, მისი ღვაწლი მთელი ერის და ყოველი ქართველის მიმართ? როდესაც ქველობანი და მაღალზნეობანი განკითხვისა და ლანძღვის ღირსად იქცევა ერში, ის ერი (და ქვეყანა) დიდხანს იქნება ნირვანაში და დარჩება დამარცხებული საკუთარ თავთან და მტერთან...

* * *

ყოველ საქმეს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს, აქვს შუა და ბოლო ფაზები. ივანიშვილმა (და ერმა) დაძლია ბრძოლის ერთი ფაზა. ახლა მან (ივანიშვილმა) და ერმა უნდა შეძლოს სულიერი და მატერიალური სტაგნაციის დაძლევა და შესვლა განვითარების სხვა ეტაპზე.

სამ არასრულ წელიწადში „ოცნებამ“ და ივანიშვილმა შეძლო რამდენიმე არსებითი პირობის შესრულება:

მოქალაქეთა საყოველთაო დაზღვევა.

სოფლის მეურნეობის აღდგენებისთვის რადიკალური ზრუნვა (მე როდესაც ხევსურეთში ავედი, იქ დამხვდა ტრაქტორი, რომელიც ხნავდა მიწას... რომელიც ნახევარი საუკუნე არ მოხნულა).

**რა შეიძლება იყოს პიროვნების, კერძოდ, ივანიშვილის წინააღმდეგ გამოხდომის მიზეზი? არაფერი და ყველაფერი! „დანაშაულია“ მისი ღირსება და ქველობა, მისი მამაცობა, მისი ღვაწლი მთელი ერის და ყოველი ქართველის მიმართ? როდესაც ქველობანი და მაღალზნეობანი განკითხვისა და ლანძღვის ღირსად იქცევა ერში, ის ერი (და ქვეყანა) დიდხანს იქნება ნირვანაში და დარჩება დამარცხებული საკუთარ თავთან და მტერთან...**



კანონი საქართველოს მთიანეთის შესახებ. ეს არის „ოქროს კანონი“, რომელიც ერს შეაბრუნებს ისტორიულ წიაღში, რომელიც მიიღო ამ ხელისუფლებამ, ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა მთიანეთის თემთა გადარჩენისთვის და ეროვნული ხსნისთვის.

კანონი ფშავ-ხევსურეთის აღკვეთილის შესაქმნელად. ესეც მეტად სარგებლის მომტანია ისტორიული თემებისთვის.

განათლების გარკვეული რეფორმა. სრულიად დანგრეული სისტემის შემობრუნება, უფასო წიგნები, უფასო სწავლება და ა.შ.

ბოლო და მთავარი „ომის პოლიტიკის“ დაძლევა რუსეთთან ურთიერთობის შერბილებაა და მშვიდობის შესაძლებლობის მიცემა ერისთვის. ეს არ არის შეზღუდული დროში. ხელისუფლებამ და ხალხმა უნდა შეძლოს ახალ ფაზაში შესვლა.

* * *

მოდი, დავსვათ მეორე კითხვაც: რა უნდა გააკეთოს გონიერმა საზოგადოებამ, რომ ისეთი ტრაგიკული ექსცესი აიცილოს, რომ ღირსება და ღირსეული კაცი გადაარჩინოს ერში, თემში, ქვეყანაში!..

როგორ უნდა მოიქცეს ერი, რომ გამოკვეთილად ამბიციური და ამპარტავანი გაფეოდალებული კლანი გაანეიტრალოს და გააკეთილშობილოს...

„ამაღლებული“ მონა და მათხოვარი, უვიცი ლიბერასტი თავზე არ დააჯდეს „დამდაბლებულ“ და იარაღაყრილ ქვეყანას?!

როგორ უნდა მოიქცეს გონიერი ერი, რომ არ მოაკვლევინონ ილია ჭავჭავაძე!.. ან, ვთქვათ, ისეთი მოღვაწე და მამულიშვილი, როგორიც იყო კოსტავა,ზურა ჭავჭავაძე, გურამ შარაძე... ან, თუ გნებავთ, ზვიად გამსახურდია, რომელიც პოლიტიკურმა კრუელებმა, ყაჩაღებმა და ყაჩაღების ხელით ჩაკლეს დევნილობაში (ტყეში) და სად და როგორ ათრიეს მისი გვამი, არავინ იცის...

მარტყოფის ომის გმირი, რომელმაც შაჰ-აბაზს გამოგლიჯა საქართველო, „ქართველთ“ ქვეყნიდან გააძევეს... გორგასალს ღალატით იღლიაში დაჰკრეს ისარი – ყველაზე დიად მეფეს ქართველთას – შინაურმა მონამ!!!

„დამჭრეს, თორემ ერთად თორმეტნიც არ მეყოფოდნენო!“ – ეს მისი სინანულიანი ფრაზაა...

ხოლო რა ბედი ეწია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომლის წიგნის „საფარველ დადებული იყო ჟამთა შინა“, არავინ იცის...

ჩვენ ერს ეს ავადმყოფობა წესად თუ გენურ თვისებად ექცა: ღირსეულის დევნა და განდევნა; უღირსთა ამაღლება ღირსეულთა დამდაბლებისთვის...

* * *

ბოლო ხანს ხელისუფლებაში მოსულმა ვანდალობებმა ეს უზნეო ზნენი და თვისებანი უმაღლეს რანგში აიყვანეს, მოკლეს, „ჩარეცხეს“, გაანადგურეს, დაარბიეს არა ოდენ პიროვნებანი და ღირსეული ქართველი ოჯახები, არამედ საზოგადოებები, კავშირები, ინსტიტუტები, აკადემიები, რომელნიც პოზიტიური, ეროვნული ენერგეტიკის მატარებელნი იყვნენ.

მათ საკუთარ ქვეყანაში ვიღაცის მიერ მოვლენილმა „ჰიქსოსებმა“ გამოაცხადეს პიროვნების და პიროვნული ღირსების, თემის და სოფლის „კითხულ კაცთა“ (თავ-კაცთა) დევნის კამპანია. ბევრ მათგანს „ქურდის“ იარლიყი მიაწებეს და მართლაც ქურდებთან გაათანაბრეს ამ (ნამდვილმა) ჰიქსოსმა ყაჩაღებმა. სოფელი, თემი, ქალაქი, რომელიც გონიერი ხევისბერი და მახვში კაცების ენერგეტიკაზე იდგა, დაშალეს...

ჭკვიანი კაცისთვის ჭკუის კითხვა და ჭკუაკითხული კაცისგან დარიგების მიცემა დანაშაულად გამოაცხადეს! და შექმნეს განურჩეველი, ჭაობის ტიპის საზოგადოება რამდენიმე „ბაყაყის“ საყვირით...

საზოგადოება უკუღმა შემობრუნებული ფარის სინდრომით, რომელსაც გონიერი ლიდერი არ ჰყავს და სადაც მიდგება უფსკრულის პირას, იქ ჩარჩება, ან ჩაიჩეხება.

ასეთ ფარას წალმა შემობრუნება არ შეუძლია და თუ



შემობრუნდა, წინ მაჩანჩალა და კოჭლი აღმოჩნდება...

მათ იცოდნენ და იციან, რომ მათი ფარა და ყოველი მათგანი ჭირიანია, მათ არ ჰყავთ და არც უნდათ ღირსეული წინამძღოლის არსებობა, ამიტომ ასეთი ფარის ყოლა ურჩევნიათ... და კიდევაც დარჩნენ ასე „იხვის ჭუჭულის“ ანაბარა, რომელიც აცხადებს, რომ ისინი მომავალ არჩევნებში დაამარცხებენ ივანიშვილს და განდევნიან „ქართულ ოცნებას“...

„მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდა“, – ამათ, ამ „ნაცების„ ნარჩენებს, ყველგან ივანიშვილი ესიზმრებათ და ელანდებათ... იმდენად შეარყია და შეაძრწუნა მან ამ ჭილყვავების ბუდე, მაგრამ ბოლომდე ვერგაფრენილი და ყველაზე „დიდი ყვავი“ ახლა ბებერი მაკკეინის ბუდეში ზის და იქიდან დაგვჩხავის... ეტყობა, „ყრუ“ მაკკეინს არ ესმის მისი ჩხავილი!..

* * *

მცირე ანალიზს თუ გავაკეთებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი:

**ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა: მან ამ ნაცების მახინჯი და შხამიანი პორტრეტები, ბარელიეფები, ბიუსტები ვერ ჩამოხსნა ქართული პოლიტიკური სივრცის ფასადიდან. თუ ამაშუკელის ფერიფრაზს გამოვიყენებთ, ღირსთავივით შერჩა ნაცების დანგრეულ სამრეკლოს წიკლაურის თავი...**

და არაოდენ წიკლაურის თავი. როგორც „ამირანიანის“ ეპოსში მათ „ნაქალაქრებს“ არაერთგან შერჩათ ფასადებზე „ბეჰემოთის თავები“, „ვირის თავები“ „მჩხავანა კატების“ და „მელის კუდები“, „მაიმუნის უკანალები“...

ჩვენ ვერ წავშალეთ (ვერ „ჩამოვრეცხეთ“ ფასადებიდან კვესიტაძე-თაქთაქიშვილების, ბოკერია-თარგამაძეების, პალიკო-შალიკოების, გაბუნია-ელისო კილაძეების თუ ორჯონიკიძეების პორტრეტები...

ნაცების მოჭრილი თავიდან (როგორც დევის) ფიგურალურად თუ ვიტყვით, ნათელაშვილი ამოძვრა! მათ მიერ სამარცხვინოდ დევნილი და „გულამოგლეჯილი“ მათვე შეეზარდა! ასეთი „ჰიბრიდი“ უნიკალური მოვლენაა პოლიტიკაში... რა უნდა დაგიშავოს ვინმემ ისეთი, რომ ფაშისტი „ნაცების“ ჭაობში ჩარჩე და მათი „სხეულის“ ნაწილად იქცე?! ფსიქოლოგთა მიერ შესასწავლია ამ ტიპის პერსონაჟთა მეტამორფოზული პორტრეტები...

* * *

თუმცა საკაშვილი ჯერ კიდევ სადღაც, არის, ვიდრე ცრუ დიმიტრისავით არ ჩატენიან ზარბაზნის ლულაში და უკრაინიდან არ გატყორცნიან რომელიმე კონტინენტისკენ.. ან იქითკენ საიდანაც მოიყვანეს...

* * *

მაგრამ მე მაინც არა ვარ დარწმუნებული, მართლაც იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილის შეცდომა მათი (ანუ დევის წიწილების) ამგვარი შევრდომება?! იქნებ, არც იყო და იყო უფლის დაშვება, იქნებ, ისინი თვითონ, თავისთავად, დრომ ჩამობღერტოს, მაშინ ივანიშვილი ბოლომდე (გენიოსის დონეზე) შორს გამჭვრეტი აღმოჩნდება...

თუ ჩვენ შევძლებთ ამ ვითარების დაძლევას და „მოვლენათა გადატანას“ მშვიდობიანად, ეს მართლაც ასე იქნება...

**კობა არაბული**
**მწერალი**

**„მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდა“, — ამათ, ამ „ნაცების„ ნარჩენებს, ყველგან ივანიშვილი ესიზმრებათ და ელანდებათ... იმდენად შეარყია და შეაძრწუნა მან ამ ჭილყვავების ბუდე...“**

# „თბილისის ომიდან“ 23 წელი გავიდა...


თამარ დადიანი

## ძალიან მაგარი გული უნდა გქონდეთ, რომ საბურთალოს ძმათა სასაფლაო ნახოთ, სადაც ზვიადის მებრძოლები და მხედრიონელები ერთმანეთის გვერდიგვერდ განისვენებენ

**ზუსტად 23 წლის წინ, 1991 წლის 22 დეკემბერს გამთენიისას, საქართველოს დედაქალაქში კანონიერი ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგეების მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირება დაიწყო. „თბილისის ომად“ შერაცხული სამოქალაქო დაპირისპირება 15 დღე გაგრძელდა და კანონიერი ხელისუფლების დამხობით და 120-მდე ადამიანის მკვლელობით დასრულდა.**

**23 წლის წინანდელ ამბებს ემოციების გარეშე ვერ იხსენებს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი თამარ დადიანი, რომელიც უზენაესი საბჭოს შენობაში ყოფნის ბოლო დღემდე საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის გვერდით იმყოფებოდა.**

– 1991 წლის დეკემბერი და ჩემი გარდაცვლილი მეგობრები ისეთი მოუშუშებელი ტკივილია, რომ რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ამაზე საუბარი ყოველთვის გამიჭირდება, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, გარდაცვლილებთან და მათ საქმეებთან ვალდებული ვარ, გავიხსენო 22 დეკემბერი და ვთქვა რა იყო ეს- გამარჯვება თუ უბედურება. ჩემი აზრით, 22 დეკემბერი ქართველი ერის ისტორიაში არნახული მასშტაბის ტრაგედიაა. ამ პატარა ქვეყანამ საუკუნენახევარში სამი სამხედრო გადატრიალება გადაიტანა. რა თქმა უნდა, 1918-21 წლების გასაბჭოებაც სამხედრო გადატრიალება იყო. მაშინაც ბანდიტიზმმა იმარჯვა და წითელი არმიის სახით მოგვევლინა. როგორც წესი, ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით მოდიან ბანდები, რომლებსაც ერთადერთი მიზანი აქვთ- გაანადგურონ ყოველი კეთილი, ეროვნული და ფასეული. თავი არავინ არ მოიტყუოს, რომ ბანდიტი ერისთვის და ქვეყნისთვის სასიკეთოს გააკეთებს.

**– იქნებ გაიხსენოთ, როგორ დაიწყო ყველაფერი?**

– ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო.. ამ დროს მე წმინდა ილია მართლის საზოგადოების ახალგაზრდულ ფრთას წარმოვადგენდი და სამჯერ ვიყავი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლოტკინის დასახლებაში. 1990 წლის პირველი, მრავალპარტიული არჩევნების დროს, ლოტკინის მრავალეროვან დასახლებაში „მრგვალმა მაგიდამ“ არნახულ შედეგს მიაღწია და 65%-ით გაუსწრო კომუნისტურ პარტიას. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ბატონ ზვიადთან ხშირი ურთიერთობა მქონდა, ამიტომ არჩევნებში გამარჯვებისთანავე, მასთან, მაჩაბლის 11 ნომერში მივედი. ბატონი ზვიადი მწვანე ოთახიდან კაკო ასათიანთან ერთად გამოვიდა. მივულოცე და ტირილი ამივარდა– მცირე დროით ვართ მოსულები–თქო. გამსახურდია თავის დაქნევით დამეთანხმა, ასათიანმა კი გააპროტესტა სამართლიანი და პატრიოტული ძალა მარადიულიაო.



> **„ბოლოს ზვიად გამსახურდია გამოვიდა თავისი კაბინეტიდან და ყოველგვარი დაცვის გარეშე ჩაიქროლა კიბეებზე ყვირილით - ამათ ჩემი სისხლი წყურიათ და სანამ არ მიიღებენ, არ გაჩერდებიანო.“**

**– არჩევნებში გამარჯვებულებს ასეთ რამეს არ ეუბნებიან. რა იყო ეს, თქვენი წინათგრძნობა?**

– უბრალოდ, ვხვდებოდი, რომ ამ გამარჯვებას არ გვაპატიებდნენ. ამის შემდეგ 31 მარტის რეფერენდუმი და ადგილობრივი არჩევნები ჩავატარეთ. მაშინაც იგივე ერთდროული გლოვისა და ზეიმის განცდა მქონდა. 26 მაისიც გავიდა და ივნისის თვეში ბატონ ზვიადს ვუთხარი, სულიერად ძალიან მიჭირს, საშინელ განცდაში ვარ და გამუდმებით საქართველოს ვგლოვობ თქო. მითხრა, ქაშუეთის ტაძარში მიდი და ღვთისმშობლის ხატთან ილოცეო. მისი კარნახით ასეც მოვიქეცი, მაგრამ ეს საშინელი გრძნობა ვერაფრით მოვიცილე, სანამ არ მოხდა სექტემბერში, კინოს სახლთან მოწყობილი პროვოკაცია. ასეთი პროვოკაციები, როგორც ჰაერი ისე ჭირდებოდათ რუსეთიდან მართულ ძალებს. მოგეხსენებათ, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, იმავე წლის 9 აპრილს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამ დროს, რუსეთმა საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა დაიწყო. 1991 წლის 21 დეკემბერს თანამეგობრობაში უკვე 11 სახელმწიფო იყო გაერთიანებული. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არაფრის ფასად არ აპირებდა ალნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ამიტომ რუსეთმა ქვეყანაში



არეულობის მოწყობა დაიწყო. ვითარება დაიძაბა პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას გადადგომისა და ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის გაუქმების შემდეგ. გვარდიის დიდი ნაწილი, დაახლოებით 15 ათასი კაცი, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, ჯერ რკონის ხეობაში, შემდეგ კი თბილისის ზღვის მახლობლად დაბანაკდა. არ ვიცი, რიგითი ჯარისკაცები აცნობიერებდნენ თუ არა, რომ რუსულ საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ ამბოხის მომწყობებს ეს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ. გამსახურდია მთელი 6 თვის განმავლობაში აწარმოებდა ოპოზიციასთან დიპლომატიური მოლაპარაკებს და ვერ დაარწმუნა, რომ ისინი კრემლის საქმეს აკეთებდნენ. ვერ დაარწმუნა ან არ სურდათ დაჯერება.. ფაქტია, რომ 1989 წლის 9 აპრილს ერთად მდგარი ეროვნული მოძრაობა გაიყო და ერთმანეთს დაუპირისპირდა. 1991 წლის 4-5 ოქტომბრის ღამეს, როცა ჭანტურია-სარიშვილის ხალხმა რუსთაველის გამზირზე ქვებით დატენილი მანქანები მოიყვანა და სროლა დაიწყეს, წმინდა ბართლომეს ღამე ვუწოდე. სწორედ ამ ღამეს იყო პირველი მსხვერპლი– ოთხი შვილის მამა გია ტეტელაშვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმებსაც კი პუტჩისტები აკონტროლებდნენ. დაჭრილების წასაყვანად გამოძახებული სასწრაფო დახმარების ექიმები როგორც კი გაიგებდნენ, რომ დაჭრილი ზვიადისტი იყო, მაშინვე უკანმოუხედავად მიდიოდნენ. ასე დატოვეს გია, რომელიც ადგილზევე დაიღუპა. იმ ადგილას დიდხანს იყო სისხლი და ნანა დგებუაძესა და ჩვენი გუნდის სხვა წევრებთან ერთად, 40 დღის განმავლობაში, სანთლებს ვუნთებდით. იმ ღამეს წვეტიანი ქვებისგან უამრავი ადამიანი დაზიანდა. გარშემო ისეთი საშინელება იდგა, რომ ამის დავიწყება შეუძლებელია. ბოლოს ზვიად გამსახურდია გამოვიდა თავისი კაბინეტიდან და ყოველგვარი დაცვის გარეშე ჩაიქროლა კიბეებზე ყვირილით- ამათ ჩემი სისხლი წყურიათ და სანამ არ მიიღებენ, არ გაჩერდებიანო. რა თქმა უნდა, იქ მყოფი ახალგაზრდები გადაველობეთ და გარეთ გასვლის საშუალება არ მივეცით.. სამწუხაროდ, ამ შემზარავ ფაქტებს საერთაშორისო ასპარეზზე შესაბამისი შეფასება არ ჰქონია. პირიქით.. პუტჩისტებმა ჩვენი დაჭრილები თავიანთ დაჭრილებად გამოაცხადეს და მსოფლიოს ამცნეს, რომ საქართველოს ტირანი და დიქტატორი მართავს, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს ასე უსწორდება.

**– როგორ ვითარდებოდა პროცესები ქვის სროლიდან ტყვიის სროლამდე განვლილი ორი თვის მანძილზე?**

– ამ პერიოდში, ჯაბა იოსელიანის „მხედრიონმა“ ოპერის ბაღში კარვები დასცა, სადაც 17-18 წლის, ნარკოტიკებისგან გაბრუებული ბიჭები შეიყვანეს. მიდიოდა ამ ბიჭების იდეოლოგიურად „დამუშავება“, რომ პრეზიდენტის მომხრეები გიჟებად, ფანატიკოსებად და მკვლელებად გამოეყვანათ. ყველაფრის მიუხცედავად, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, რომ ჩვენი გუშინდელი თანამოაზრეები იარაღით დაგვიპირისპირდებოდნენ და ტყვიისთვის გაგვიმეტებდნენ, მაგრამ ეს დღეც დადგა. ამ დროს, გუგუშვილს უკვე ჩატანილი ჰქონდა კრემლში ზვიად გამსახურდიას უარი დსთ-ში შესვლაზე. 22 დეკემბრის ღამეს კრემლის წარმომადგენლობამ ტელევიზიით გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლილია. დილის 5 საათზე კი გადმოსცეს, რომ თბილისში დაიწყო სამოქალაქო ომი. ფაქტობრივად, მოსკოვმა თბილისის ომი დააანონსა, რადგან ამ დროს ჩვენთან სიმშვიდე იყო და პირველი გასროლა 22 დეკემბერს გამთენიისას, 8-ის რაღაც წუთებზე გაისმა. პიტჩისტებმა პირველად, მთავრობის სახლის წინ განთავსებული კარვები დაცხრილეს, სადაც წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრები, ჰელსინკის კავშირისა და რეგიონების უიარაღო წარმომადგენლები იყვნენ განთავსებული და დაპირისპირების შეწყვეტას ითხოვდნენ. პირველმა ტყვიამ აველინა პერტია შეიწირა. შემდეგ, უზენაესი საბჭოს კიბეებზე დაცხრილეს აჩიკო რამიშვილი და ორსული ქალბატონი ციცო ქევხიშვილი. ჰაუბიცების სროლა საღამომდე არ შეწყვეტილა. სხვათა შორის, იმ დროს გასროლილი ერთი ჭურვი დღემდე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის გვერდით, ჩიტაძის ქუჩაზე ერთ-ერთ ხეშია ჩარჩენილი. ვის არ მივწერე, სად არ ვთქვი, ფოტოებიც გავავრცელე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია. ღმერთმა არ ქნას, რომ მოქმედებაში მოვიდეს, თორემ ორ ნაბიჯში ბავშვების კერაა. თემას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ კანონიერმა ხელისუფლებამ ბოლომდე დაიცვა ყველა საერთაშორისო მოთხოვნა, რომელიც საპასუხო ცეცხლის გახსნას ეხებოდა.

**– უზენაესი საბჭოს შენობის სარდაფში, ე.წ. ბუნკერში როდის და რა ვითარებაში მოხვდით?**

– 22 დეკემბერს დაახლოებით 12 საათისთვის შევიკრიბეთ ილია მართლის საზოგადოების გადარჩენილი წევრები. ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ, ცოცხალი ჯაჭვი გავაკეთეთ და მოწოდებით, გვესროლეთ, პუტჩისტებს წინ დავუდექით. ალბათ, მათ შორის ბევრი ნაცნობიც იყო, მაგრამ ნიღბები ეკეთათ და სახე არ მოუჩანდათ. რომ დაგვინახეს, ავტომატები დადეს და გამეტებით,

წიხლებით გვცემეს. მე გონდაკარგული მიმაგდეს. ციმბირში, დისიდენტების ოჯახში დაბადებულმა ვარაზ ვარაზაშვილმა მნახა და მიწისქვეშა გადასასვლელში ჩამიყვანა. 22 დეკემბრის საღამოს, სიტუაციას მთლიანად პუტჩისტები აკონტროლებდნენ და როგორც კი დაბნელდა, რუსთაველზე დენი გათიშეს. მე, ვარაზი, გიგლა სანიკიძე და დათო ხელაშვილი, რომელიც მერე დაიღუპა, უზენაესი საბჭოს შენობასთან ჩიტაძის ქუჩიდან, ტყვიების წვიმაში ავედით. მეორე სართულის ფანჯრიდან აგვიყვანეს და ასე მოვხვდით ბუნკერში. იქ კი უკვე საშინელება ხდებოდა.. ერთმანეთის მიყოლებით შემოჰყავდათ დაჭრილები. ვხვევდით მაისურებს და იარებს ვუხვევდით, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.. ჩვენს შორის ბევრი ექიმი იყო, მაგრამ ბუნკერში ოპერაციების ჩატარების არავითარი პირობა არ არსებობდა. საავადმყოფოებში ხალხის გადაყვანაც საფრთხესთან იყო დაკავშირებული. მთავრობას მხოლოდ არამიანცის საავადმყოფოში შეეძლო დაჭრილების მიყვანა. დანარჩენ საავადმყოფოებს მთლიანად იოსელიანი აკონტროლებდა. ჩემი თვალით მინახავს, რომ კანონიერ ხელისუფლებას ქაშუეთის ეკლესიის ქონგურებიდანაც კი ესროდნენ.

**— როგორც ვიცი, პერიოდულად, ბუნკერიდან გასვლა გიწევდათ. რა მიზნით გადიოდით და უკან როგორ ბრუნდებოდით?**

— მე პირველიდან ბოლო დღემდე, ანუ 15 დღე დავყავი ბუნკერში. ხშირად, გარედან ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაცია მოდიოდა და ტყუილ-მართალის გარკვევა ჭირდა. ამიტომ მე და გიგლა სანიკიძეს გვთხოვეს გარეთ გავსულიყავით და ხალხის განწყობა და მდგომარეობა გაგვერკვია. 1 იანვარი იყო. ვაგზლის ტერიტორიაზე ლია ენუქიძე მართავდა მიტინგს და ხალხს მოუწოდებდა ქუდზე კაცი გამოდით და ხელისუფლება დავიცვათო. მომიტინგეებს ხელში ზვიადის სურათები ეკავათ. 3 საათზე მიტინგს ნიღბიანი ადამიანები შეესიენ და სროლა დაიწყეს. ხალხზე მეტად, ზვიადის სურათები ჰქონდათ მიზანში. სწორედ ამ დროს დააფიქსირეს მსროლელებს შორის ერთი ცნობილი მომღერალი, რომელიც ამ ფაქტს კატეგორიულად



უარყოფს. მიტინგიდან რაც გვჭირდებოდა, ის ინფორმაცია წამოვიღეთ და წამოვედით. უკან გზაზე საშინელ სურათს წავაწყდით. პუშკინის სკვერთან, უზარმაზარი სისხლის გუბე იდგა და იქვე, თითქმის შეშლილი ქალი კიოდა. ასე დამძიმებულები შევედით ბუნკერში და მხოლოდ მაშინ გავიგეთ, რომ ჩვენი უარის მიუხედავად, ბატონ ზვიადს ჩვენთვის დაცვა გამოუყოლებია. პრეზიდენტმა მშვიდად მოისმინა ინფორმაცია და რამდენიმე წუთში უკვე შტაბის უფროსთან, გია უჩავასთან ერთად დამიბარა. ვუთხარი, ხალხი ითხოვს იარაღს, რომ, კანონიერ ხელისუფლებას გვერდით დაუდგეს თქო. გია უჩავამ მითხრა, ქალბატონო თამარ იარაღს გაძლევთ და ხალხი შემოიყვანეთო. მაშინ კინაღამ გავგიჟდი- რას ამბობთ, შემოსაყვანი კი არა, აქაც სავსეა ხალხი და ყველა იარაღს ითხოვს და თუ იარაღი გაქვთ, რატომ ახოცინებთ ამ ბიჭებს, მიეცით და თავს მაინც დაიცავენ თქო. მოკლედ, პრეზიდენტის გარემოცვა სავსე იყო მოღალატეებით და მტრებით და მალე ყველაფერი უმძიმეს ფაზაში გადავიდა. ბუნკერში დაიწყო ქაოსი და გაჩნდა შიში. ჩვენს ხალხს იარაღი არ ჰქონდა. აღარც საჭმელი იყო, აღარც წამალი. მთელი შეიარაღება იმათ მხარეზე იყო. ზვიად გამსახურდია ძალიან განიცდიდა ამ მდგომარეობას. ქართველის სიკვდილს რომ გაიგებდა, ისედაც მარხვაზე მყოფი, საკვების მიღებას მთლიანად წყვეტდა და გამუდმებით იმეორებდა, რომ 7 იანვრამდე უნდა გაგვეძლო.

**— 7 იანვარს რატომ ელოდა?**

— 7 იანვარს ქრისტეშობის მარხვა ხსნილდებოდა და საზღვარგარეთის ქვეყნების აღიარებებიც ამ დროს უნდა მოსულიყო. ევროპის ქვეყნებმა მართლაც დაიწყეს საქართველოს აღიარება. ბატონი ზვიადი ამბობდა, რომ როგორც კი ამერიკა გვაღიარებს, ეს ძალა უკან დაიხევსო, მაგრამ პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.. პრეზიდენტის მართლმორწმუნეობაზე და ღვთისმოშიშობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ უმძიმეს წუთებშიც კი ჯარისკაცს თუ ნებისმიერ იარაღიანს თხოვდა ბიჭებო, გახსოვდეთ, რომ იქითაც ქართველები არიან და თუ სროლა აუცილებელი გახდა, ფეხებში ესროლეთო. სხვათა შორის, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის დროს, ჩვენმა ბიჭებმა დააკავეს 13-14 წლის ბავშვები, რომლებსაც პუტჩისტები გარკვეული ანაზღაურების საფასურად, ტყვია-წამლის გადასატანად იყენებდნენ. ასევე, ჩემი თვალით მინახავს დატყვევებული რუსი გენერლები, რომლებიც აღიარებდნენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის სანაცვლოდ, სიგუა და კიტოვანი ფულს და კეთილდღეობას პირდებოდათ.



**— ბუნკერი პრეზიდენტთან ერთად დატოვეთ?**

— ბატონმა ზვიადმა ამ განსაცდელს ამარიდა.. 6 იანვარს მე და გიგლა სანიკიძე ინფორმაციის მოსაძიებლად გაგვიშვა და თავად, ერთ საათში საქართველო დატოვა. როცა ბუნკერში გატარებულ დღეებს ვიხსენებ, არ შემიძლია, 31 დეკემბერი არ გავიხსენო. ბატონი ზვიადი მოსახლეობისთვის ახალი წლის მისალოცად ემზადებოდა. მასთან ერთად იყო მეუფე ამბროსი, რომელიც შემდეგ მოკლეს და დღეს მის შვილს ასამართლებენ. პირდაპირი ჩართვის სტუდია უკვე გამზადებული იყო, რომ ღამე მოფრინდა ვერტმფრენი და პარლამენტის ეზოში ბომბები ჩამოყარა. რა თქმა უნდა, გაყვანილობა გაითიშა და გარე სამყაროსთან კავშირი გაწყდა. დარტყმის ძალამ ჩვენ სად მიგვყარა, არ მახსოვს. ძლივს მოვედით გონს და მერე ერთმანეთს ვეძებდით სიბნელეში. ამ დროს სიგუა რეკავს და გვითვლის, თეთრი დროშები გადმოფინეთო, თბილისის კომენდანტი ყარყარაშვილი ბუნკერის აფეთქებით იმუქრება და თენგიზ კიტოვანი სისხლში ჩახრჩობას გვპირდება.. იცით, ყველაფრის მიუხედავად, კიტოვანის მებრძოლებს და 17-18 წლის მხედრიონელ ბიჭებს ვერ ვამტყუნებ. ისინი თავიანთი მეთაურების ხელში ბრმა იარაღად იქცნენ. ძალიან მაგარი გული უნდა გქონდეთ, რომ საბურთალოს ძმათა სასაფლაო ნახოთ, სადაც ზვიადის მებრძოლები და მხედრიონელები ერთმანეთის გვერდიგვერდ, ძმურად, განისვენებენ. თავის დროზე, სამაჩაბლოში ორი ქართველი ვაჟკაცი რეზო ურიდია და მისი თანამებრძოლი მუხანათურად მოგვიკლეს ოსებმა და ზვიად გამსახურდიამ გადაწყვეტა, რომ გახსნილიყო ძმათა სასაფლაო, სადაც ერთად დაიკრძალებოდნენ ის ადამიანები, რომლებმაც საქართველოს შეწირეს თავი. რეზო ურიდია შემდეგ აქ დაკრძალეს ვარაზ ვარაზაშვილი, აჩიკო რამიშვილი, სხვები და სხვები. ამ ბიჭებს მხედრიონელებიც მოჰყვნენ და დღეს ერთად წვანან შეცდენილი ჩვენი თანამემამულეები და მათი მსხვერპლები.

**საუბარს აგრძელებს ტექნიკური უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკოსი ზურაბ ვარდოსანიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ სანამ მოქმედი თუ მომავალი ხელისუფლებების მიერ კრემლის დაგეგმილი შეიარაღებული პუტჩის სამართლებრივი შეფასება არ მოხდება, საქართველოს არა თუ გაბრწყინების, სახელმწიფოდ ქცევის პერსპექტივაც არა აქვს.**

— როცა სამოქალაქო დაპირისპირებაზე ვფიქრობ, მგონია, რომ მისი თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ხელისუფლება ემზადებოდა თბილისის ზღვაზე და სხვადასხვა ადგილას დაბანაკებული უკანონო სამხედრო ფორმირებების განიარაღებისთვის, მაგრამ ნოდარ ნათაძემ ე.წ. ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მოახერხა ხალხის განწყობა ზვიადის წინააღმდეგ, თითქოს ის სისხლისღვრას აპირებდა. ბანდფორმირებების იზოლირება რომ მომხდარიყო, სამოქალაქო დაპირისპირების და საბჭოთა რევანშის თავიდან აცილებას შევძლებდით.

**— სად იყო ამ დროს დისიდენტი გამსახურდიათი აღფრთოვანებული ამერიკის ხელისუფლება?**

— როგორც ჩანს ამერიკისთვის მოდიფიცირებული საბჭოების გორბაჩოვისეული მოდელი სრულიად მისაღები იყო. გასაოცარ რამეს გეტყვით.. 1993 თუ 94 წელს, როცა ქვეყნის სათავეში უკვე სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლება იყო, ამერიკის საელჩოს მდივანთან, ქალბატონ გრინთან შეხვედრა მომიწია. ჩვენ ხშირად გვქონდა შეხვედრები და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. ამ შეხვედრაზე ვკითხე, რატომ არ დაგვიჭირა ამერიკამ მხარი ისე, როგორც უნდა დაეჭირა თქო და იცით რა მიპასუხა? რად გინდათ დამოუკიდებლობა, საბჭოთა ეკონომიკურ სივრცეში რომ იყოთ, თქვენი დახმარება უფრო გაგვიადვილდებოდაო. აქედანაც ჩანს, რომ ამერიკელებს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე. „პერესტროიკა“ ანუ მოდერნიზებული კავშირი ხომ ამერიკისა და დასავლეთის ხელშეწყობით შენდებოდა და როგორც ჩანს ეს მათთვის სრულიად მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ვაი პოლიტიკოსს, რომელმაც მერე შეცდომა აღიარა, ზვიადის წინააღმდეგ ხალხი რომ არ განეწყო, ამ პრობლემას გადავლახავდით და როგორც ამერიკა, ისე ევროპა მხარს დაგვიჭერდნენ. ამაზე ისიც მოწმობს, რომ თბილისის პუტჩამდე მხოლოდ ერთ ქვეყანას, რუმინეთს ვყავდით აღიარებული, პუტჩის დაწყების შემდეგ კი რამდენიმე დღეში თხუთმეტმა ქვეყანამ გვაღიარა. ჩვენ საბჭოთა რევანშისტული სისტემა დაგვიპირისპირდა. შემთხვევითი არ იყო, რომ უზენაეს საბჭოზე შეტევა 22 დეკემბრის დილას დაიწყო. 21 დეკემბერს იყო სტალინის დაბადების დღე, ხოლო 26 დეკემბერს ბელორუსიაში საბჭოთა კავშირის დაშლილად გამოცხადება იგეგმებოდა. მიდიოდა ბრძოლა იმისათვის, რომ კავშირის დაშლა ოფიციალურად არ გაფორმებულიყო და კიტოვანმა, რომელსაც რეიგანმა ჰომო სოვეტიკუსი უწოდა, ამისთვის ყველაფერი გააკეთა. უკვე ბუნკერში მყოფ გამსახურდიას რაღაც ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. მოკლედ, ყველაფერი, თავიდან ბოლომდე საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მომზადებული სცენარით განვითარდა.



ზურაბ ვარდოსანიძე

**— 22 დეკემბრის დილა და პირველი გასროლა გაიხსენეთ..**

— ოცდაორში დილას რომ მივედი, უზენაეს საბჭოში შესვლამდე ოპოზიციის მიტინგს გადავხედე. სიტუაცია ისეთი იყო, თითქოს შესარიგებლად და ზვიადის მომხრეებთან გასაერთიანებლად იყვნენ მოსულები. ამ დროს, ეკლესიის წინ იდგა ორი მანქანა, ერთში რაკეტები, ხოლო მეორეში უზენაესი საბჭოს შენობისკენ მიმართული სარაკეტო მოწყობილობა იყო განთავსებული. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ პუტჩისტები ზვიადის მომხრეებს ამოფარებული აპირებდნენ უზენაესი საბჭოს შენობაში შესვლას. რა თქმა უნდა, ზვიადი თავის მომხრეებს არ ესროდა და შენობაში დაუბრკოლებლად შევიდოდნენ. როგორც კი ვნახე ეს შეიარაღება, მაშინვე წავედი პარლამენტის შენობისკენ და სროლაც შეწყდა. შენობიდან თავდაცვის მინისტრმა ფიცხალაიშვილმა და დეპუტატებმა დამინახეს და დამიძახეს უკან დაბრუნდითო. უკან დაბრუნება არც მიფიქრია, ისე გავაგრძელე გზა და ამ დროს ისროლეს პირველი ქვემეხი. ქვემეხის მეორე გასროლას დეპუტატი რამიშვილი შეეწირა. მე უვნებლად შევაღწიე შენობის მარცხენა ფლიგელში, სადაც ნაცნობი სახეების გარდა, დიდი ქაოსი გამხვდა. ბევრი იყო ისეთი ხალხი, რომლებსაც იქ არაფერი ესაქმებოდათ, მაგრამ მომენტით ისარგებლეს და პრეზიდენტს თავი მის მომხრეებად მოაჩვენეს. იმავე 22 დეკემბერს გაიმართა უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელზეც იხილავდნენ პუტჩისტების მოთხოვნას პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებით. ჩემი აზრი ასეთი იყო, რომ პუტჩისტები არავითარ პირობას არ შეასრულებდნენ და გამსახურდიას გადადგომისთანავე მოკლავდნენ ან დააპატიმრებდნენ. ამასთან, პრეზიდენტის ნაბიჯი მოსახლეობის მიერ აღქმული იქნებოდა როგორც შიშიო და უკანდახევა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ საქართველო ჯერ არ იყო აღიარებული საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ და ზვიადის გადადგომის შემდეგ მოსული ხელისუფლება აღიარების მოთხოვნას შეწყვეტდა. ეს ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირში დაბრუნების ტოლფასი იყო.

**— კანონიერი ხელისუფლების განდევნის შემდეგ, თქვენ ტერორიზმის ბრალდებით დაგაპატიმრეს. საპყრობილეს როგორ გადაურჩით?**

— მე 1992 წლის 5 ოქტომბერს, არჩევნებამდე 6 დღით ადრე დამაპატიმრეს, როგორც ტერორისტი. რა თქმა უნდა, დაპატიმრების მიზეზი არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება იყო. საბოლოოდ, ვერ გამასამართლეს, რადგან ეს აბსურდული დანაშაული არ ვაღიარე. ე.წ. კაპეზეში საშინელი წამება გავიარე, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობაზე მაინც ვერ დამითანხმეს. მე წამების მსხვერპლად მაღიარა ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორიც „HUMAN RIGTS WATCH“-ია. ალბათ, საპატიმროში ცოცხალსაც არ დამტოვებდნენ, რომ „წითელი ჯვრის“ თანამშრომლებს ერთი ამბავი არ აეტეხათ. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება, სანამ არ მოვა ღირსეული და გამბედავი ხელისუფლება, რომელიც 1991-92 წლის მოვლენებს შეაფასებს და თავის სახელს დაარქმევს.

**ნელი თორდია**

**571 35 36 88**



მორეს კურტანიძე

# კურტანიძის ცხრაწლიანი გოლგოთა და გულგრილი „საქართველოს დირექტორები“

**ალბათ ახალს არაფერს ვიტყვით, რომ არასამთავრობო სექტორის მიმართ, ვგულისხმობთ მის „ელიტურ-ვარსკვლავურ“ ნაწილს, საზოგადოების ნდობის ხარისხი ძალზე დაბალია. რატომღაც ყველა თემაზე კომენტარი „ელიტარებმა“ უნდა აკეთონ, რა კომპეტენციისა და დამსახურების გამო ეკითხებიან ყველაფერზე ჭკუას ქართული ტელევიზიები ამ უფლებადამცველის მანტიამორგებულებს, საკითხავი ეს არის. ვინ დანიშნა ეს ხალხი საქართველოს „დირექტორებად“, ეს კითხვა არაერთხელ დაუსვამთ ჩვენს რესპოდენტებს. კომპეტენტურობას რომ თავი დავანებოთ, რა პრინციპით იცავენ ხსენებული უფლებადამცველები ხალხის ინტერესებს, შემთხვევით შერჩევითობას ხომ არ აქვს ადგილი, ეს კითხვები არაერთხელ გაგვჩენია, მაგრამ უფრო აქტუალური მას შემდეგ გახდა, როცა ყაჩაღობისთვის ორჯერ ნასამართლევი მორეს კურტანიძეს მოვუსმინე, რომელსაც, მისივე თქმით, ცხრა წელი უკანონოდ „ახეხინეს“ ციხის კედლები და არაერთხელ გამხდარა ცემა-წამების მსხვერპლი. ჩვენს რესპოდენტს პატიმრობის პერიოდში და შემდეგაც დახმარების თხოვნით არაერთხელ მიუმართავს, როგორც სახალხო დამცველისთვის, ისე ზემოხსენებულ უფლებადამცველთათვის, თუმცა ან პასუხის ღირსად არ თვლიდნენ, ანდა შაბლონური უარით იფარგლებოდნენ.**

**მორეს კურტანიძე:** „პირველად 2005 წლის შემოდგომაზე დამაკავეს სხვისი ქონების განადგურების და ყაჩაღობის ბრალდებით. საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე გიორგი ჩემია) მხოლოდ ცრუ დაზარალებულისა და ორი მოწმის (აქედან ერთი არარსებული პიროვნებაა) გამასამართლა, სასჯელები ნაწილობრივ შემიკრიბა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა. ციხეში 8 წელი და 10 თვე უმძიმეს პირობებში გავატარე, რის გამოც მძიმედ დავავადმყოფდი, პატიმრობიდან 2013 წლის გაზაფხულზე, სანიმუშო ყოფაქცევის მოტივით გამათავისუფლეს, გარკვეულწილად ამნისტიაც შემეხო. ვფიქრობ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო გამათავისუფლეს, რადგან შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი და არ უნდოდათ ზედმეტი მიცვალებული მიწეროდათ. რაც შეეხება ჩემს მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, ვმუშაობდი ფირმა „უნივერსალში“, რომელიც დედაქალაქიდან 50 კილომეტრის რადიუსში ფერად და შავ ლითონებს შეისყიდიდა. ამავე ფირმის წარმომადგენელი იყო ჩემი სიძეც. სამი ბაზა გვქონდა და თითქოს ერთ-ერთი, სამგორის ტერიტორიაზე მდებარე 5 კვ.მ ფართის მქონე დაქირავებული ე.წ. ოფისი 2005 წლის 24 თებერვალს დავწვი და 800 ლარი გავიტაცე, ამ თანხაზე სამჯერ მეტი ხელფასი მქონდა, რომელი ჭკუათმყოფელი ჩაიდენდა ასეთ დანაშაულს. თურმე ესეც არ ვიკმარე და დაახლოებით ორი კვირის (2005 წლის 10 მარტი) მერე, ჩვენი ფირმის მუშა, რომელიც წინა ეპიზოდშიც დაზარალებულად ფიგურირებდა, დავაყაჩაღე და 900 თუ 1000 ლარი წავართვი, არადა არსებობს ორი მოწმე, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ იმ პერიოდში ფოთში ვიყავი. მათ დაკითხვასთან ერთად, მობილური ტელეფონის ზარების ამონაწერის ამოღებასაც ვითხოვდი, რაზეც ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის გამომძიებელმა ალეკო დოლონაძემ მიპასუხა, შეიძლება მართლაც ფიქსირდება შენი ნომერი ფოთში, მაგრამ იქნებ ვინმეს ათხოვე ტელეფონიო, ჩემს სახლზე სამი სიმ-ბარათი ირიცხებოდა და ყველა ვათხოვე, ამ შემთხვევაში ხომ უნდა დაედგინათ ვის ვათხოვე? ფოთში ყოფნისას ახლობლებმა დამირეკეს, ყაჩაღობას და ბაზის დაწვას გაბრალებენო. მაშინვე დავუკავშირდი გამომძიებელს, რომ თანახმა ვიყავი დავეკითხე, თუმცა რამდენიმე საათში შემატყობინეს, რომ ე.წ. დაზარალებულისა და მოწმის მიმართ ცრუ ჩვენების მიცემის გამო სს-ის საქმე აღძრეს, მაგრამ აღარ დაუჭერიათ. ჩემი ინფორმაციით, მაშინდელი უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნის მეშვეობით მათგან 2000-2000 დოლარი აიღეს და საქმე შეწყვიტეს. ამ ამბიდან რვა თვის მერე რომ დამაკავეს, ეს მასალები საერთოდ გამქრალი იყო. სხვისი ქონების განადგურების საქმეს ხსენებული პოლიციის გამომძიებელი ნანა ჯინჯიხაძე იძიებდა, მან მიმართა სასამართლოს ჩემთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, ხოლო ყაჩაღობის საქმეს, ალეკო დოლონაძე იძიებდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დანაშაულში ერთი და იგივე პირი, ანუ მე „ვიმხილებოდი“, დაზარალებული და მოწმეც იგივენი იყვნენ, გამოძიებასაც ერთი სამსახური აწარმოებდა, ეს ორი საქმე რატომღაც არ გააერთიანეს. მიზეზი მოგვიანებით პროფესიონალმა სამართალდამცავებმა ამიხსნეს, პოლიციამ იცოდა, რომ დამნაშავე არ იყავით და დანაშაულობები სხვადასხვა პირების მიერ იყო ჩადენილიო. საქმის მეორე მოწმე დარწმუნებული ვარ მოგონილი პიროვნებაა, ის სასამართლოზე არ გამოცხადებულა, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ მისი იძულებით მოყვანა მოითხოვა, რატომ არ მოიყვანეს, ჩემთვის დღემდე გაუგებარია და არც მისი წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება გამოუქვეყნებიათ. „რეალურმა“ მოწმემ კი სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ შეეშალა და დამნაშავე სულ სხვა პირი იყო. მისმა განცხადებამ ისე აღაშფოთა მოსამართლე გიორგი ჩემია და პროკურორი ნინო ლაზაშვილი, რომ მოწმეს დაემუქრნენ, კურტანიძეს გაგაყოლებთ ციხეშიო, რის შემდეგაც მან უარყო ი ეს განცხადება და წინასწარ გამოძიებაში მიცემულ თავის ჩვენებას დაეთანხმა. არ არის ეს მოწმის მიმართ შანტაჟი? მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ალიბის მოწმის ჩვენება და ჩემს წინააღმდეგ არ არსებობდა ფაქტობრივი მტკიცებულებები საეჭვო პირთა განთქმის გარდა, 15 წელი მომისაჯეს. ყველა ის პირი ვინც ჩემს მიმართ საქმე „შეკერა“ და შემდგომ „გააპრავა“, დღეს დაწინაურებულია, გიორგი ჩემია სააპელაციოს მოსამართლე გახლავთ, ქალბატონი ლაზაშვილი კახეთის საოლქო პროკურორია, ხოლო გამომძიებელი ნანა ჯინჯიხაძე შს სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გადაიყვანეს, რაც შეეხება ალეკო დოლონაძეს, რა „მოღვაწეობას“ ეწევა ჯერ ვერ გავარკვიე.

**- რატომ იყვნენ დაინტერესებული თქვენი დაჭერით?**

- როგორც გითხარით, ჩემი სიძე ბიზნესმენია, სააკაშვილის მმართველობისას როგორ „ახევდნენ“ ბიზნესმენებს ფულსა თუ ბიზნესს, კარგად მოგეხსენებათ, იმ მომენტში ყველაზე სუსტი წერტილი მე მნახეს და ფიქრობდნენ, რომ ამ საბაბით „გაწეწავდნენ“ ჩემს სიძეს. განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრე, რომელმაც (კოლეგია - მზია ლომთათიძე, მარინა ხოლუაშვილი, რუსუდან ჭანტურიძე) ერთი წლით შემიმცირა სასჯელი, უზენაესმა სასამართლომ კი, როგორც მაშინ წესად ჰქონდათ, არც განიხილა ჩემი საკასაციო სარჩელი. დაკავებისთანავე (2005 წლის ოქტომბერი) №5 საპყრობილეში (ორთაჭალის ციხე) გადამიყვანეს, სადაც უმძიმეს პირობები იყო, 20-კაციან საკანში 114 პატიმარი ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ მე-5 საპყრობილე საგამოძიებო იზოლატორი იყო, მსჯავრდების შემდეგაც კაი ხანს მომიწია იქ ყოფნა, ციხის ბუნტისას განხორციელებული უმოწყალო დარბევაც საკუთარ ტყავზე ვიწვნიე. სასჯელის მოხდის ბოლომდე მქონდა კომუნიკაცია, როგორც სახალხო დამცველის ოფისთან, რომელმაც იმ პერიოდში სამი ხელმძღვანელი გამოიცვალა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი), სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური/თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო, ტელევიზიით სულ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩანდნენ და ისეთ მაღალფარდოვან განცხადებებს აკეთებდნენ, მეგონა მართლა დამეხმარებოდნენ, მით უმეტეს ევროსასამართლოშიც მინდოდა საჩივრის შეტანა. ყველას ერთნაირი პასუხი ჰქონდა, რომ თურმე ჩემს საქმეში არანაირი კანონდარღვევა არ მომხდარა, ყველაფერი სამართლიანი იყო, თქვენ ევროსასამართლო მეოთხე ინსტანცია გგონიათ, რაც სინამდვილეში სწორი არ არისო და ა.შ. რუსთავის №2 კოლონიაში ყოფნისას პირადად ვესაუბრე მაშინდელ სახალხო დამცველ სოზარ სუბარს, ავუხსენი, რომ არაერთხელ მივმართე განცხადებით მის აპარატს, მაგრამ რეაგირება არ ხდებოდა, მან ჩაიწერა ჩემი გვარი და დაპირებებიც მივიღე, მაგრამ იგივე განმეორდა. სხვათა შორის, პირველი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგაც (2013 წლის ივნისი) არაერთხელ მივმართე უკვე სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს და როგორც იქნა ვეღირსე, რომ საქმე შეესწავლათ და დასკვნა დაედოთ. ხელოვნურად მიქმნიდნენ პრობლემებს, არ უნდოდათ ობიექტური დასკვნის გაკეთება, თქვენ წარმოიდგინეთ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა (თამარ შვანგირაძე და გვანცა ჩხაიძე) ვაკე-საბურთალოს პოლიციაშიც კი მიჩივლეს, რომ თითქოს ვემუქრებოდი. პოლიციას ვთხოვდი ყველაფერი გადაემოწმებინათ, რომ ჩემს სიმართლეში დარწმუნებულიყვნენ. ბოლოს იძულებული გავხდი „მეცხრე არხის“ ჟურნალისტებისთვის მიმემართა, მხოლოდ ამის შემდეგ იკადრა სახალხო დამცველის ოფისმა ხსენებული დასკვნის დადება, რომელსაც მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ნათია კაციტაძე აწერს ხელს. ეს ქალბატონი წარსულში „კონსტიტუციის 42- მუხლის და „საიას“ წარმომადგენელი გახლდათ, ასე რომ, სახალხო დამცველის აპარატი (და არამარტო ეს ორგანიზაცია) ე.წ. ელიტური არასამთავრობო ორგანიზაციების ყოფილი თანამშრომლებითაა დაკომპლექტებული. ჩაწერილი მქონდა ყველა მათი საუბარი, მაგრამ პოლიციამ მობილური ტელეფონი რომ ჩამომართვა, ყველაფერი წაშალეს.

ჩემს საქმეში ისეთი დარღვევებია, რომ ევროსასამართლოს განხილვას ნამდვილად ექვემდებარება, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება უფრო იმიტომ მინდოდა, რომ შესაბამისი სარჩელი შედგენილო იქ გასაგზავნად, რადგან მატერიალურად ისე მიჭირდა, რომ კვალიფიციური ადვოკატის აყვანას საერთოდ ვერ ვახერხებდი. „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ არაერთი მიმართვის შემდეგ ასეთი პასუხი გამცა, რომელსაც გამგეობის წევრი ნინო ელბაქიძე აწერს ხელს (2007 წლის 11 ივნისი), რომ ამ ეტაპზე სამწუხაროდ მოკლებული ვართ შესაძლებლობას იურიდიული დახმარება გაგიწიოთ, რადგან ის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია სს-ის საქმეებზე უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევდა მოქალაქეებს დღეისთვის უკვე დასრულებულიაო. ამ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ლეგაშვილი 2009 წლის



→

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თებერვალში იურიდიული დახმარების სამსახურს წერს, რომ ადვოკატს გამომიგზავნიდნენ, რაც აქამდე იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ 2008 წლის ომის დროს დაზარალებულების იურიდიულ დახმარებაზე იყო მიმართული ორგანიზაციის მთელი რესურსიო. ამ წერილის მიწერიდან რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ მათი ადვოკატი თვალით არ მინახავს „საიამ“ (ხელმძღვანელი გიორგი ჩხეიძე) კი თურმე იმიტომ თქვა უარი ჩემი საქმის წარმოებაში მიღებაზე, რომ იგი შინაარსიდან გამომდინარე არ მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიის საქმეს, რომელსაც პერსპექტივა ექნებოდა ევროსასამართლოში წარმატებულობის თვალსაზრისით. ჩხეიძის „მემკვიდრეებისგანაც“ იგივე შინაარსის წერილებს ვღებულობდი. როგორც გითხარით, უმძიმეს პირობებში მიწევდა სასჯელის მოხდა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა, უფლებადამცველებისთვის რეალურად უშედეგეო მიმართვის გამო, არაერთხელ გავმხდარვარ ცემა-წამების მსხვერპლი, რუსთავის №2 დაწესებულებიდან (ნახევრად ღია რეჟიმია) ჯერ რუსთავის №6 საპყრობილეში გადამიყვანეს, მოგვიანებით კი ორთაჭალის ე.წ. კრიტში, სადაც მძიმე ავადმყოფმა ოთხი წელი გავატარე. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს დაწესებულება იქ არსებული საშინელი პირობების გამო დახურეს. 2010 წლის თებერვალში ჩემს წამებასთან დაკავშირებით, ადვოკატი ელგუჯა ჩხაიძე იყო შემოსული, რომელსაც ხშირად მიყავს გადაცემები „ობიექტივის“ ეთერით, მას გავატანე ჩემი განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია ნანა კაკაბაძისთვის გადასაცემად. იგი მეორედ შემოსვლისას მატყუებდა, რომ დოკუმენტები კაკაბაძეს გადასცა, არადა ვიცოდი, რომ ხსენებული დოკუმენტაცია ადმინისტრაციის ხელში აღმოჩნდა, რის გამოც გამომიძახეს და მცემეს. ჩხაიძემ ჯერ იუარა, თუმცა მერე წერილობით დამიდასტურა, რომ №1 საპყრობილის თანამშრომლებმა დოკუმენტები ჩამოართვეს, ჩვენ გადავუგზავნით ოფიციალურად ნანა კაკაბაძესო. ამ ფაქტზე რატომ არ მოახდინეს რეაგირება „დიდმა“ უფლებადამცველებმა, ახლა ბევრს რომ ბაქიბუქობენ. ციხეში როცა ჩამსვეს, პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოვაცხადე, ვითხოვდი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ელენე თევდორაძესთან შეხვედრას. ქალბატონ თევდორაძეს ავუხსენი რაც მოხდა, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოყოლია. მივმართე ამავე კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასაც, 2013 წელს ციხიდან გავუგზავნე სახალხო დამცველის დასკვნა და სხვა დოკუმენტაცია, პასუხად ან იმას მწერდნენ არ არის განხილული, ან განხილვის პროცესშიაო. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ რამდენჯერმე დავურეკე ქალბატონ ბესელიას, მაგრამ უშედეგოდ.

**- გასაგებია, რომ „ელიტურმა“ არასამთავრობოებმა თავი არ შეიწუხეს „უბრალო მოკვდავის“ გამო, ისინი ხომ ე.წ. რეზონანსულ საქმეებს ეძებენ, რომ ტელეკამერების წინ იკეკლუცონ, მაგრამ სახელმწიფო ხომ ვალდებული იყო თქვენთვის სახაზინო ადვოკატი დაენიშნა?**

- პირველად როცა დამაკავეს, პროკურატურამ წარმომიდგინა სახაზინო ადვოკატი ზაზა არჩვაძე, მას გამომძიებლის თანდასწრებით ვუთხარი, რომ დაეწერა საჩივარი კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით, ხომ გითხარით, როგორ შეწყვიტეს სს-ის საქმე ცრუ ჩვენებებთან დაკავშირებით, რაზეც მან მიპასუხა, რომ ისე და გამომძიებელი ალეკო დოღონაძე მეგობრები იყვნენ და ამ უკანასკნელთან ურთიერთობას ვერ გაიფუჭებდა. რა თქმა უნდა, მას მაშინვე მივეცი აცილება, თუმცა შემდეგ არჩვაძე დედაჩემთან (აწ გარდაცვლილი) მივიდა, როგორც ჩემს მიერ გაგზავნილი ჩემი ინტერესების დამცველი და მას 100 დოლარი ასე მოტყუებით გამოსძალა. ამის თაობაზეც შევიტანე საჩივარი პროკურატურასა და სასამართლოში, მაგრამ უშედეგოდ. არჩვაძე დღესაც ეწევა ადვოკატობას. მერე ადვოკატი თემურ ნასარაია ავიყვანე, რომელსაც თანხა გადავუხადე. სააპელაციო სასამართლოში ჩემს ინტერესებს ადვოკატი შორენა ღვინჯილია იცავდა (მასაც გადავუხადე მომსახურების თანხა), რომელმაც სასამართლო სხდომაზე თქვა უარი ჩემს დაცვაზე, ერთმანეთში ვერ ვთანხმდებითო. მოსამართლე მზია ლომთათიძემ ვითომ არაფერი მომხდარაო, ისე გაუშვა ღვინჯილია დარბაზიდან, დავრჩი დაცვის გარეშე. იმ ადვოკატის დაბრუნება მოვითხოვე, ვინც პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცავდა, მაგრამ უარი მითხრეს, დამინიშნეს სახაზინო ადვოკატი, რომელსაც საქმის გასაცნობად ნახევარი საათი მისცეს და იმ დღესვე გამომიტანეს განაჩენი. თუმცა დავუბრუნდეთ „ენჯეოშნიკების“ თემას, რადგან მინდა საზოგადოებამ იცოდეს ვისთან გვაქვს საქმე. ბოლო პერიოდში „საიას“ რომ მივმართე, პარალელურად განცხადება ნანა კაკაბაძესაც გავუგზავნე, რომ ჩემს მიმართ არაადამიანური მოპყრობა ხორციელდებოდა და ვთხოვდი სამართლებრივი დახმარება აღმოეჩინათ. „საიას“ მაშინდელი თავმჯდომარე, აწ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი თამარ ხიდაშელი სატელეფონო საუბრისას პირდაპირ დამემუქრა, თავი დამანებე კურტანიძე, შენნაირი ათასი პატიმარი მირეკავს, თორემ დავურეკავ ციხის ადმინისტრაციას და ნახავ რაც მოგივაო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დაიცავს ეს





ქალბატონი ამომრჩევლების ინტერესებს... სხვათა შორის, ნანა კაკაბაძემ ამ თემაზე პრესკონფერენცია ჩაატარა, ერთ-ერთ გაზეთშიც დაიბეჭდა, თამარ ხიდაშელმაც გააკეთა კომენტარი და რა თქმა უნდა, ყველაფერი „შეალამაზა“. მეორე პატიმრობა როცა მოვიხადე, მაშინაც მივმართე ამ ე.წ. უფლებადამცველებს, მაგრამ იგივე იგნორირება. ანა ნაცვლიშვილმა „ტელევარსკვლავად“ რომაა ქცეული, როცა დახმარება ვთხოვე, აქეთ გამომლანძღა, ჩაციკლული ხომ არ ხარ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაზე, სხვა ორგანიზაცია აღარ არსებობს, ისინი დაგეხმარონო. არც მომისმინა ისე შევარდა კაბინეტში. სახალხო დამცველი და ეს „ელიტარები“ ცდილობენ თავიდან აიცილონ ნაციონალების ნამოქმედარის ობიექტური შეფასება, უფრო მეტიც, მიჩქმალონ და „გააპრავონ“, თუ მათი ინტერესი დევს, შეიძლება დღეს მომხდარზეც დახუჭონ თვალი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დასავლეთიდან მსუყედ იმიტომ ფინანსდებიან, რომ მოქმედი მთავრობის დისკრედიტაცია მოახდინონ.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ბოლო ხუთი წელი ციხის დირექტორ სერგო კეკელაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. რუსთავის №6 საპყრობილეში რომ გადამიყვანეს, იგი ამ დაწესებულების დირექტორი იყო, მოგვიანებით №1 საპყრობილის დირექტორად გადაიყვანეს და მეც იქ „გადამამისართეს“, სადაც ოთხი წელი გავატარე. თითქოს ციხის შინაგანაწესს ვარღვევდი და იმიტომ დამსაჯეს. მე-6 საპყრობილეში ჩემზე და ალბათ სხვა „ურჩ“ პატიმრებზეც ექსპერიმენტს ატარებდნენ, საკანში დამონტაჟებული იყო თვალისთვის ფაქტობრივად შეუმჩნეველი ვიდეოთვალი, თირკმელი დაზიანებული მქონდა, სისხლიც მომეწამლა, საშინელი ტკივილები მქონდა, ექიმს როცა ვითხოვდი, სიმულანტი ხარო, საჭმელში ფსიქოტროპულ საშუალებებს ურევდნენ და 24-საათის განმავლობაში მაკვირდებოდნენ. აღმოვაჩინე და ამოვთხარე კედლიდან ეს ვიდეოთვალი, რომელიც ასანთის თავის ოდენა იყო, ამის შემდეგ ორჯერ შემიცვალეს საკანი, როცა იქაც გამიჩნდა ეჭვი, ეტყობა ინფორმატორი ყავდათ, მან გააგებინა და ორთაჭალის „კრიტში“ გადამიყვანეს, სადაც სერგო კეკელაშვილი დამხვდა. თეა წულუკიანი ოპოზიციაში რომ იყო, რამდენჯერმე დავუკავშირდი ტელეფონით და საქმის კურში ჩავაყენე როგორ მაწამებდნენ და დახმარება ვთხოვე. მან გამომიგზავნა ეკა სირაძე, რომელიც არ ვიცი ალასანიას პარტიის იურისტი იყო თუ მოქმედი ადვოკატი. ამ ქალბატონს ყველაფერი მოვუყევი, აშკარად ჩანს, რომ მომკლავენ-თქო, შევთავაზე რომ დავწერდი, მაგრამ უარი მითხრა, გადავეცი ყველა დოკუმენტი. სირაძე დამემშვიდობა და ცოტა ხანში მესმის სერგო კეკელაშვილს ესაბრუბა, მან ვერ შემნიშნა, რადგან კედელი მფარავდა. ერთი სიტყვით, ამ ქალბატონმა ყველაფერი „ჩაუკაკლა“ №1 ციხის დირექტორს. მოფარებულიდან გამოვედი, სირაძემ ერთი კი შემომხედა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ამისთვისაც მწარედ მომხვდა. თეა წულუკიანს ესეც ვაცნობე, იმის შემდეგ ორი წელი ტელეფონს აღარ გამაკარეს, სანამ ხელისუფლება არ შეიცვალა. ჯერ ისევ ნაციონალები იყვნენ ხელისუფლებაში (ციხის ამაზრზენი კადრების გავრცელების შემდეგ), როცა ციხეებში საპატრულო პოლიცია შემოვიდა, რაც ზუსტად იმის ანალოგი იყო, საბჭოთა ჯარი რომ შევიდა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. სხვათა შორის, ნაციონალების მმართველობისას ქსნის კოლონიაშიც მომიწია ყოფნა, 400 კაცზე გათვლილ დაწესებულებაში 2900 პატიმარი იხდიდა სასჯელს, საშინელი ანტისანიტარია იყო. პირველად მაშინ დავურეკე თამარ ხიდაშელს, იქ ერთი აქტიური ახალგაზრდა იყო და მისი გვარიც ვუთხარი. ლამის ცემით მოკლეს ის ბიჭი და ოცი დღით კარცერში ჩააგდეს, მეც ჩამსვეს კარცერში და ისევ №1 დაწესებულებაში დამაბრუნეს. 2012 წლის დეკემბერში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქსანში გადამიყვანეს, ის საშინელი დაწესებულება უკვე დახურული იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის თანამშრომლები, რომლებიც წლების განმავლობაში მაწამებდნენ, დააწინაურეს სოზარ სუბარის მინისტრობისას და ქსნის კოლონიაში ვინ უსაფრთხოების უფროსად და ვინ რეჟიმის უფროსად დანიშნეს. ისეთი ტკივილები მქონდა, თავის მოკვლა გადავწყვიტე, მარტო ფსიქოტროპულ წამლებს მაძლევდნენ, რაც ტკივილს არ შველოდა, ნევროზი გაქვს, სიმულიანტობო. ბოლოს ე.წ. ბურში ჩამკეტეს ჩუმად რომ ვყოფილიყავი. ვადამდე გათავისუფლებაზეც უარი მითხრეს, არადა სასჯელის ნახევარზე მეტი მოხდილი მქონდა, თან უმძიმესი ავადმყოფი ვიყავი, ვერც სასმელს ვიღებსი და ვერც საჭმელს, თირკმელი 75%-ით მქონდა გადიდებული, თირკმლის ამოკვეთა უნდოდათ, მაგრამ უარი ვუთხარი. ბოლოს როგორც იქნა გამომიშვეს.

**- მეორედ ვინღა „დააყაჩაღეთ“?**

- სხვათა შორის, ისევ ისანისამგორის №11 განყოფილებამ დამაკავა გასულ წელს, თითქოს ჩემს ნაცნობს იაფფასიანი მობილური ტელეფონი წავართვი. საქმე იმაშია, რომ ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე პოლიციამ ეს პიროვნება დააკავა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით და მე მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას მაიძულებდა. რაც არ მომხდარა როგორ დამებრალებინა, ამიტომ უარი ვთქვი, თუმცა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ის მაინც დააჯარიმა 500 ლარით. ორი კვირის მერე დამიკავშირდნენ ხსენებული განყოფილებიდან და პოლიციაში გამოცხადება მომთხოვეს, უწყების გარეშე მისვლაზე უარი ვთქვი. ამის შემდეგ დამიკავშირდა ეს ჩემი ნაცნობი და მთხოვა ნივთების გადატანაში მივხმარებოდი. დავთანხმდი, მას ტელეფონი ვთხოვე, ნომერი თუ რაღაც ამგვარი, ამ დროს ვნახე იმ პოლიციელთან (ილია გვენეტაძე) გამავალი ზარი, რომელმაც დილით მე დამირეკა. ეს ნომერი საიდან გაქვს, რა ხდება-თქო, შევკამათდით, დამარტყა, მეც დავარტყი, გაიქცა და თავისი ტელეფონი ხელში შემატოვა, ეს იყო სულ. დამაკავეს და ყაჩაღობის ბრალდება წამიყენეს, მართალია მოსამართლემ ყაჩაღობის ბრალდება მომიხსნა, მაგრამ ერთი წელი მაინც მომისაჯა, რაც კალენდარულად მოვიხადე. სწორედ ამ პატიმრობის შემდეგ იყო ქალბატონი ნაცვლიშვილის ორგანიზაციას დახმარებისთვის რომ მივმართე და მისი რისხვა დავიმსახურე. პოლიციამ ჩემი ნაცნობის მეშვეობით აშკარად პროვოკაცია მომიწყო, ჯერ რაღაც ქურდობაში მონაწილეობა შემომთავაზეს, უარი რომ ვთქვი, მერე სხვა „ოპერაცია“ დაგეგმეს. დარწმუნებული ვარ ამით არ დაშოშმინდებიან და კიდევ რაიმე უბედურებას შემამთხვევენ, მით უმეტეს, რომ გაჩუმებას არ ვაპირებ, ჩემი საქმის შესწავლას და მორალური ზიანის ანაზღაურებას ვითხოვ. ამიტომ მინდა ჩემი საქმის გასაჯაროება, რაც ერთგვარი პრევენცია იქნება, რომ აბსურდული მიზეზით კვლავ გისოსებს მიღმა არ გამომკეტონ.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



დაიბადა 1965 წლის 17 იანვარს. 1987 წელს დაამთავრა სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის „აგრომელიორაციის" ფაკულტეტი; 1991 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა სპეციალობით „წარმოების მართვის ორგანიზაცია", მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1990 წელს მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის აგროფირმა „თაიგულის"–ის გენერალური დირექტორის მოადგილედ კომერციის დარგში.

1991 წელს აირჩიეს სოფ. მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შემდეგ ამავე სოფლის გამგებლად.

1992 წელს დაინიშნა აგროსამეწარმო „მამათი"–ის დირექტორად;

1993-1996 წწ კომერციული ფირმა „მამათი"–ის გენერალური დირექტორი;

1997–1999 წწ ქ. თბილისის შპს „ფაქარიას" დირექტორი;

1999-2004 წლებში იყო გაზეთ „სრულიად არასაიდუმლოდ" და ჟურნალ „შავი დოსიეს" კორესპონდენტი.

2004-07 წლებში მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზაში" სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

2009 წლიდან დღემდე უკრაინული კომპანია „შტორმის" კომერციული დირექტორი.

ავტორია წიგნისა „გურიაში გურულად".

2013 წლის 29 იანვარს დაინიშნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად.

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში არჩეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლად.

## ზაზა ურუშაძე:

# 2016 წელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის დიდი აღმშენებლობის წელი იქნება

**— მოგესალმებით, ბატონო ზაზა. ჩვენთვის ცნობილია, რომ მიმდინარე წლის პრიორიტეტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა. მოგვიყევით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ.**

— სიამოვნებით. გასულ წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საკმაოდ ბევრი პროექტი მომზადდა და გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 23 ობიექტზე ჩატარდა სამუშაოები, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 180 პროექტი დაფინანსდა. რაც შეეხება მიმდინარე 2015 წელს, ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 19 ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 122 ობიექტზე დასრულდა სამუშაოები, გამოყოფილი იყო 817 447 ლარი. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტს. 53 ობიექტზე უკვე დასრულდა სამუშაოები, რომლებიც ძირითადად ნაპირსამაგრ, ხიდებისა და მილხიდების მშენელობას მოიცავდა. 11 ნოემბერს კიდევ ერთხელ დაგვატყდა თავს სტიქია. ამჟამად მოსაწყობია 12 მილხიდი, აღსადგენია 13 ხიდი, მოსაწყობია 500 გრძივი მეტრი გაბიონი, მოსაწყობია 15 მ ჯებირი, სოფლებში მნიშვნელოვნად დაზიანდა გზები, დაზიანდა 3 საბავშვო ბაღის სახურავი, დატბორილია საყანე ფართობები და ა.შ. საბედნიეროდ, საბავშვო ბაღების სახურავების შეკეთება დროულად მოვახერხეთ და სასწავლო პროცესი, რომელიც რამდენიმე დღით შეწყვეტილი იყო, მალევე აღსდგა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის ყველა სოფელში, ფაქტობრივად, მოშლილი იყო წყლის სისტემა. ამასთან დაკავშირებით, ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა, როგორც გასულ 2014 წელს, ასევე მიმდინარე წელსაც. 2015 წელს 8 ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფლებში: ჩიბათი, შუხუთი, ნინოშვილი, ნიგოითი, ნიგვზიანი, მაჩხვარეთი, აცანა და აკეთი) მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ახლახან ნიგვზიანისა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულებში შპს „უნივერსალ ჯორჯიამ" დაასრულა წყალმომარაგების ახალი სისტემის მოწყობის სამუშაოები. დღეს უკვე 200 ოჯახი გაუმჯობესებული სასმელი წყლით ისარგებლებს. ამჟამად თითქმის ყველა სოფელში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. მამათში ბეტონის გზის დაგება და სანიაღვრე რკინა-ბეტონის არხის მშენებლობა მიმდინარეობს, აცანის ცენტრში მეწყრული ზონის გამაგრებითი სამუშაოები სრულდება, ასევე სოფელ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე სუფსაზე გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს. სოფელ წყალწმინდაში სახიდე გადასასვლელი გაკეთდა, რომლის ღირებულება 444 444 ათას ლარს შეადგენს. რაც მთავარია, რამდენიმე ათეული ოჯახი მოწყვეტილი იყო დანარჩენ სოფელს და ეს კავშირი აღდგა. მნიშვნელოვანია გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე მიმდინარე სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 400 000 ლარი შეადგინა, ახლახან შესრულებული სამუშაოები საქართველოს ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ დაათვალიერა. ახალი კომპლექსი 46 პერსონაზეა გათვლილი და ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსს მოიცავს. ამიერიდან „გურიას" კერძო სასტუმროთი სარგებლობა აღარ მოუწევს.

გარდა ამისა, საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის უკანა მხრის დამეწყრილი მონაკვეთი და ამ მონაკვეთზე არსებულ საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის 1 228 366 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. ჩოჩხათი-გულიანის 12 კილომეტრიანი გზის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. დაიგება შავი საფარი. პროექტის ღირებულება სამი მილიონი ლარია. ტენდერში შპს „სამკუთხედმა" გაიმარჯვა. აღნიშნული გზა შვიდ სოფელს რაიონულ ცენტრთან აკავშირებს, ასევე ოზურგეთი-სუფსა-ფოთს შორის უმოკლესი მანძილია. აღსანიშნავია, რომ ეს გზა წლებია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო გადაადგილება. დღეს უკვე ეს პრობლემა აღარ არსებობს.

**— ჩვენ ჩავწერეთ ინტერვიუ ოზურგეთისა და ჩოხატაურის გამგებლებთან, რომლებმაც საუბარში აღნიშნეს, რომ თანხების დიდი ნაწილი მიმართეს საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციისკენ. ვიცით, რომ ლანჩხუთიც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი...**

— დიახ, მიმდინარე წელს ვაპირებთ მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ საბავშვო ბაღებს. წყალწმინდასა და ჯურუყვეთში მიმდინარეობს ახალი შენობების აშენება, ხოლო მაჩხვარეთის საალმზრდელო ჯგუფს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „ხურო" აწარმოებს. სულ რემონტისთვის 241 000 ლარი დაიხარჯა. 15 ოქტომბერს მაჩხვარეთის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები პირველად შეაბიჯებენ ახლადგარემონტებულ საალმზრდელო ცენტრში. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა აკეთის საბავშვო ბაღსაც.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტებით დაგეგმილია ასევე ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა. ამ პროექტისთვის 723 ათასი ლარია გამოყოფილი.

**— ბატონო ზაზა, რამდენჯერმე დაემთხვა ჩემი თქვენთან ვიზიტი მიღების დღეს და მუდმივად უამრავი ხალხია ფოიეში. ყველაზე მეტად რა პრობლემის გამო მოგმართავთ მოსახლეობა?**

—მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია. მაქსიმალურად ვცდილობთ, დავეხმაროთ შეჭირვებულ მოსახლეობას. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 11 სოციალური პროგრამა ფინანსდება. ესენია: იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა (12 300 ლარი); ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა (28 000 ლარი); მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა(30 000 ლარი);



მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა (138 500 ლარი);

ცენტრ „იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა (10 000 ლარი);

მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა (5 000 ლარი), ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის გამარჯვებულ ქალთა კლუბის სარეაბილიტაციო პროგრამის თანადაფინანსება (10 000 ლარი);

ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების, ეროვნული სკრინინგ-ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველოყოფის პროგრამა (8600 ლარი);

მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (74 000 ლარი);

სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა (400 900 ლარი);

C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ განსაკუთრებით იმატა მომართვიანობამ. შესაბამის სამსახურს 300-მდე პირმა მიმართა, რომლებიც შემდგომ თბილისში სხვადასხვა კლინიკებში გადანაწილდა.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე რამდენიმე წელია სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ლანჩხუთსაც ამ მხრივ სერიოზული პრობლემები ჰქონდა. რა მდგომარეობაა დღესდღეობით?**

— დიახ, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის საყანე ფართობების დამუშავებისთვის, უკეთესი მოსავლის მისაღებად. 2013-2015 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში გაიწმინდა - 106,096 კმ. სამელიორაციო არხი. სულ შეკეთდა 52 ერთეული სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

მუნიციპალიტეტში დასრულდა სამელიორაციო სისტემების 2 სარეაბილიტაციო პროექტი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა დედაბერა-ნიგვზიანის მაგისტრალურ დამშრობ არხს და მთისძირა არხის და მასზე მოწყობილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. შედეგად შესაძლებელი გახდა 750 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება.

**— რა მდგომარეობაა ტურიზმის განვითარების კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში?**

— მინდა გითხრათ, რომ გრიგოლეთის უნიკალურ სანაპირო ლანჩხუთში ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილია. სამომავლოდ, გვინდა, შავი ზღვის ეს ზოლი უფრო უკეთ მოეწყოს, რომ დამსვენებლებისთვის უფრო საინტერესო გახდეს.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად მხარს ვუჭერთ ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, ვცდილობთ, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ამ პროცესს. ლანჩხუთში ძალიან ბევრი ლამაზი ტაძარია. ოქტომბრის თვეში საკრებულოში წარდგენილია პროექტი „სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის სამონასტრო კომპლექსის ტურისტულ–რეკრეაციულ ზონაში არსებული შუა საუკუნეების მენელსაცხებლე დედათა სახელობის ყოფილი მონასტრის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ბაზილიკის აღდგენის და ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობის" შესახებ. თუკი საკრებულოც მხარს დაგვიჭერს სამება-ჯიხეთის დედათა მონასტერს კიდევ ერთი ლამაზი კომპლექსი შეემატება.

**— როგორი იქნება 2016 წელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის, როგორია სამომავლო გეგმები?**

– 2016 წელს კვლავ გაგრძელდება, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში გზების გაკეთება. სპორტული სკოლის სრული კომპლექსის ასაშენებლად და ამ პროექტის მოსამზადებლად სულ მალე ტენდერი გამოცხადდება. ჩვენი წინასაარჩევო დაპირება იყო ყველა სოფელში ყოფილიყო გზა და წყალი. შევეცდებით მაქსიმალურად მოვახერხოთ სოფლების გაზიფიცირება. 2016 წელს შიდა გზები მთლიანად რეაბილიტირდება, 2017 წლის ბოლოს კი მუნიციპალიტეტის სოფლებში ყველა პრობლემა მოგვარდება.

**ელენე გურგენაძე**
557 71 55 68

# მივმართავთ ქვეყნის მთავარ პროკურორს, ირაკლი შოთაძეს: დაასრულეთ კახნიაურების „საქმენი საგმირონი“ და ღია ცის ქვეშ დარჩენილ 22 ოჯახს სამართალი გვააპოვნინეთ

***საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს და რაც ყველაზე სასიამოვნოა, ირაკლი შოთაძემ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ქონებრივად დაზარალებული, ქონებაჩამორთმეული და ღირსებაშელახული ადამიანების მიღების დღე დააწესა... ძალიან კარგია, თუ ბატონი შოთაძე სამართალს პურს აჭმევს და ისტორიას, რომელსაც დღეს „საერთო გაზეთი“ გააჟღერებს, ყურადღებას მიაქცევს...***

***მართალია, ღვთის სამართალი ურმით დადის, მაგრამ ბოლოს, მაინც დაეწევა ხოლმე ავის ჩამდენს და ვფიქრობთ, სააკაშვილის ხელისუფლების დროს გალაღებული ზოგიერთი ვაიჩინოვნიკის საქმიანობასაც მალე აეხდება ფარდა!..***



თბილისში, ნაძალადევის რაიონში მოქალაქეთა ჯგუფმა საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით ჩამოაყალიბა ამხანაგობა და მას „ნაძალადევი-2008“ დაარქვა. როგორც წესი, აირჩიეს თავმჯდომარე და აქტიურ მოქმედებებს შეუდგნენ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასაწყებად. თავიდან, სამშენებლო კომპანია „პლანეტას“ მიმართეს დახმარებისთვის, მაგრამ იმიტომ, რომ 2008 წლის ომი ახალი დამთავრებული იყო და ქვეყანაში მძიმე ფინანსური კრიზისი იყო შექმნილი, კომპანია „პლანეტამ“ „ნაძალადევი-2008“-ს დაწყებული საცხოვრებელი კორპუსის ხარჯები ვეღარ გასწია და ამგვარად, „ნაძალადევი-2008“-ის ამხანაგობის წევრები იძულებული გახდნენ ახალი სამშენებლო კომპანია მოენახათ, რომელიც სამშენებლო მასალებით, კერძოდ, არმატურით მოამარაგებდათ და ასეთად ამხანაგობის თავმჯდომარემ „აგის ჯორჯია“-ს მოძებნა! კომპანია „აგის ჯორჯიამ“, რომელიც სააკაშვილის ყოფილ ჩინოვნიკს, კერძოდ, აჭარის შს სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ვინმე რეზო კახნიაურს ეკუთვნოდა, ხოლო მისი მეუღლე ალა კარაპეტიანი-კახნიაურისა ვაკის რაიონის ცნობილი მოსამართლე გახლდათ. კახნიაურების ბიზნესი აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველომდე ყველამ იცის, ვისაც კი მათთან ოდესმე შეხება ჰქონიათ... რევაზ კახნიაური და მისი მეუღლე დღესაც ძველებურად ლაღობენ და არად დაგიდევენ იმას, რასაც გუშინ და დღეს აკეთებენ. კერძოდ, ამხანაგობა „ნაძალადევი-2008“-ის მიერ დაწყებული მშენებლობა კახნიაურებმა დღეს უკვე დამთავრებული საცხოვრებელი კორპუსით წარმოადგინეს და ადამიანებს, რომლებსაც ამ ამხანაგობაში ან ფული, ანდა მიწის ნაკვეთი ჰქონდათ შეტანილი, — უსახლკაროდ დატოვეს და მათ ბინებში დღეს ალა და რეზო კახნიაურების ნათესავები ცხოვრობენ, მათი მეგობრები და მეზობლები ცხოვრობენ და ვითომც, არაფერი?!..

ამხანაგობა „ნაძალადევი-2008“-ის მიერ არაერთი დოკუმენტი და ჩანაწერი იქნა წარმოდგენილი, სადაც რევაზ კახნიაური ამხანაგობის ყოფილ თავმჯდომარეს გელა ტაბატაძეს გარიგებას სთავაზობს და სანაცვლოდ, 300 ათას დოლარს ჰპირდება. ეს ჩანაწერი საფინანსო პოლიციაში შეტანილ სარჩელსაც დაერთო, აგრეთვე სამხარაულის ექსპერტიზის მიერ შეფასდა ის მიწა, რომელზეც „ნაძალადევი-2008“-მ კომპანია პლანეტასთან ერთად სამი სართული ააშენა, შეფასდა თითოეული მოქალაქის მიერ შეტანილი წილობრივი ქონება და სისხლის სამართლის საქმეც შესაბამისი კვალიფიკაციით საფინანსო პოლიციის მიერ დასრულდა.

უცნაურია, მაგრამ სააკაშვილის დროს რევაზ კახნიაურმა აღნიშნული ფართი და საცხოვრებელი სახლის შესრულებული გრანდიოზული სამუშაოები ქუთაისში სააღსრულებო ბიუროში ისე მოაკვარახჭინა, რომ მხოლოდ წარმოებული სამუშაოების მინიმუმი მიათითებინა და მიწის ნაკვეთი, რომელზეც საცხოვრებელი სახლი დგას, 1582 კვ.მ საერთოდ არ შეატანინა ქონების შეფასებისას. არადა, ეს მაშინ, როცა მაშინდელი ფასით აღნიშნული მიწის ნაკვეთი 909 650 ათას დოლარს უტოლდებოდა. ახლა კი გამოდის ისე, რომ „ნაძალადევი-2008“-ის მესაკუთრეებს არა თუ ბინები, არამედ კომერციული ფართებიც კი არ მისცეს და მაგალითად, „ნაძალადევი-2008“-ის წევრ ქალბატონ რუსუდან მელიქიშვილს, რომლის ქონებრივი შენატანი მიწის ნაკვეთია, ახლა მისი მშობლების დანატოვარ მუხრანში 1700 კვ.მ მიწის ნაკვეთს ედავებიან და ვითომც, არაფერი?!..

ბოლოსდაბოლოს, რა გაუხდა „ქართულ ოცნებას“ რევაზ კახნიაური და მისი ოჯახი?!.. ანდა, განა ბატონ ბიძინა ივანიშვილს უხერხულობას არ უნდა უქმნიდეს ის ფაქტი, რომ რევაზ კახნიაურის მეუღლე — ალა კახნიაური, რომელიც უკანონო განაჩენების მოსამართლედ მუშაობდა, დღეს ბიძინა ივანიშვილის მთავარი იურისტია?!.. მეგობრებო, არჩევნები მოდის და არა მგონია, ასეთი ოდიოზური ბიოგრაფიის მქონე ადამიანების გამო „ქართულ ოცნებას“ ის შედეგები ჰქონდეს არჩევნებზე, რისი იმედიც აქვთ. 20 ოჯახი, რომლებმაც ყველაფერი მოიკლეს, რათა საკუთარი ჭერი ჰქონოდათ, განა არ არის ღირსი იმისა, რომ მათი უბედურებით ვინმე დაინტერესდეს?!..



**„საერთო გაზეთს“ ესაუბრება „ამხანაგობა-2008“-ის ამჟამინდელი თავმჯდომარე ციცინო სამადაშვილი:**

— მინდა მოგახსენოთ, რომ კახნიაურების ოჯახს ყველგან მიუწვდება ხელი, მათ ნოტარიუსიც თავისი ჰყავდათ, ადვოკატები ხომ ჰყავდათ და ჰყავდათ, თვითონაც ხომ ადვოკატები არიან, ხელისუფლებიდანაც ხელდასმულები ბრძანდებოდნენ... ჰოდა, ჩვენს გარეშე თაღლითურად ხელშეკრულებებსაც აფორმებდნენ ჩვენს ყოფილ თავმჯდომარე გელა ტაბატაძესთან და რასაც გნებავთ, იმას სჩადიოდნენ. მინდა იცოდეთ, რომ ნოტარიუსი, რომელიც კახნიაურებს ემსახურებოდა და რომელმაც თაღლითური ხელშეკრულებები გააფორმა ჩვენს დამაქცევარ „აგის ჯორჯიასა“ და ჩვენს ყოფილ თავმჯდომარეს გელა ტაბატაძეს შორის, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საერთოდ დაითხოვა სისტემიდან და ვიდრე ეს ხელისუფლება იქნება, ნოტარიუსი ნარგიზ მინდიაშვილი ნოტარიუსობას ვერასოდეს ეღირსება!.. უფრო მეტსაც გეტყვით, ნოტარიუსმა მინდიაშვილმა თხოვნით მიმართა იუსტიციის მინისტრს აღმადგინეთო, მაგრამ ვენაცვალე ქალბატონი თეას პრინციპულობას, სასტიკი უარი სტკიცა!.. გულნატკენი ვარ იმის გამო, რომ ნოტარიუსი ნარგიზ მინდიაშვილი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელმაც ამხანაგობის გვერდის ავლით უკანონო ხელშეკრულებები გაუფორმა „აგის ჯორჯიას“, რევაზ კახნიაურთან ერთად არ დააპატიმრეს. სისხლის სამართლის დამნაშავეები, ციხეში უნდა ისხდნენ, ასე მგონია და ასეც უნდა იყოს!.. რევაზ კახნიაურის მეუღლე იქადნის, ბუზს ვერავინ ამიფრენსო, წადით და წყნეთში იკითხეთ, რა სახელს ატარებს!.. იქნებ, ვინმეს მოეკითხა, რატომ დაითხოვეს მოქმედი მოსამართლე ალა კარაპეტიანი-კახნიაურისა მოსამართლეობიდან?!.. მე გეტყვით, როგორც დაითხოვეს, შინაურულად უთხრეს, — ვიდრე დაგიჭერთ, წადიო... მოკლედ, წამოვიდა, მაგრამ მალევე „სხვა ორგანიზაციაში“ დაიწყო მუშაობა იურისტად. ვინც ჩვენ სახლებში შევიდნენ, თითოეულის გვარი ვიცით, ვიცით თითოეული სხვა გვარზე გაფორმებული ბინის უკან რეალური მფლობელი ვინ დგას. სულ მაგათი ბიძაშვილები და ნათესავები, მეზობლები და ძმაკაცები არიან. ჩვენ, ასე როდემდე უნდა ვითხოვოთ მოგვხედეთ და სამართალი აზეიმეთო?!.. აი, ხომ ხედავთ, როგორ გათავხედდნენ კახნიაურები, ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, ჩვენ ნაქირავებ სახლებში ვცხოვრობთ და რეზო და ალა კახნიაური ჩვენსავით გაუბედურებული ხალხისგან წართმეული ფულებით, როგორ ლაღობენ?!..

**— რას ამბობთ, ბატონი რეზო იძახის, რომ ჩვენ მოკრძალებულად ვცხოვრობთო...**

— რას ამბობთ?! ახლა, მე თქვენ გადმოგცემთ ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს კახნიაურების შვილთან და რძალთან და შემდეგ, დასკვნები როგორც პროკურორმა შოთაძემ, ისე მკითხველმა გააკეთოს.

თქვენ იქ წაიკითხავთ, ეს გაზულუქებული ადამიანები, ჩვენგან გამოძალული ფულებით როგორ ნებივრობენ ხან მალდივაზე და ხანაც, მარსზე?!.. თურმე ნუ იტყვით და 30 ათასი ევრო მათთვის არაფერია საქორწინო მოგზაურობისთვის, ისევე როგორც, ის გაუხსნელი ყუთები არაფერია, რომელშიც, მართალია, ბრენდი ტანსაცმელი ალაგია, მაგრამ კახნიაურების რძალს არ მოსწონს და არ იცვამს. ამათ, ჩირად არ უღირთ ადამიანების გაჭირვება, კახნიაურებს არად უღირთ ისიც, რომ ამდენი მშიერი, ამდენი უსახლკარო და ამდენი ჯანმრთელობაშერყეული ადამიანი დატოვეს ღია ცის ქვეშ. ჩემი დიდი რწმენით, ბიძინა ივანიშვილი და ბატონი ირაკლი შოთაძე ამათ მადას მალე დააოკებენ.

**მივმართავ ქვეყნის მთავარ პროკურორს ირაკლი შოთაძეს:**

ბატონო ირაკლი, სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ფინანსურმა გამოიძია, თქვენს მაგიდაზე ძევს, ჩვენი საქმის გამომძიებელი და ადვოკატი მზად არიან ჩვენთან ერთად თქვენთან შესახვედრად, დაგვიძახეთ და დაასრულეთ კახნიაურების „საქმენი საგმირონი“ და სამართალმა პური ჭამოს! ნუ გვიბიძგებთ კახნიაურების მიერ დაზარალებულმა ადამიანებმა ჩვენივე ძალებით აღვასრულოთ სამართალი!..

აგრეთვე, მივმართავ უკრაინის ელჩს საქართველოში და მოვუწოდებ, მოგვაწოდოს ინფორმაცია უკრაინაში რეგისტრირებულ ფირმა „აგის“-ზე, გვიშუამდგომლოს უკრაინაში რეგისტრირებულ „აგის“-თან, რათა საქართველოში „აგის ჯორჯიას“ მოქმედ დირექტორს, ბატონ სალიასგან მოვისმინოთ რეზო კახნიაურის მიერ უკანონოდ მიტაცებული ჩვენ ქონებაში კომპანია „აგის“ რა წვლილი მიუძღვის და არის თუ არა აგისის სათავო ოფისი და მისი ხელმძღვანელი ინფორმირებული იმის შესახებ, რაც მათმა დირექტორმა რევაზ კახნიაურმა 22 ქართულ ოჯახს დამართა!..

სასწრაფოდ ვითხოვთ შეხვედრას მთავარ პროკურორთან და იმედი გვაქვს წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნება“ თაღლითი კახნიაურების გამო, თავის იმ ავტორიტეტს, წყალს არ გაატანს. ჩვენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსაყვანად თავი არ დაგვიზოგავს და უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ნურც თვითონ დაზოგავენ თავს იმაში, რომ სამართალი გვაპოვნინონ!..

**ირინე გოგოლაშვილი**
555 25 43 35

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



## ტრისტან წითელაშვილი:

# მიხეილ სააკაშვილი „ისლამურ სახელმწიფოს“ ტერორისტებით ამარაგებს, რომლებსაც უკრაინაში სპეციალურ ბაზაზე წვრთნიან

უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მორიგი ჩანაწერიდან, სადაც ზურაბ ადეიშვილი და მიხეილ სააკაშვილი საუბრობენ, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ეს არის სიტყვიერი დადასტურება იმისა, რაც მოარულ ხმებად ვრცელდებოდა, სააკაშვილი მაკ-კეინის დავალებით მართლაც უგზავნის ე.წ „ისლამურ სახელმწიფოს“ უკრაინაში გაწვრთნილ ბოევიკებს. ამ შემთხვევაში უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ „სააკაშვილის ბოევიკებმა“, რუსეთის თუ მსოფლიოს წინააღმდეგ.

აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ „საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლკოვნიკი **ტრისტან წითელაშვილი**.

**— ვინაიდან შესაბამისი უწყების მიერ ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებოდა აღნიშნული ჩანაწერის ავთენტურობის შესახებ, ბატონო ტრისტან, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე, რამდენად შეიძლება ჩანაწერის შინაარსი რეალურად ასახავდეს ე.წ ძებნილი სააკაშვილის მონაწილეობას ამ დანაშაულებრივ ქმედებებში?**

— პირდაპირი კავშირი აქვს სააკაშვილს და არა მხოლოდ კავშირი, ტერორისტების მომზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელია უშუალოდ სააკაშვილია მაკ-კეინთან ერთად. პირველი ტერორისტი არის სააკაშვილი!

ამ სიტყვას სრულებით არ ვამბობ ხატოვნად, გადავხედოთ სააკაშვილის წარსულ და დღევანდელ ცხოვრებას — მითხარით მის მიერ გადადგმული რომელიმე ნაბიჯი, რომელსაც არ მოჰყვა მსხვერპლი, მათ შორის 2008 წლის ე.წ აგვისტოს ომი. მსოფლიომ იცის, მაგრამ კიდევ უნდა გავუმეოროთ, რომ აგვისტოს ომის პროვოცირება მოახდინეს სააკაშვილმა და მაკ-კეინმა. ეს ის ფაქტია, რომელიც ხელისგულზე დევს. (რანაირად არ ვეცადე რომ ჰააგის პროკურორ ფატუ ბენსუდას შევხვედროდი, მაგრამ ყველა მხრიდან დამბლოკეს, „ნაცექსპერტები“ შეახვედრეს. არა უშავს, უამრავი მტკიცებულება გვაქვს როგორ იყო ჩართული მაკ-კეინი ამ პროვოკაციაში)

დღეს სააკაშვილი უკრაინაში ამზადებს ტერორისტებს და ორგანიზებას უკეთებს ტერორისტული ორგანიზაციის აღჭურვას, ეხმარება როგორც ფინანსურად, ისე ცოცხალი ძალით, ხოლო კონტროლს უწევს მაკ-კეინი, რომელიც არის ის მხარე და ის დაჯგუფება, რომელიც იქ არის, სადაც ქვეყნის დანგრევა სჭირდებათ და ცეცხლს აგიზგიზებენ.

ამ ბოლო დროს გეგმა ჩაუვარდათ — მათ სურდათ, რომ სირიის ომი გადაზრდილიყო უფრო ფართომასშტაბიან ომში, ანუ ორი დიდი სახელმწიფო უნდა დატაკებოდა ერთმანეთს, ვგულისხმობ რუსეთისა და აშშ-ის სიღრმისეულ დაპირისპირებას შეიარაღებული კუთხით. ეე.წ ქართული ლეგიონი რომ შექმნა უკრაინაში სააკაშვილმა, ამ ბაზაზე მზადდება ყველაფერი. ქართული ლეგიონი რა არის — ორგანიზაცია, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოდან გაქცეული დამნაშავეებით, თავდაცვის სამინისტროს კრიმინალი ყოფილი თანამშრომლებით, შსს-ის, ზონდერებით, იმ მებრძოლებით, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების დროს მონაწილეობდნენ ხალხის დარბევებში, პროვოკაციებში, სადამსჯელო ოპერაციებში, ადამიანთა ლიკვიდაციებში, ყველანი იქ არიან თავმოყრილი და ხელმძღვანელობს სააკაშვილი. ქართული ლეგიონი ჰქვია, თორემ რეალურად ბანდფორმირებაა, ტერორისტების სამჭედლო, ისეთივე, როგორიც აქ, ნორიოს ტყეში ჰქონდათ გახსნილი. ის იყო საიდუმლო ბაზა, სადაც მომზადებას გადიოდნენ ამფეთქებლები, მკვლელები და ა.შ

დაზუსტებულ ინფორმაციას გეუბნებით, სააკაშვილმა უკრაინაში მოამზადა ოთხი სპეციალისტი (ორი ქართველი და ორი უკრაინელი) — ის ოთხი ტერორისტი (კეზერაშვილიც ჩართულია ამ ამბებში) უნდა ჩასულიყო სირიაში და რუსული რაკეტით უნდა ჩამოეგდოთ ამერიკული თვითმფრინავი, რასაც, გასაგებია, რა რეაქცია მოჰყვებოდა აშშ-ის მხრიდან. ამ პროცესებში, ცხადია, მაკ-კეინიც ჩართული იყო. მხოლოდ ერთი თვითმფრინავის ჩამოგდება საკმარისი არ იქნებოდა, მაგრამ ამ ქმედებით ორ დიდ სახელმწიფოს შორის ისედაც არასახარბიელო დამოკიდებულებას კიდევ უფრო დაძაბავდა აღნიშნული სიტუაცია და გამიზნული იყო კონფლიქტის გაღვივება ეტაპობრივად იმ კონდიციამდე, რაც ადვილი შესაძლებელია, სირიაში, მაგრამ გადაზრდილიყო მესამე მსოფლიო ომში — აი, ამაზე მუშაობდნენ მაკ-კეინი და სააკაშვილი, ამის გაკეთება უნდოდათ.

**— და, რამ იხსნა მსოფლიო...**

— მეორე მხარეც არის, აშშ-ის სპეცსამსახურებმა დროულად გახსნეს მათი წრის ჩანაფიქრი და სააკაშვილმა ველარ მოახერხა ამ ოთხეულის სირიაში გადასროლა (ოდესიდან გემით უნდა გასულიყვნენ). აშშ-ის სპეცსამსახურებმა კავშირი დაამყარეს უკრაინის სპეცსამსახურებთან და საქმის კურსში ჩააყენეს. ამიტომ არის, რომ დღეს უკრაინაში სერიოზული დაპირისპირებაა არა მხოლოდ ხალხისა სააკაშვილის წინააღმდეგ, არამედ, უკვე ხელისუფლებასა და სააკაშვილს შორის. სააკაშვილი რომ ამბობს, ოპოზიციაში გადავდივარო, ეს არის იმის შედეგი, რომ სააკაშვილს ჩამოუვარდა ნიღაბი, გაიშიფრა როგორც ორმაგი აგენტი...

ტერორისტი სააკაშვილი მართლაც ორმაგი აგენტია. პარალელი რომ გავავლოთ ტერორისტ ბინ ლადენსა და ტერორისტ სააკაშვილს შორის, ერთი ერთზე მეორდებიან. ბინ ლადენი თვითონ შექმნეს თავის დროზე ამერიკელებმა და იყენებდნენ რუსეთის წინააღმდეგ, შემდეგ რუსები იყენებდნენ ამერიკის წინააღმდეგ და ბოლოს, როგორც უკონტროლო ადამიანისა, მისმა შემქმნელებმავე ითავეს მისი მოცილება;

სააკაშვილი თავის დროზე შექმნა საბჭოთა „ÊÃÁ-მ“, შემდეგ გადაიბირეს ამერიკელებმა და ახლა ორივეს აქვს თავსატეხი როგორ მოიშორონ არანორმალური სააკაშვილი.

ვიღაც იტყვის, ერთი ტყვია რა გახდაო? არა, ერთი ტყვია და მისი გმირულად დასაფლავება არავის უნდა, ის ისე უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, როგორც უკანასკნელი ფარჩაკი. როგორც ხალხის სიძულვილით გაუშვეს ბინ ლადენი იმ ქვეყანაში, ისე გაუშვებენ სააკაშვილსაც... ხომ ხედავთ, ყველა გაურბის უკვე, აფურთხებენ, მასხრად იგდებენ, უკრაინის ტელევიზიაში, სტუდიაში გაარტყეს კიდეც...

**— მაკ-კეინის ავი ზრახვების შესახებ თუ ცნობილი გახდა აშშ-ის სპეცსამსახურებისთვის, თავიანთსავე „გმირს“ მაინც რატომ არ მიხედავენ?**

— საქმე იმაშია, რომ მაკ-კეინს, გარდა მხარდამჭერებისა ხალხის სახით, საკმაოდ სერიოზული კლანი ჰყავს; აქვს სერიოზული ფინანსური წყაროები და შეუძლია, გარკვეული სახის ამბოხი მოაწყონ ხელისუფლების წინააღმდეგ — ასე ადვილი არ არის მასთან ჭიდაობა. აშშ-ის სპეცსამსახურებმა განა არ იციან, რომ მაკ-კეინს ყელამდე აქვს ხელები სისხლში






გასვრილი, მაგრამ მიშვებული ჰყავთ კონტროლქვეშ, ბოლოს ბოლო ისეთ ასაკშია, დღეს თუ ხვალ სხვის დაუხმარებლად, თვითონ ამოსძვრება სული. მაკკეინი, „ჯეკ მაუსი“, თავის მხრივ ვიეტნამის ომის დროს არის რუსების დავერბოვკებული... საერთოდ, სპეცსამსახურების ინტერესებში ყოველთვის ის უფროა დომინანტი რომ აგენტი გადაიბირონ და არა მისი ჩამოცილება...

მთლიანობაში, მთელი „ტერორისტობა“, ეს არის ერთი აგენტურული კლანი, გადაბირებულ-გადმობირებულები, რომლებიც მოქმედებენ ერთი მიზნით, რომ მსოფლიოში რაც შეიძლება მეტი „ცხელი წერტილი“ იყოს.

იარაღის კონტრაბანდა, ნარკოტიკების კონტრაბანდა და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, ეს არის სამი უსერიოზულესი სარფიანი ბიზნესი, რომლისთვისაც ომი მაცოცხლებელი აუცილებლობაა. საქართველოში ციხეები ჰქონდათ ადამიანის ორგანოების „ამოსაღებად“, უკრაინაში ომი გამოიყენეს და ამის შესახებ უკრაინის მასმედიამ არა ერთი ინფორმაცია გაავრცელა...

მოგეხსენებათ, სამხედრო აკადემია უკრაინაში მაქვს დამთავრებული, შესაბამისად, უამრავი უკრაინელი ამხანაგი და კურსელი მყავს, ანუ მუდმივად ვარ საქმის კურსში რა ხდება უკრაინაში და არა მხოლოდ უკრაინაში, სად მიდის ბოროტების ფესვები — სააკაშვილისა და მაკ-კეინისკენ!

კრწანისის სასწავლო ცენტრში, თავის დროზე, სააკაშვილმა შეიყვანა პანკისელი ჩეჩნები და იქ ამზადებინებდა. მაშინ გაიცა ვანო მერაბიშვილის ხელმოწერით პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, რომ მოდულის შენობაში ირიცხებოდნენ — ისინი დღეს სირიაში არიან, „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ და საბრძოლო მოქმედებებში იღებენ მონაწილეობას, კომუნიკაციები კი, ცხადია, პატრონებთან აქვთ. თქვენ გჯერათ, რომ საქართველოს მოქალაქეები ისე გადიოდნენ სახელმწიფოდან რომ სასაზღვრო კონტროლი ვერ ახერხებდა მათ გაკონტროლებას?



სასაზღვრო პოლიციაში დღემდე არის „ნაცმოძრაობის“ ჩატოვებული აგენტურა და რასაც დაავალებენ, აკეთებენ. არა ერთხელ გამიკეთებია განცხადება, რომ შსს-ში დღესაც არიან მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც არიან „ნაცმოძრაობის“ აგენტები.

ახალთახალ ფაქტს გეუბნებით, არსად მითქვამს, პირველად თქვენთან ვამბობ — ჟურნალისტ ზაზა დავითაიას რომ თავს დაესხა უნივერსიტეტის წინ კემულარია, „თავისუფალი ზონის“ წევრი, შსს-მ მაშინ ამოიღო ამ თავდასხმის ოპერატიული ვიდეო-მასალა, რომელიც ინახებოდა შსს-ში. ოთხიხუთი დღის უკან ეს ოპერატიული მასალა აღმოჩნდა კემულარიას ხელში და ტრიალებს სოციალურ ქსელში, როგორ ესხმის თავს ჟურნალიტს. თუ მან არა, ვისაც ხელი მიუწვდება თანამდებობრივად, ვინ გადასცა ეს ოპერატიული მასალა კემულარიას?

მეტსაც გეტყვით — საქართველოში ჩამოსული იყო ძებნილი დავით მაყიშვილი, სააკაშვილის ლეგიონერი. ეს ხდებოდა „რუსთავი-2-ის აჟიოტაჟის“ წინ — ქვეყანაში შემოვიდა, საზღვარი გადმოლახა ძებნილმა პირმა და გადაადგილდებოდა უპრობლემოდ, რადგან ხელს უწყობდნენ ყველანაირად როგორც შსს-ის, ისე თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის თანამდებობის პირები. შემზადებული იყო ყველაფერი რომ სერიოზული არეულობა მომხდარიყო, მაგრამ ჩაეშალათ და მაყიშვილიც გაბრუნდა უკრაინაში. წარმოგიდგენიათ რას ვამბობ? ძებნილი შემოვიდა, იარა სადამდეც საჭიროდ ჩათვალეს და გავიდა, ვითომც აქ არაფერი!

გამოდის იზორია და ამბობს, საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში არ არის, სადაც ტერორისტული საფრთხეებია მოსალოდნელიო — ვერ წარმოუდგენიათ რა საფრთხეების წინაშე ვდგავართ თუ თავს ასე გვაჩვენებენ, ვერ გამიგია. სირიაში რომ არიან გასული ჩვენი მებრძოლები, რაღაც ფორმით რომ დაბრუნდებიან, რა პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით, ამის საფრთხეს ვერავინ ხედავს? — მათ მრწამსს და ფანატიზმს ვერ შეაჩერებ, აკონტოროლე, აბა, მერე ეს ხალხი!



საფრთხე არ არის ახლა რაც ხდება ჩვენს გვერდზე? თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი არჩევნების გაყალბებით კი არ უნდა იყოს დაკავებული, საარჩევნო ყუთზე რომ იყო გადამჯდარი საგარეჯოში და ზონდრებით გარშემორტყმული, ქვეყნის მაქსიმალურად უსაფრთხო მდგომარეობაზე უნდა ფიქრობდეს და გარკვეულ ზომებს იღებდეს! მათ შორის ერთი ზონდერი ის იყო მე რომ გამიტაცა, ზურაბ ასლამაზაშვილი, პოლკოვნიკი, რომელიც დააწინაურა არჩევნებში „კეთილსინდისიერად“ გაწეული სამუშაოსთვის — თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის კანცელარიის უფროსად დანიშნა.

მე, პირადად, საბოდიშო არავისთან მაქვს, ამიტომ პირდაპირ ვამბობ რასაც ვფიქრობ და ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ, თუმცა მე რომც არ ვთქვა, ჩანაწერები და შემდგომ საქმის ვითარებები ამბობენ — ხიდაშელი და კამპანია (უსუფაშვილითურთ) კავშირშია ტერორისტ სააკაშვილთან და კამპანიასთან, ასევე — პრეზიდენტი მარგველაშვილი თავისი „დამკვრელებით“ და ამათ ჰყავთ ერთი მამა — მაკ-კეინი. ერთი წყაროდან მოსდით თანხები, ერთი პატრონი ჰყავთ და შესაბამისად ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ, სადაც საქართველოსა და საქართველოს მოსახლეობის ინტერესებისთვის ადგილი აღარ რჩება.

როდესაც ვამბობ, რომ სააკაშვილი არის უშუალოდ ხელმძღვანელი და მისი პატრონაჟით გადიან „ისლამურ სახელმწიფოში“ მებრძოლებად როგორც საქართველოდან, ისე, უკრაინიდან, ეს ასეა!

მსოფლიო საზოგადოება ფეხზე უნდა იდგეს და უპირველესად მაკ-კეინისა და სააკაშვილის იზოლირებას უნდა ეშურებოდნენ, რადგან, თუ ამ ორი ადამიანის გაუვნებელყოფა არ მოხდა, ეს ცხელ-ცხელი წერტილები დაუსრულებლად გაგრძელდება ახალ-ახალი კერების წარმოქმნის „პერსპექტივით“ და სერიოზული საფრთხეების მოლოდინში — მხოლოდ სირია, საქართველოისა და უკრაინაზე არ ვსაუბრობ, სრულიად მსოფლიოს ვგულისხმობ.

სააკაშვილის გეგმის ბოლო ნაწილი ის არის, რომ როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება გადატანილი იქნება მასშტაბებში დიდ უბედურებებზე და საქართველოს დარდი არავის ექნება, ჩამოუვათ სააკაშვილი საქართველოში, დაუჯდებათ პრეზიდენტად და გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ვერ მოასწრო, ან ფანტაზია არ ეყო მაშინ და ამიტომ არ გაუკეთებია!

**გიორგი ჩხეიძე**

## „უნისეფი“ ხელისუფლებას კანონში ფქვილის ფორტიფიცირების შეტანის რეკომენდაციით მიმართავს

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი მაია ქურციკიძე და ჯანდაცვის სპეციალისტი თამარ უგულავა ხელისუფლებას „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებას სთავაზობენ, რომლის მიხედვითაც, იოდირებულ მარილთან ერთად, ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ფქვილის ფორტიფიცირებასთან დაკავშირებითაც. როგორც მაია ქურციკიძემ და თამარ უგულავამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, „უნისეფის“ კვლევის მიხედვით, საქართველოში რკინის დეფიციტი ბავშვების 23 პროცენტს, ხოლო ქალებში 24-25 პროცენტს აღენიშნება, ხოლო ფოლიუმის მჟავის ნაკლებობას ქალების 36,6 პროცენტი განიცდის, რაც აუცილებლობას ქმნის, რომ ხელოვნურად მოხდეს საკვები პროდუქტების საჭირო ნივთიერებებით გამდიდრება.

„კვების დეფიციტი მხოლოდ სოციალურად დაუცველი ფენის პრობლემას არ წარმოადგენს, ეს სხვა ოჯახების პრობლემაცაა, რადგან საქართველოში არ არსებობს სწორი კვების კულტურა. კვების დეფიციტი არ ნიშნავს შიმშილს, კვების დეფიციტში მოიაზრება იმ ვიტამინების და მიკროელემენტების ნაკლებობა, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის. ჩვენი კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტ ქალსა და ბავშვს აღენიშნება კვების დეფიციტი“, - განაცხადა განაცხადა მაია ქურციკიძემ.

თამარ უგულავას თქმით, კვების დეფიციტით საქართველოში წელიწადში 300 ბავში იღუპება, ბავშვების ზრდაში ჩამორჩენა კი11 პროცენტს აღენიშნება, რაც საქართველოსთვის მაღალი მაჩვენებელია.

„კვების დეფიციტი ბავშვთა სიკვდილიანობის არაპირდაპირი მიზეზია. კვების დეფიციტის მქონე ბავშვი არის მოწყვლადი სხვადასხვა ინფექციების მიმართ და სწორედ ეს ხდება სიკვდილის მიზეზი“, - განაცხადა თამარ უგულავამ და „უნისეფის“რეკომენდაციაზე ისაუბრა.

„2016 წლის იანვრიდან მოქმედებაში შედის ფქვილის რეგლამენტი, რომელიც რეკომენდაციის სახით შეიცავს უსაფრთხო დანამატების ჩამონათვალს, ხოლო ჩვენი მოწოდებაა კანონში შევიდეს ჩანაწერი, რომ სავალდებულო გახდეს პურის ფქვილის ფორტიფიცირება“, - განაცხადა თამარ უგულავამ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ქაოსი, რომელიც შეიძლება დიდ მსოფლიო კატასტროფაში გადაიზარდოს

ქაოსი მსოფლიოში, რომელიც „ჰიბრიდულ ომადაც“ მონათლეს პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა, გამძაფრდა. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობამ, ერთი შეხედვით, უკანა პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. რადგან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობით დავიწყეთ საუბარი, აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ თურქეთის ავიაციის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ დაიძაბა ვითარება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.



თურქეთი, ერთი შეხედვით, ცდილობს, როგორმე დაალაგოს ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ, პარალელურად, ისეთ ნაბიჯებს დგამს, ძნელია, დაიჯეროს ადამიანმა მათი სამშვიდობო განწყობა. თურქეთის დაჟინებული თხოვნით, შედგა შეხვედრა მათი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეხვედრა, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ თურქმა კოლეგამ ოფიციალურად მიუსამძიმრა რუსი სამხედროების დაღუპვის გამო. თუმცა, თურქეთის მხარე ბოდიშის მოხდას თუნდაც დაგვიანებით არ აპირებს. ამასთან, ისიც განაცხადეს, რომ მინისტრების შეხვედრა რუსეთის მხარის თხოვნით მოხდაო, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა რუსეთი. გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ქვეყნის ფედერალური საბჭოს წინაშე საანგარიშო მოხსენებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი სწორედ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას დაუთმო: „...არავის ეგონოს, რომ მათ (ანუ თურქეთს) მხოლოდ პომიდვრებსა და სხვა აკრძალვებზე გადავატარებთ. ჩვენ იარაღის ჟღარუნს არ ვაპირებთ. ამას (თვითმფრინავის ჩამოგდებას) კიდევ ბევრჯერ გავახსენებთ. ჩვენ ვიცით, რას გავაკეთებთ“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

დიპლომატიურ ენაზე პუტინი, ფაქტობრივად, პირდაპირ დემუქრა თურქეთს. ძნელი სათქმელია, ეს მუქარა გახდა თუ არა იმის მიზეზი, რომ თურქეთის ავიაციამ სირიის საზღვართან შეწყვიტა ფრენები. თუმცა არის კიდევ ერთი გარემოება, რის გამოისობითაც თურქეთის სამხედრო თვითმფრინავები ახლოს აღარ ეკარებიან სირიის საზღვრებს – რუსებმა სირიაში, თავიანთ ბაზაზე განათავსეს საჰაერო დაცვის შ-400-ის სისტემები, რომელიც მრისხანე იარაღად აღიარეს თავად ნატო-ს ქვეყნების ექსპერტებმა.

თურქეთს, როგორც ნატო-ს წევრ ქვეყანას, ძალაუნებურად მხარს უჭერს ალიანსი. თუმცა, აშშ-მ, როგორც წინა ნომერში ვწერდით, მკაცრად მოსთხოვა, გააკონტროლოს სირიის საზღვარი. წინა კვირასვე ნატო-მ განაცხადა, რომ აუცილებლად მიაჩნია ალიანსის და რუსეთის თანამშრომლობის აღდგენა, რომელიც 2009 წლიდან იყო შეჩერებული. ამასობაში კი ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში აქტიურად ჩაება საფრანგეთის და ინგლისის სამხედრო ავიაცია. ამასვე აპირებს გერმანიაც.

სირიაში, კოალიციის გააქტიურების შედეგად, იგილმა დიდი დანაკარგები განიცადა, როგორც ბრძოლის ხაზზე, ასევე ფინანსურადაც. სხვადასხვა უცხოური გამოცემები იუწყებიან, რომ იგილის მებრძოლთ შორის გახშირდა დეზერტირობის ფაქტები. ამიტომაც გაამკაცრეს ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა დევნილების მიღების წესები. ამასთან, ევროკავშირმა საბერძნეთს მკაცრად მოსთხოვა დევნილების კონტროლი, შენგენის ზონაში ქვეყნის ყოფნის შეჩერებითაც დაემუქრნენ. თუმცა თურქეთს, საიდანაც გაედინება დევნილთა დიდი ნაწილი, სიტყვაც არ აკადრეს, რადგან იგი ნატო-ს წევრია.

ამასობაში თურქეთმა თავისი ქვეითი ჯარი და ჯავშანტექნიკა ერაყის ჩრდილოეთის მხარის რეგიონში შეიყვანა. მართალია, ჯარისკაცთა რაოდენობა დიდძალი არ არის (როგორც ამბობენ, 150-200 კაცია), მაგრამ ფაქტმა ერაყის მოქმედი მთავრობის გაღიზიანება და შეშფოთება გამოიწვია. ბაღდადში თურქეთის ელჩი მიიწვიეს და საპროტესტო ნოტაც გადასცეს. ამასთან, ერაყელები თურქებს ცეცხლის გახსნითაც დაემუქრნენ, რადგან ამ ქმედებას ანექსიად მიიჩნევენ.

თურქეთის ჯარის ერაყში შესვლაზე აშშ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იცოდნენ ამის შესახებ, მაგრამ თურქეთის კოალიციაში მონაწილეობას უარყოფენ. თავად თურქები გაკვირვებულები არიან ერაყელთა აღშფოთებით. როგორც ამბობენ, მათ მხოლოდ როტაცია უნდა განახორციელონ. მათივე განცხადებით, მოძმე ქურთებს ეხმარებიან და აქამდეც წვრთნიდნენ იქაურ მებრძოლებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ერაყელმა ქურთებმა ფართო ავტონომია მოიპოვეს და ხშირად ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებიან.

თურქეთის განცხადება ქურთების დახმარებაზე გასაოცარია, რადგან სირიაში თურქები იგილის ნაცვლად სწორედ ქურთების მებრძოლების ტერიტორიებს უტევდა, რომლებიც, თავის მხრივ, იგილის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ქურთები რამდენიმე ათწლეულია, თურქეთში ავტონომიას ითხოვენ. სწორედ ამის ეშინიათ და ეწინააღმდეგებიან თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები.

სირიაში პოზიციების შესუსტების გამო, სავარაუდოდ, თურქეთის ხელისუფლება დასაყრდენს ახლა ერაყელ ქურთებში ეძებს. თურქეთის მიზნები არახალია. მათ ოსმალეთის, იგივე ოტომანთა იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენა სურთ, რასაც არც მალავენ და ზოგჯერ ხმამაღლაც ამბობენ. სწორედ ამ იდეების ბაზაზე შეიქმნა ე. წ. „ისლამური სახელმწიფო“. სამწუხაროდ, ამაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს, რაც, შეიძლება, ცუდად დამთავრდეს, თუნდაც იგივე ევროპელებისთვის. ევროკავშირი კი საბერძნეთს შენგენის ზონის დატოვებით ემუქრება, თურქეთს კი სთავაზობს ამ ზონაში შესვლას. ამასთან, 3 მილიარდი ევროთიც აფინანსებს, რათა შეაჩერონ დევნილთა ნაკადი. რამდენად ეფექტური იქნება ეს ნაბიჯი, მომავალი გვიჩვენებს,

ამასობაში კი იგილის მებრძოლებმა ავღანეთში რამდენიმე დასახლებული პუნქტიც აიღეს. როგორც იუწყებიან, არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. აღსანიშნავია, რომ იგილის მებრძოლებს ალ-ქაიდას და თალიბანის ზოგიერთი ნაწილიც შეუერთდა. მათი განცხადებით, ავღანეთ-პაკისტანის ტერიტორიაზე სურთყე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა. საყურადღებო და საგანგაშო ის გახლავთ, რომ ყოველივე ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც განთავსებულია ნატო-ს შეიარაღებული ძალები აშშ-ის სარდლობით. სამწუხაროდ, ავღანეთში საქართველოს ჯარისკაცებიც იმყოფებიან და ვისთვის უნდა იბრძოლონ, გაუგებარია, რადგან, როგორც ჩანს, იგილის მებრძოლების იქ გამოჩენა ბევრ ეჭვს ბადებს.



ამასობაში ერაყის ხელისუფლება თურქეთის მებრძოლებზე შეტევისთვის ემზადება. რუსეთის მუქარა თურქეთის მიმართ ძალაში რჩება. ტრადიციულად, რუსეთი ასრულებს დანაპირებს და ჯერ კიდევ დიდ გამოცანად რჩება, რას მოიმოქმედებს, მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით დაკმაყოფილდება თუ... ყველაზე მეტად საბრძოლო ვითარება ჩვენს ქვეყანას არ აწყობს, მაგრამ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში ვინ რას შეგვეკითხება. მსოფლიოში კი, სამწუხაროდ, ცეცხლთან თამაში გრძელდება.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რამდენიმე დღის წინ ანტიტერორისტულმა კოალიციამ, რომელშიც აშშ, ინგლისი და საფრანგეთია გაერთიანებული, შეცდომით „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მებრძოლი სირიის სამთავრობო ჯარის ნაწილი დაბომბა, რაც მათ და სირიის მთავრობასთან, რუსეთის სამხედრო სარდლობასთან შეუთანხმებელ მოქმედებაზე მეტყველებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

## ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება მოეწყო

საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ და იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ერთად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ანტიკორუფციული კვირეული დაიწყო. ღონისძიებაში ჩართული არიან საჯარო სამსახურის ბიურო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, – იტყობინება იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღნიშნული ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში 7 დეკემბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება მოეწყო. მოდელირებაში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა უნივერსიტეტის 14 წარმატებული სტუდენტი შეირჩა, რომელთაც მოირგეს ანტიკორუფციული საბჭოს წევრთა როლები და წარადგინეს შესაბამის უწყებათა პოზიციები, იმსჯელეს და დაამტკიცეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული პრიორიტეტები, განიხილეს საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია და ანტიკორუფციულ საკითხებში ცნობიერების ამაღლების შესახებ კამპანია.

სტუდენტებს იუსტიციის სამინისტროში 4 დეკემბერს ჩაუტარდათ საინფორმაციო ლექცია ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის შესახებ. ახალგაზრდებმა მიიღეს საერთო და ინდივიდუალური დავალებები, მითითებები განაწილებული როლების შესაბამისად.

ღონისძიების დასასრულს, ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. ამასთან, გამოვლინდა პროექტის სამი წარმატებული მონაწილე, რომელთაც იუსტიციის სამინისტროს სახელით მიიღეს სამახსოვრო საჩუქრები.



# რატომ ფერხდება უნივერსიტეტებში განათლების რეფორმა

**გვესაუბრება აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტი:**

— დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს გაზეთში პროფესორ ჯემალ მებონიასთან გამოქვეყნებულ ინტერვიუს. მართლაც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ ფერხდება უნივერსიტეტებში განათლების რეფორმა. პარადოქსია, რომ უკლებლივ ყველა აღიარებს განათლებისა და მეცნიერების უპირველეს მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ ამ მიმართულებით საგრძნობი ცვლილებებისათვის გადამჭრელი ზომები არა და არ ტარდება. დავიწყოთ საშუალო განათლებიდან: სრულიად გასაგებია პროფესორ მებონიას უკმაყოფილება სასკოლო და ზოგადად სასწავლო სახელმძღვანელოების და პედაგოგთა პროფესიული მომზადების დაბალი დონით; უხეშად რომ ვთქვათ: ვისაც მოესურვება ის წერს სახელმძღვანელოს და არავინ აკონტროლებს პასუხობს თუ არა იგი თანამედროვე მოთხოვნებს. იგივე ითქმის უმაღლესი განათლების მიმართებაში. ყველას კარგად გვახსოვს განათლების სამინისტროსთან და უნივერსიტეტებთან არსებული ე.წ. ,,მეთოდსაბჭოები‘‘, რომლებიც შედგენილი იყო დარგის სპეციალისტებისაგან. ეს ორგანო სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით ავად თუ კარგად აფასებდა განსახილველად შემოსული სახელმძღვანელოების ვარგისიანობას და შესაბამის რეკომენდაციას იძლეოდა მათი სასწავლოდ გამოყენებისათვის. ეს საკითხი არ მეჩვენება გადაუჭრელად და განათლების მესვეურთა სურვილის შემთხვევაში ადვილად მოსაგვარებელი იქნება.

ვფიქრობ, რომ უდიდესი შეცდომა იყო ფაკულტეტების გაერთიანება. შედეგად მივიღეთ არა ერთი, ძლიერი ფაკულტეტი, არამედ დავასუსტეთ არსებული, გაერთიანებულზე მაღალი დონის ცალკეული ფაკულტეტები. სახელმწიფოს სათანადო დაინტერესებისა და მონდომების შემთხვევაში ამის გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ვეთანხმები ბატონ ჯემალის მოსაზრებას, რომ დაშვებული შეცდომების გამოსწორება უნდა დაიწყოს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებით. უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების პრეცედენტი არა მარტო სხვა ქვეყნებში, არამედ საქართველოშიც არსებობს (ტექნოლოგიური ინსტიტუტი). ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება არ უნდა მოხდეს მხოლოდ დეკლარატიულად, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის საბაზო დაფინანსება, უნდა დაიხვეწოს სწავლების მეთოდოლოგია (თუნდაც პროფესორისა და სტუდენტის ურთიერთობის ფორმები), უნდა განისაზღვროს ქვეყნისათვის მეცნიერების ცალკეულ დარგებში სპეციალისტების რაოდენობა (რაოდენობა და არა სპეციალობები - ქვეყანას მეცნიერების ყველა აღიარებული დარგის სპეციალისტი ჭირდება!), შემუშავებულ უნდა იქნას რეფორმის გეგმა და სხვა. სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება ამ უმნიშვნელოვანესი პრობლების მოსაგვარებლად. ამის გარეშე უნივერსიტეტების ხელმძღვანელობა ვერაფერს გახდება. ბუნებრივია, რომ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება არ უნდა მოხდეს სხვა, სახელმწიფო თუ კერძო, უნივერსიტეტის მნიშვნელობის დაკნინების ხარჯზე.

ფაქტიურად ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს ჩვენს ცნობიერებაში ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული - ,,დედა-უნივერსიტეტის‘‘ - სტატუსი, მაგრამ წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოში აღიარებული ამ საგანმანათებლო კერის დასაკნინებლად. ახლა არ მინდა წარსულზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდა, სულ ცოტა ხანში, არა მარტო ფიზიკაში, არამედ საბუნებისმეტყველო სხვა დარგებში კვალიფიცირებული მასწავლებელი არ გვეყოლება.

ორიოდე სიტყვით შევეხები მეცნიერების სისტემის ორგანიზების საკითხს. ეჭვსგარეშეა რომ უნივერსიტეტს ესაჭიროება ძლიერი სამეცნიერო სექტორი. ადრე უნივერსიტეტებში მეცნიერება ძირითად ვითარდებოდა კათედრებზე და ამ საქმეში ადვილად ერთვებოდნენ სტუდენტები. ეს კათედრები იმდენად მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ და იმდენად გაიზარდნენ რიცხობრივადაც, რომ უნივერსიტეტების დაქვემდებარებაში შეუძლებელი გახდა მათი შემდგომი განვითარება. საჭირო გახდა მათი ნაწილის უნივერსეტეტის შემადგენლობიდან გამოყვანა და უნივერსიტეტებისაგან დამოუკიდებელი სამეცნიერო სისტემის - სივრცის - შექმნა. თუმცა უნივერსიტეტში დარჩა საკმაოდ ძლიერი სამეცნიერო კოლექტივები. ამჟამად კათედრები გაუქმებულია და მეცნიერება, ძირითადად ვითარდება მეცნიერებათა აკადემიიდან გამოყოფილ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, რომელთა ორგანულად ჩართვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ვერ ხერხდება. სამეცნიერო ინსტიტუტებს არა აქვთ შესაბამისი სტატუსი და მათ თანამშრომლებს ხელფასებიც მნიშვნელოვნად დაბალი აქვთ. სამართლიანობისათვის აღვნიშნავ, რომ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პარლამენტში უკვე დაიწყო საკანონმდელო საფუძვლების შექმნაზე მუშაობა. დღეისათვის არსებული მდგომარეობით კი ნათელია, რომ ჩატარებულმა ,,რეფორმამ‘‘ შეაფერხა როგორც საუნივერსტიტეტო მეცნიერების, ასევე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და, შესაბამისად, მეცნიერების განვითარება საქართველოში. აუცილებლად მიმაჩნია სასწრაფო ზომების მიღება მეცნიერების ხელშესაწყობად, საქართველოს მეცნიერება ცოცხალია, ტარდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები, საერთაშორისო პერიოდულ ჟურნალებში ქვეყნდება შრომები. დარწმუნებული ვარ, რომ მეცნიერებისადმი გულგრილი დამოკიდებულება სავალალო შედეგს გამოიღებს.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საერთო გაზეთის ხელმძღვანელობას ამ საკითხით დაინტერესების გამო და იმედს გამოვთქვამ, რომ სპეციალისტები გამოეხმაურებიან პროფესორ ჯემალ მებონიასთან ამ ინტერვიუში გაშუქებულ მოსაზრებებს.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**



## დავით უსუფაშვილი: სასჯელდადებული პირის შეწყალების უფლება აქვს და უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურს

**პატრიარქის ჩაყენება იმ მდგომარეობაში, რომ ვინმე შეიწყალოს და სხვა დატოვოს ციხეში, რელიგიური გადმოსახედიდანაც არასწორია, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აკრედიტებულ მედიასაშუალებებთან გამართულ შეხვედრაზე.**



მისი თქმით, ამ საკითხზე განცხადება პრეზიდენტმაც და საპატრიარქომაც გააკეთეს, ასევე იყო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტსა და პატრიარქს შორის. ,,ასე რომ, ეს საკითხი ნამდვილად დახურულია და ნამდვილად ამოწურულია იმ თვალსაზრისით, რომ რაიმე ოფიციალურ წინსვლას: საკანონმდებლო ინიციატივებს, ოფიციალურ განხილვებს ვერ და არ ვნახავთ‘‘, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე მოსაზრებით, საქართველოს პატრიარქის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით არსებული რეაქციები უფრო მყისიერი და ემოციური იყო, ვიდრე კარგად გააზრებული.

,,დარწმუნებული ვარ, ამ ორი-სამი დღის განმავლობაში ყველას ჰქონდა საშუალება, კარგად გაეაზრებინა და მივსულიყავით მარტივ დასკვნამდე, რომ როცა საუბარია მართლმსაჯულების სისტემის მიერ სასჯელდადებულ პირზე, მისი შეწყალების უფლება აქვს და უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურს. ეს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეა. მგონი, ყველამ გაიაზრა ისიც, რომ თეორიულ საკითხზე მსჯელობაც კი, რომ პატრიარქს ჰქონდეს ამ ტიპის უფლებამოსილება, იქნება გაუმართლებელი არამხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ, ეკლესიური თვალსაზრისითაც. პატრიარქის ჩაყენება იმ მდგომარეობაში, რომ მან ვინმე შეიწყალოს და სხვა დატოვოს ციხეში, რელიგიური გადმოსახედიდანაც არასწორი მოქმედებაა. მგონი, გარკვეულწილად, იმის დემონსტრირება ვიხილეთ, რომ ზედმეტი არაფერი ვარგა, მათ შორის, შესაძლოა, სიყვარულიც. პატრიარქისადმი მოწიწება და სიყვარული საზოგადოებაში ძალიან დიდია და ეს მხოლოდ კარგია. როგორც ჩანს, სიყვარული იმდენად გვაკლია, რომ ვისაც დიდ პატივს ვცემთ, მერე მის ნათქვამზე ემოციები გვეუფლება ხოლმე‘‘, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# „ანანერბე“

რა თქმა უნდა, გარკვეული ნადავლის გარეშე არც საბჭოთა კავშირი დარჩენილა. „ანენერბეს“ არქივთა ნაწილი მან ჩაიგდო ხელთ. მაგალითად, 5-ე გვარდიული არმიის 58-ე მსროლელთა დივიზიამ ტორჰაუს ციხე-სიმაგრესთან ხელთ ჩაიგდო ეშელონი, რომელსაც „ანენერბეს“ დოკუმენტები გადაჰქონდა.

„ანენერბეს“ არქივთა სხვა ნაწილი იპოვეს სილეზიაში, ალტანის ციხე-სიმაგრეში, როდესაც ისინი საბჭოთა კავშირში გასაგზავნად დაიტვირთა, მათმა რაოდენობამ 25 ვაგონი შეადგინა. არქივის კიდევ ერთი ნაწილი აღმოაჩინეს პოლონეთში, გრაფ ჰაუგვიტცის ციხე-სიმაგრეში.

თანდათანობით საბჭოთა კავშირმა დაიწყო არქივების შესწავლა და აღმოჩნდა, რომ რუსებს ხელში ჩავარდნოდათ გერმანული არქტიკული ექსპედიციების საიდუმლო მასალები. მათ შორის, დედოფალ მოდის მიწის მთელი სანაპიროს (3500 კმ) ფოტო და კინოფირები.

1947 წლის იანვარში ამ ტერიტორიაზე გადასხეს საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიცია, რომელმაც აქ დააარსა სადგური „ლაზარევსკაია“, და რომელმაც 1961 წლამდე იარსება. მალევე ახლოს გაჩნდა ახალი სადგური „ნოვოლაზარევსკაია“. და აი, რა არის ყველაზე საინტერესო: იქ არსებობს სამხედროების საფლავები, დათარიღებული 1947 წლით. თუ იქ საშიში არაფერია და მარტო პინგვინები ცხოვრობენ, იბადება კითხვა: რომელ და ვისთან ბრძოლაში დაიღუპნენ ეს ჯარისკაცები?

„ისტორიკოსები და პუბლიცისტები, რომლებიც ამ თემაზე წერენ, თავიანთ ნაშრომებში ჩვეულებისამებრ შემოიფარგლებიან ორგანიზაციის ისტორიის მოკლე მიმოხილვით, და იმთავითვე გადადიან კონკრეტულ პროექტებზე, რომლებსაც ამ ორგანიზაციის თანამშრომლები ახორციელებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, იმთავითვე ცდილობენ თავიანთი მკითხველის ყურადღება შეაჩერონ გერმანელთა მისტიკურ, საიდუმლო და წარმოუდგენელ ტექნოლოგიურ მიღწევებზე“, – აღნიშნავს მკვლევარი და მწერალი ვლადიმერ ბროვკო. რომელმაც შესანიშნავი ნაშრომით „ანენერბეს“ საქმიანობა გააცნო ფართო საზოგადოებას. „ანენერბეს“ თანამშრომელთა მუშაობამ დაამტკიცა თავისი ეფექტურობა. სწორედ მათ შესთავაზეს გერმანიას, როგორც მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის, ასევე მთლიანად საზოგადოების ახალი გზები და ოპტიმიზაციის მეთოდები.

მიუხედავად ცალკეული პროექტების მოჩვენებითი სამეცნიერო ეგზოტიკისა, „ანენერბეს“ თანამშრომლებმა უკვე მაშინ შეძლეს იმის განხორციელება, რასაც დღეს „ახალ, ინოვაციურ და ვენჩურულ (სარისკო) მიმართულებებს“ უწოდებენ.

შედეგად, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისთვის პასუხისმგებელმა გერმანულმა სახელმწიფო ორგანოებმა შეთავაზებული პროექტებიდან გამოჰყვეს ყველაზე უფრო პერსპექტიული პროექტები, რომლებიც ფინანსდებოდა სახელმწიფო ხაზინიდან.

აქ ჯეროვანი იქნება შევნიშნოთ, რომ „ანენერბეს“ ისტორიის დასავლელ მკვლევართა გამოთვლებით, მისი საჭიროებისთვის, გერმანიაში უფრო მეტი დაიხარჯა, ვიდრე აშშ-ში ატომური ბომბის შექმნისთვის.

თანაც, მიუხედავად იმისა, რომ „ანენერბეს“ გამოკვლევები მოიცავდა მისტიკისა და ოკულტიზმის სფეროს, ეს კვლევები შეერთებული იყო შეიარაღების ახალი სახეობების პრაქტიკულ შემუშავებასთან (მაგალითად, ავიაციისა თუ სარაკეტო ტექნიკის დარგში) და ადამიანის ფსიქიკის მანიპულირების ახალ ხერხებთან, რომლებიც გამოიყენებოდა მაშინ და გამოიყენება ახლაც, ფსიქოლოგიური ომების საწარმოებლად.

და კიდევ, რაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ორგანიზაცია „ანენერბე“, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მეცნიერების მიერ უარყოფილი მისტიკითა და ოკულტიზმით იყო დაკავებული, 1935-1945 წლებში სამეცნიერო გამოგონებებისა და კვლევების ფლაგმანი გახდა.

ამასთან, ამ წლებში, გერმანულმა მეცნიერებამ და ტექნიკამ მინიმალური ძალისხმევითა და მინიმალური პირობებით მაქსიმალურ შედეგებს მიაღწია. ასევე „ანენერბეს“ მუშაობის გამოცდილების საფუძველზე მსოფლიოში საფუძველი ჩაეყარა ე. წ. „სამოქალაქო საზოგადოების სოციალური პროცესების მართვის საკრალურ დონეს“. აი, საყურადღებო ნაშრომი ამ მიმართულებით.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეს გამოცდილება ფართოდ გამოიყენეს მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა გეოპოლიტიკურ სივრცეში ახალი გადანაწილებისთვის ბრძოლაში.

საინტერესოა, რატომ აღმოცენდა ისეთი ორგანიზაცია, როგორიც „ანენერბეა“ მაინცა და მაინც გერმანიაში?

მიიჩნევა, რომ გერმანელები, როგორც ხალხი, ყოველთვის მიდრეკილნი იყვნენ მისტიციზმისკენ და კათოლიკური ეკლესიის აკრძალვების მიუხედავად, სხვადასხვა საიდუმლო კულტებში მასობრივად მონაწილეობდნენ.

ისტორიკოსები და სხვა მკვლევარები, რომლებიც ამ თემაზე წერენ, გერმანელთა მისტიკითა და ოკულტიზმით გატაცებას, უპირველეს ყოვლისა, გერმანიაში ტამპლიერთა ორდენის ზეგავლენის გავრცელებას უკავშირებენ, რომლებმაც გერმანიის ტერიტორიაზე შექმნეს დახურულ ცენტრთა ქსელი, სადაც ორდენის წევრები სწავლობდნენ ასტროლოგიასა და მაგიას, და ატარებდნენ ეკლესიის მიერ აკრძალულ სამეცნიერო ექსპერიმენტებს.

როდესაც კათოლიკური ეკლესიის “მოთმინება” ტამპლიერთადმი ამოიწურა, ორდენი აკრძალეს, ქონება ჩამოართვეს, ხოლო წევრები რეპრესირებული იქნენ, ტამპლიერთა „მეცნიერული“ ნაწილი სხვა რაინდული ორდენის, ტევტონთა მფარველობის ქვეშ გადავიდა. ამ დროისთვის ტევტონთა ორდენი უკვე მყარად იყო ფესვგადგმული ბალტიის ზღვის სანაპიროებზე და იქ თავისი ახალი ცენტრი, ქალაქი კენიგსბერგიც დააფუძნა. თანაც ქალაქი არ გაშენებულა ცარიელ ადგილზე. ადრე იქ მეზობელი ქვეყნებისთვის ცნობილი წარმართული საკერპე არსებობდა და ამ ტერიტორიას „ძალმოსილ ადგილად“ მიიჩნევდნენ. სწორედ კენიგსბერგში დაიწყეს თავმოყრა მთელი ევროპის მოგვებმა და ჯადოქრებმა.

დაახლოებით 1800 წლიდან, როდესაც გერმანიაში ე. წ. რენესანსის დრო დადგა, აღორძინდა გერმანული მისტიციზმიც, თანაც იმ დროს მოდური მატერიალიზმის, მექანიზმისა და უტილიტარიზმის საწინააღმდეგო პროტესტის ფორმით. განმანათლებლობის ეპოქას რომანტიზმი ცვლის და ემთხვევა საწარმოო გადატრიალებას, რომელიც აღინიშნა პირველი მანქანის, ორთქლმავლის, გემის, ფოტოგრაფიისა და ქალაქგარე საწარმოებისა და ფაბრიკების გამოჩენით.

განმანათლებლობა თუ გონების კულტით ხასიათდება, რომანტიზმი ადამიანში გრძნობებისა და ბუნების კულტს აფუძნებს. სწორედ რომანტიზმის ეპოქაში ყალიბდება ტურიზმის, ალპინიზმისა და პიკნიკის ფენომენი, რომელიც მოწოდებულია აღადგინოს ადამიანის ერთობა ბუნებასთან. ჩნდება „სახალხო სიბრძნით“ აღჭურვილი „კეთილშობილი ველურის“ მოთხოვნა, რომელიც ჯერ კიდევ არ შეურყვნია ცივილიზაციას. იღვიძებს ინტერესი ფოლკლორის, ისტორიისა და ეთნოგრაფიისადმი, რაც პოლიტიკურად პროეცირდება ნაციონალიზმში. ამ პერიოდში პირველი გერმანელი მისტოკოსები ხდებიან ფილოლოგი და რომანტიკოსი ფრიდრიხ შლეგელი, რომელმაც პირველმა წამოაყენა იდეა, რომ არიელები ცხოვრობდნენ ჰიმალაებში, და იქედან გამოსვლის შემდეგ დაიპყრეს ევროპა, ინდოეთი და ირანი.

1. 1822 წელს გაჩნდა ვ. გრიმის წიგნი „გერმანულ რუნებზე“, როგორც პირველ არიულ დამწერლობაზე. თანდათანობით გერმანიაში ყალიბდება მიმართულება, რომელსაც „გერმანული რომანტიზმი“ ეწოდა და სადაც პირველად გამომუშავდა „ზეკაცის“ ცნება. გერმანიის იმდროინდელ მეცნიერთა აზრით, მაგალითად, 1900 წელს, მოგროვდა მითოლიგიური ცნობიერების მქონე მოქალაქეთა კრიტიკული მასა. ადოლფ ჰიტლერი ჯერ კიდევ თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისში საკუთარ თავს ღმერთ ოდინის მიწიერ განხორციელებად თვლიდა.

ოდინის კულტის ზეგავლენით იშვა ნაცისტური სიმბოლიკა. თეთრი წრე სვასტიკით წითელ მაუდზე. პირველად ასეთი დროშა 1920 წელს შეიქმნა. მაგრამ გერმანელებს მისტიციზმისა და ოკულტური მეცნიერებების განვითარებაში არც სხვა ქვეყნების მეცნიერები ჩამორჩებოდნენ და არც მარტო ევროპელები.

ასე მაგალითად, ინგლისელმა მეცნიერმა გალტონმა 1889 წ. დაწერა წიგნი „მემკვიდრეობითობა და გენიალურობა“. ამ ავტორმა, სწავლობდა რა ტალანტისა და ხასიათის მემკვიდრეობითობას, პირველად შემოიტანა ტერმინი „ევგენიკა“. ხოლო კიდევ უფრო ცნობილი გალტონი გახდა იმით, რომ პირველი მივიდა იდეასთან, რომლის მიხედვითაც აზრები მატერიალურია და საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, ხან ერთ პერსონაჟად წარმოიდგენდა საკუთარ თავს და ხან კიდევ მეორედ. მან შეამჩნია როგორ იცვლებოდა ამისგან მისდამი გარშემომყოფთა დამოკიდებულება.



ელენა ბლავატსკაია



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №35

ამ გენიალურ მიგნებაზე დაფუძნებით გალტონი მიხვდა, რომ სოციალური გარემოს შეცვლა ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარი თავისადმი პირადი დამოკიდებულების შეცვლით. სწორედ მაღალი თვითშეფასება აიძულებს გარემომცველ ადამიანებს პატივისცემით მოეპყრან პიროვნებას. მაგალითად, ჰიტლერი, როდესაც მასობრივი გამოსვლებისთვის ემზადებოდა, საკუთარ თავს იესო ქრისტედ წარმოიდგენდა!

1871 წელს. ინგლისში გამოვიდა ე. დ. ბლუვერ-ლიტონის წიგნი „მომავალი რასა“. წიგნის სიუჟეტში კვლავ გამოკრთის ტიბეტი და იქ მცხოვრები საიდუმლო ტომი „ვრილ-ია“, რომლებიც ცდილობენ საკუთარი საიდუმლო


ოდინი

ძალა „ვრილით“ დაიპყრონ უძლური კაცობრიობა. შემდეგ ინგლისელებმა გადაწყვიტეს სიტყვიდან საქმეზე გადასულიყვნენ და 1787 წელს ჩამოაყალიბეს საზოგადოება "ოქროს ალიონი". ამ საზოგადოების მაგისტრი ალისტერ კროული გახლდათ. ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ: მეიჩენი,. სტოკერი, ფარი, ასევე გერმანიის მთელი რიგი წარმომადგენლები: ობსტი, მაული, ბანზე და სხვები.

ზუსტად ამ დროს არენაზე გამოდის ელენა ბლავატსკაია, რომელმაც ახალი მეცნიერება „თეოსოფია“ დააფუძნა. თანაც თეოსოფიის საფუძვლები, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ბუდიზმისა და სხვა აღმოსავლური რელიგიების დოგმებს, ასევე ცოდნას, რომელიც ბლავატსკაიამ ინდოეთში მოგზაურობისას მიიღო. თანაც ბლავატსკაიამ ადამიანთა გაუმჯობესების საკუთარი რეცეპტი წარმოადგინა.

მისი აზრით, ადამიანის სრულყოფის უმთავრეს გზას წარმოადგენს თვითსრულყოფა მედიტაციური პრაქტიკის მეშვეობით. და კვლავ ამ მეთოდიკის მიხედვით ე. ბლავატსკაიას შრომებში ჩნდება „ზეკაცის“ ცნება. ე. ბლავატსკაიას იდეები ძალზედ მოეწონათ გერმანიაში, რომელიც ახალი ომით ევროპაში მსოფლიოს გადაკეთებისთვის ემზადებოდა.

ასე, მაგალითად, ფონ ლისტი საკუთარ თავს ღმერთ ოდინის კულტის მოგვად მიიჩნევდა და ლისტის ამხანაგობა დააფუძნა. მასში ღებულობდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ეროვნული მითოლოგიისა და ეზოთერიზმის შერწყმით. ამ ამხანაგობის საფუძველზე 1911 წლის 23 ივნისს ლისტმა შექმნა ალემანთა ახალი „უზენაესი ორდენი“. ლისტის ყველა ძალისხმევის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლება გერმანიაში უნდა მიიღოს ახალმა მესიამ, რომელიც წინ წაუძღვება ლაშქრობას სოციალისტების და სხვა ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ და შექმნის პანგერმანულ ერს – უდიდეს გერმანულ რეიხს. ძალაუფლება ამ სახელმწიფოში მხოლოდ არიოგერმანული რასის კუთვნილება იქნება, ხოლო ყველა არაგერმანელი ერი მონის მდგომარეობაში უნდა იყოს.

ბლავატსკაიას შემდეგ გერმანიაში კიდევ ერთი „რუსი“ იჩენს თავს. ეს იყო გიორგი გურჯიევი (ავტორი მას რუსად აცხადებს, ალბათ იმას გულისხმობს, რომ ის იყო რუსეთის იმპერიიდან. ზოგიერთი გურჯიევს ქართველად მიიჩნევს გვარიდან გამომდინარე, მაგრამ გურჯიევებად ბერძნებიც იწოდებოდნენ საქართველოში. ზოგის აზრით კი ის სომხური წარმომავლობის იყო და ქალაქ ყარსში დაიბადა).

უინტერესო არ უნდა იყოს, რომ ახალგაზრდობაში გურჯიევი და სტალინი ერთ დროს სასულიერო სემინარიაშიც სწავლობდნენ და მეგობრობდნენ კიდევაც. მეტიც, გურჯიევი, სტალინის სულიერი მასწავლებელი გახლდათ. მაგრამ სტალინი სემინარიიდან გარიცხეს, აი, გურჯიევმა კი ის დაამთავრა, ოღონდ მართლამდიდებლობას კი არ ემსახურა, არამედ დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიების შესწავლა და მოგზაურობა. განსაკუთრებულად გაიტაცა იგი აღმოსავლურმა რელიგიურმა და ფილოსოფიურმა სისტემებმა.

გურჯიევის სწავლების არსი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მან პირველმა განაცხადა, რომ სამყაროები და განზომილებები მრავალია. მატერიალურ ობიექტზე, მათ შორის ადამიანზე სხვადასხვა ძალები და ვიბრაციები მოქმედებენ. გარდა ამისა, თვით ადამიანი მრავალპლანიანია. ასე, მაგალითად, ადამიანში კონცენტრირებულია ხორციელი, ფიზიკური (რომელსაც ის - „ურემს“ უწოდებდა) და სულიერ-მენტალური (შესაბამისად, იწოდებოდა „ცხენად“, რომელიც მიათრევს ურემს, ანუ „ორთვალას“). სამყარო აერთიანებს უნივერსალურ ენას, რომლის გამოყენება შეუძლია მხოლოდ მაღალორგანიზებულ არსებებს (მაგ.: სპეციალურად მომზადებულ ადამიანებს). დედამიწა მჭიდროდ არის დაკავშირებული კოსმოსის საერთო სისტემასთან. მიწიერი შეზღუდული ცხოვრება არა მარტო აღიქვამს ენერგიის ნაკადს, არამედ გაასხივებს მას კოსმოსშიც. მორალი სამყაროს სუბიექტური გაგების შედეგია. თვით კოსმოსები სულ შვიდია (პროტოკოსმოსი, მეგალოკოსმოსი, მაკროკოსმოსი, დეიტეროკოსმოსი, მეზოკოსმოსი, ტრიტოკოსმოსი და მიკროკოსმოსი) და ეს ყოველივე, გურჯიევის აზრით, ცოცხალი არსებაა!

გურჯიევი ამბობდა, რომ ადამიანს შეუძლია მიაღწიოს უმაღლეს სულიერ დონეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იმუშავებს საკუთარ თავზე, შეისწავლის მას და სრულყოფს საკუთარ გზას. მაგრამ გერმანიაში გურჯიევმა ფრთები ვერ გაშალა, ის ძალიან მალე საფრანგეთში გადაბარგდა.

**(გაგრძელება იქნება)**

**მოამზადა**
**ქეთევან ზარნაძემ**
**599 52 60 30**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## თურქეთის ციხეებში მყოფი საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულების პირობების გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებები დაიგეგმა

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის კახა კახიშვილის ხელმძღვანელობით, ანკარაში თურქეთის სასჯელაღსრულებისა და საპატიმროების გენერალურ დირექტორს ენის იავუზ ილდირიმს შეხვდა.**



სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე იმ პრობლემების შესახებ ისაუბრეს, რომელიც საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულებს ექმნებათ და მათი აღმოფხვრის გზები განიხილეს. ერთ-ერთი მთავარი საკითხი თურქეთის ციხეებში მყოფი ქართველი მსჯავრდებულების შეძლებისდაგვარად ერთ დაწესებულებაში განთავსება და რელიგიურ თუ სხვა დღესასწაულებზე მათი შესაბამისი კერძებით უზრუნველყოფა იყო. გადაწყდა, რომ უშუალოდ მსჯავრდებულთა თანხმობის შემთხვევაში, მათ ერთ დაწესებულებაში განათავსებენ. ამასთან, ქართულ მხარეს საშუალება მიეცემა დღესასწაულებზე საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულთათვის დაწესებულებაში ქართული კერძები შეგზავნოს, ასევე, პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკას ქართული ლიტერატურა მიაწოდოს.

შეხვედრაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულთათვის საჩივრების მომზადების და განხილვის პროცესში ენობრივი ბარიერის აღმოფხვრის პრობლემაზეც ისაუბრა და განხილულ იქნა ყველა ის ხარვეზი, რომელიც ამ მიმართულებით გამოიკვეთა.

თურქეთის 36 პენიტენციურ დაწესებულებაში საქართველოს 274 მოქალაქე იმყოფება. მათთვის პირობების გაუმჯობესების საკითხი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა თურქეთის იუსტიციის მინისტრთან ბექირ ბოზდაღთან შეხვედრაზე დააყენა, რომელმაც ამ საკითხების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა დელეგაციასთან ერთად, თურქეთის სასჯელაღსრულებისა და საპატიმროების გენერალურ დირექტორთან შეხვედრის ფარგლებში მონიტორინგის ცენტრიც დაათვალიერა. კახა კახიშვილი დღეს სტამბოლში N3 L ტიპის დახურულ სასჯელაღსრულების დაწესებულებას ეწვევა, იქ მყოფ ქართველ მსჯავრდებულებს პირადად შეხვდება და მათი საჭიროებების შესახებ მოისმენს ინფორმაციას.

## 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა სწავლას დედაქალაქის მერია დააფინანსებს




13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა სწავლის დაფინანსებას უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, დედაქალაქის მერია უზრუნველყოფს - ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

ანგარიშის მიხედვით, ბოლო მონაცემებით სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან მერიამ საცხოვრებელი ფართის შესაძენად თანხა 46 ოჯახს უკვე ჩაურიცხა. ამასთან, შეიქმნა საოჯახო პაკეტები და დაზარალებულებს შესაბამისი კომპენსაციები ჩაერიცხათ.




1. „ილიადის" ავტორი
2. მითიური ჰერაკლეს ატრიბუტი
3. ხმელეთის დიდი ნაწილი
4. იატაკზე დასაგები ფილა
5. მწვერვალი ჰიმალაის მთებზე
6. პოლონელი ქალბატონი
7. კოსმოსური ხომალდების გასაშვები ადგილი
8. ლიხტენშტაინის დედაქალაქი
9. პიროვნების უფლებების შეზღუდვა
10. დროის უკმარისობა ჭადრაკში
11. თეთრყვავილიანი დეკორატიული მცენარე
12. ფრანგი აზნაური
13. ატომური ბომბის გამოცდისას დანგრეული კუნძული
14. ფეხვიერი მასალების მტვირთავი მოწყობილობა
15. დ. აბაშიძის უკანასკნელი ფილმი
16. იაპონური საყოფ. ტექნიკა
17. სამუსიკო ნიშანი
18. ბალზაკის „მამა ..."
19. გერმანიის საფეხ. გუნდი „...04"
20. სათბურში გამოყვანილი ნერგი
21. მარიტას შეყვარებული „ნატვრის ხეში"
22. მახობი მიკი . . .
23. ცეცხლგამძლე თიხა
24. ერის ძე. შესატყვისი
25. დარტყმა ბილიარდში
26. პატარა აკლდამა
27. საწერი სითხე
28. ფრინველთა გუნდის ხმიანობა
29. დაუფიქრებელი, ჩქარი
30. „იყო არაბეთს . . ."
31. დღეები ყოველი თვის შუაში
32. ფეხის ნაწილი
33. ოსეთი
34. დიდი მუსიკ. ნაწარმოები
35. სოლომონის დამარცხებული სელჩუკთა მეთაური
36. „ქოგულის" მოლელი
37. ნახატი ქსოვილის ორივე მხარეს
38. ამერიკელი მომღერალი მარი . . .
39. პარკოსანი კულტურა
40. საქმის კარგად მცოდნე ხელოსანი
41. „უთავო მხედარში" მუსტანგერი მორის . . .



42. აბორტების უნებართვოდ გამკეთებელი
43. გახეხილი ხილის ტკბილეული
44. შოშიასებური ფრინველი
45. სერიალის გმირი ძაღლი
46. ძალის ერთეული
47. ბანჯგვლიანი ძაღლი
48. ესპანელი მამაკაცის ხსენება
49. ქაღალდის ძველი ფული
50. შუა აზიური ლეჩხელი
51. მხარე იტალიაში
52. კატაბალახას სამკურნალო ფესვი
53. ფეხბურთელი . . . შევჩენკო
54. წიგნის პირველი ფურცელი
55. ავსტრალიური ხელიკი
56. . . . ჩარლზი
57. ზაირის დედაქალაქი
58. მაზინას კინო გმირი
59. ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი
60. მეგრული ყველი
61. პარკოსანი კულტურა



62. ვრცელი ველი ჩრდ. ამერიკაში
63. დახრილი კოშკი იტალიაში
64. რუსი მომღერალი ქალი
65. წლამდე ბატკანი
66. შპალი
67. ქართული შეჯიბრი ცხენებით

# თავსატეხი

**შვეულად:** ალისა, აჯანი, დერბი, ვარდი, იმაგო, კატია, ლარსი, მესია, ნისლი, ოფისი, რქენა, უნარი, ჩვევა, შოშია.

**თარაზულად:** აგუტი, ათენი, არენა, აყირო, ბუჩქი, გოლფი, დრაჟე, ვაიმე, იორლა, იურტი, კლანი, ლაიკა, მახრა, სარჭი, ტენგე, ფითრი, ქვიშა, ღინტუ, ყალია, შხუნა, ცანგა, ძვალი, წენგო, ჯავრი.

# სამიდან ერთი

**შვეულად:** 1. სენატი, სუნამო, საგანი. 2. ფულურო, ჩეხოვი, მიზანა. 3. გიბონი, დუმილი, ზუმერი. 4. ფერარი, დეგოლი, ზალიკო. 5. დოგმატი, ბანცალი, სანთელი. 6. ბორკილი, ლენოქსი, ყუმბარა. 11. კამათი, ჩიჩინი, ფასადი. 12. დუქანი, ლიკანი, ჩოხელი. 13. დურაკა, დოკერი, დაცუნი. 14. სანიო, მანია, ძიძია. 15. რაინი, ხეობა, შპალი. 16. ოფოფი, ულაყი, ამაყი.

**თარაზულად:** 3. მარაკანა, გაზრდილი, დედალოსი. 7. კამორა, ბეგარა, დუმილი. 8. ქარავანი ბალაგანი, ფელეტონი. 9. მულატი, სალარო, წოდება. 10. ნოდია, ნათია, ნოკია. 11. ფოლადი, ბეჩუნი, სირენა. 14. კოლია, ტემპი, სირია. 17. საკაცე, მონეტა, კახეთი. 18. კარდალა, ჭინჭილა, გარმონი. 19. გუმანი, ჯახუნი, დენონი. 20. პროთეზი, პლაკატი, პროფილი.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 7 | ■ | 25 | ■ | 13 | 9 | 1 | 9 | 20 | 5 | ■ |
| 24 | 6 | 22 | 19 | 4 | 5 | ■ | 19 | ■ | 5 | ■ | 31 |
| ■ | 2 | ■ | 14 | ■ | 21 | 19 | 10 | 16 | 26 | 4 | 5 |
| 23 | 5 | 11 | 9 | 12 | 5 | ■ | 7 | ■ | 15 | ■ | 29 |
| ■ | 3 | ■ | 18 | ■ | 22 | ■ | 5 | 1 | 5 | 3 | 26 |
| 32 | 9 | 8 | 5 | 4 | 5 | ■ | ■ | 19 | ■ | ■ | 12 |
| 19 | ■ | 9 | ■ | 26 | ■ | 28 | 5 | 22 | 9 | 4 | 5 |
| 15 | 9 | 22 | 9 | 17 | 9 | ■ | ■ | 2 | ■ | 19 | ■ |
| 5 | ■ | 5 | ■ | 19 | ■ | ■ | 30 | 5 | 8 | 22 | 5 |
| 4 | 9 | 18 | 5 | 12 | 9 | 17 | 5 | ■ | ■ | 2 | ■ |
| 5 | ■ | 9 | ■ | 5 | ■ | ■ | 18 | 9 | 4 | 5 | 9 |
| ■ | 7 | ■ | 32 | ■ | 3 | ■ | 19 | ■ | 9 | ■ | 27 |
| 21 | 19 | 33 | 5 | 2 | 5 | ■ | 22 | 5 | 12 | 14 | 9 |
| ■ | 2 | ■ | 12 | ■ | 15 | ■ | 5 | ■ | 1 | ■ | 4 |
| 15 | 9 | 16 | 9 | 4 | 19 | 9 | ■ | 14 | 26 | 22 | 9 |

| | |
|---|---|
| ა-9 | ს-2 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ- |
| დ- | ფ- |
| ე- | ქ-10 |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ-5 | შ- |
| ი- | ჩ-1 |
| კ-3 | ც- |
| ლ-22 | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ-4 | |

# რას ვყიდულობთ „ზეთის“ სახელწოდებით

მცენარეული ზეთების ეტიკეტებზე უამრავ ლამაზ სიტყვას ამოიკითხავთ. სამწუხაროდ, ამ სიტყვებში რეკლამის მეტი არაფერია. როგორ უნდა გავარკვიოთ, რამდენად ახალი, ჯანსაღი და სასრგებლოა ესა თუ ის ზეთი. ყიდვისას ამაზე არც ვფიქრობთ, რადგან ყველა ზეთი ერთმანეთს ჰგავს. არადა, ზეთი იმდენად ხშირად მოხმარებადია პროდუქტია, რომ მასზე ძალიან არის დამოკიდებული ოჯახის ჯანმრთელობა. ყველაზე ხშირად ძვირად ღირებულ ზეთებს აყალბებენ, მაგალითად, ზეითუნისას, ნიგვზისას, ყურძნის წიპწებისას... ამ ზეთებს დაბალხარისხიანი ზეთებით აზავებენ. როგორ გავარჩიოთ ხარისხიანი ზეთი უსარგებლოსგან?



### რაფინირებული ზეთი – კარგია თუ ცუდი?

რაფინირებული ნიშნავს, რომ ზეთი ფიზიკურ-ქიმიურადაა დამუშავებული. ამის შემდეგ ზეთი უფრი ღია ფერის, უსუნო ხდება და მისი შენახვა ხანგრძლივი ვადით არის შესაძლებელი. მას სასარგებლო თვისებებიდან თითქმის აღარაფერი აქვს შემორჩენილი, აღარც ვიტამინები. ანუ მავნე არ არის, მაგრამ არც სასარგებლოა. ამიტომ დააკვირდით ეტიკეტს და ირჩიეთ ზეთი, რომელიც არარაფინირებულია. თან „ცივი დაწნეხვის წესით“ არის მიღებული. ამ წესით დამზადებული ყველა ზეთი სასარგებლოა.

### ძვირი და იშვიათი ზეთი

ძვირი რომ ღირს, სულაც არ ნიშნავს, რომ თან სასარგებლოა. ამ დროს მარტო ეტიკეტის ნდობა არ ღირს. საკითხავია, ეს კომპანია თავად აწარმოებს პროდუქტს? საიდან შემოაქვს ნედლეული და როგორი ხარისხისაა იგი. შესაძლოა სულაც გაზავებული იყოს. ამიტომ დაუფიქრებლად ნუ შეიძენთ ძვირფას ზეთს.

### ზეთი კონსერვანტებისა და საღებავების გარეშე

ეტიკეტზე თუ არ აწერია, რომ კონსერვანტებს არ შეიცავს, არა უშავს, ზეთში ისინი მაინც არ იქნება. ეს მწარმოებლის დამსახურება სულაც არ არის. მცენარეული ზეთი ისეთი პროდუქტია, რომ მასში ხელოვნური საღებავის ან კონსერვანტის შერევა თითქმის შეუძლებელია. შესანახად ყველაზე კარგია მუქი მინის ბოთლი. რასაც არ უნდა გპირდებოდეთ ეტიკეტი, არარაფინირებული ზეთი 2 თვის განმავლობაში ძლებს, რაფინირებული - 4 თვის განმავლობაში.

### სად არის ვიტამინები?

ბუნებრივი ვიტამინებისა და მიკროელემენტების მაქსიმალური შემადგენლობა მხოლოდ არარაფინირებულ ზეთშია, რომელიც ცივი დაწნეხვის წესით არის მიღებული. რაფინირებულ ზეთში კი ყველა ვიტამინი, რაც ეტიკეტზე წერია, სინთეზური წარმოშობისაა. მათ გადამუშავებულ ზეთში შემდეგ უმატებენ.

### გენმოდიფიცირებული დანამატების გარეშე

ზეთში გენმოდიფიცირებული ორგანიზმები მთავარი ნედლეულიდან ხვდება - სოიოდან, სიმინდიდან. სამწუხაროდ, ზეთში ამ ორგანიზმების აღმოჩენა ლაბორატორიული შემოწმებითაც ვერ ხერხდება. ამ შემთხვევში, ისღა დაგრჩენიათ, რეკლამას ენდოთ, თუ გიმტკიცებენ, რომ ზეთში გენმოდიფიცირებული ორგანიზმები არ არის.

### ქოლესტერინი – როგორც სარეკლამო სვლა

მცენარეულ ზეთთში ქოლესტერინი ისედაც არ არის. ამიტომ მისი ხსენება მხოლოდ სარეკლამო სვლაა.

ანუ ზეთს 2 მთავარი უპირატესობა ყველა შემთხვევაში აქვს - არ შეიცავს კონსერვანტებს და ქოლესტერინს.

www.mshoblebi.ge


ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- ვინ შეიძლება მიღებულ იქნას ან არ იქნას მიღებული საჯარო სამსახურში?**

- კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-15 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ამავე კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ამავე კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს

ნასამართლობა;

ბ) იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული

ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული

თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით

უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო

ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

* * *

**- როგორია გამოსაცდელი ვადის საკითხი არასაჯარო, ანუ კერძო საწარმოებში?**

- საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის”მე- 9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

მე-2 ნაწილი: დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მე-3 ნაწილი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ

ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა / რაც გულისხმობს შემდეგს: შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/, თუ გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა

ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

* * *

**-რა შემთხვევაში ხდება განქორწინება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში?**

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

* * *

**- მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას როგორ გადაწყდება პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების ბედი?**

- თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს სამოქალაქო კოდექსის 1165-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით,ხოლო,თუ ასეთი შეთანხმება არ არის მიღწეული, მაშინ- სასამართლოს მიერ. სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება.

## დიდხანს ძილი საფრთხის შემცველია



ზედმეტი წონისგან რომ თავი დაიცვათ, დღეში 9 საათზე მეტი არ უნდა იძინოთ, – გვირჩევენ ვაშინგტონელი მეცნიერები.

როგორც ცხადი გახდა, ზედმეტი ძილი ზედმეტ წონას წარმოშობს.

ჩაატარეს ცდა, რომლის მიხედვით, ცდისპირთა ნაწილს 7 საათი ეძინა, ნაწილს – 9 საათი და მეტი. აღმოჩნდა, რომ 9 საათზე მეტ ხანს ძილი ორგანიზმში ჭარბ წონას წარმოქმნის.

## მეცნიერები შეაშფოთა კატების საიდუმლო ცხოვრებამ



ჯორჯიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა საოცარი რამ აღმოაჩინეს.

60 კატაზე ცდა ჩაატარეს. მეცნიერები აკვირდებოდნენ ცხოველებს ვიდეოკამერით და სწავლობდნენ მათი ცხოვრების დეტალებს. აღმოჩნდა, რომ კატების 30 პროცენტი ნადირობდა, 49 პროცენტი – ერთობოდა, 21 პროცენტს კი ნანადირევი სახლში მიჰქონდა.

შინაური კატების ძირითადი ნანადირევი წყლის ხვლიკები, გველები და ბაყაყები აღმოჩნდა, შემდეგი 25 პროცენტი მღრღნელებს ეტანებოდნენ, 20 პროცენტი პეპლებს და მატლებს, ჩიტებს – 12 პროცენტი. ეკოლოგები მიიჩნევენ, რომ კატები არიან ზოგიერთი ჯიშის ფრინველის გაქრობის მიზეზი. ამ თეორიას ფრინველთა დაცვის ამერიკული კომიტეტის პრეზიდენტი ჯორჯ ფენვიკი ავრცელებს.

კვლევამ ცხადჰყო, რომ ოჯახის კატების 45 პროცენტი სამანქანო გზას გადაჭრის ხოლმე, 20 პროცენტი ყოველგვარ სისაძაგლეს სვამს და ჭამს. ამასთანავე, კატების ნაწილი „ორ ოჯახში“ ცხოვრობს და პატრონის ერთგული სულაც არაა.

## ახალგაზრდამ მაღალი ერექციისთვის აბები მიიღოდა სასქესო ორგანო დაკარგა

29 წლის ტეხასელმა ახალგაზრდა მამაკაცმა გადაყლაპა ერექციის გასაძლიერებელი აბები და პენისი დაკარგა სექსის პროცესში. ახლა მას უკვე აღარ შეუძლია სქესობრივი კონტაქტის დამყარება. რის გამოც სასამართლოში აქვს საჩივარი შეტანილი აბების მწარმოებელი ფირმის საწინააღმდეგოდ.




ედრიან კარტერი ახალგაზრდა, ჯანმრთელი ბიჭი იყო, სანამ სასტუმრო „ჰიუსტონში“ სასქესო ორგანოდან სისხლის დენა არ დაეწყო. მედიკოსებმა მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი უნაყოფო და სქესობრივად უძლური დარჩა.

ედრიან კარტერის ადვოკატი მელისა მური ამბობს, რომ მას მანამდე არასდროს მიუღია არც ერთი სამკურნალო პრეპარატი. ახლა კი შეიძინა ბიოლოგიური დანამატი, რომელიც უფრო ძლიერ ერექციას და მღელვარე ორგაზმს გამოიწვევდა.

ადვოკატი და დაზარალებული დღეს წამლის მწარმოებელი ფორმისგან ფულად კომპენსაციას ითხოვს. ფირმა კი აცხადებს, რომ შეუძლებელი იყო ამ აბებს გაძლიერებული სქესობრივი ლტოლვის გარდა სხვა რაიმე რეაქცია გამოეწვია, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდა იტყუება.

## ნეფერტიტის ქმარი უცხოპლანეტელი იყო?

არსებობს მოსაზრება, რომ პირამიდები არამიწიერი ცივილიზაციის ნაშთებია. ამასთანავე, თვით ფარაონებიც, ხშირ შემთხვევაში, საერთოდაც არ ჰგავანან დედამიწელებს. ისინი ყველასგან განსხვავებულად გამოიყურებიან, განსაკუთრებით ეხნატონი, ტუტანჰამონის ნამდვილი მამა და ასევე ცნობილი ნეფერტიტის ქმარი, რომელსაც გველივით წინ წამოწეული ყბა ჰქონდა, ხოლო თავის ქალა კვერცხს მიუგავდა, კეფა მკვეთრად უკან შეწეული. თავის ქალა მას ორნახევარჯერ უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ უბრალო ეგვიპტელებს. თითები ობობას საცეცებს მიუგავდა, ფეხის ტერფები, როგორც საცურაო ლასტები, უზარმაზარი საკვერცხეები და... ქალის მკერდი.



ამ ცნობამ მსოფლიო 1907 წელს მოიცვა. სარკოფაგის გამოკვლევებიდან კი მხოლოდ ის დადგინდა, რომ ეხნატონს უშველებელი კვერცხის ფორმის თავი ჰქონდა.

საიდან წარმოიშვა ასეთი შთამომავლობა? შთამომავლობის კვლევის საკითხები მარილენდის შტატის კვლევის ინსტიტუტში განიხილება, სადაც გამოჩენილი ადამიანების ავადმყოფობის ისტორიებს შეისწავლიან. სხვადასხვა დროს აქ ნაპოლეონის, მოცარტის და თვით ალექსანდრე მაკედონელის ფენომენებსაც შეისწავლიდნენ. ახლა ეხნატონის, ანუ ამენხოტეპ IV უეენრ ნეფერხეპერურის ჯერი დადგა, რომელიც 3500 წლის წინათ გარდაიცვალა.

ირვინ ბრეივერმანის შეხედულებით, ფარაონი გენეტიკური კლონირების ნაყოფია. ის მუტაციის შედეგად წარმოიშვა. შესაძლოა, ეხნატონი მარფანის სინდრომითაც იტანჯებოდა, რაც სახის დაბოლოების დაგრძელებას იწვევს, თითების გადასხვაფერებას და ქალის ჰორმონების მოჭარბებას. ფროლიხის სინდრომი, რომელიც ცხიმებს აგროვებს მამაკაცის სათესლე პარკებში, ხოლო თეძოებს ქალივით ამრგვალებს, მოსალოდნელია, სტანჯავდა ეხნატონს. პირველი სინდრომით დაავადებული მამაკაცები, როგორც წესი, იმპოტენციით იტანჯებიან, ხოლო ფროლიხის სინდრომი უშვილობის პირველი მაპროვოცირებელი ფაქტორია. როგორც ისტორიული ქრონიკები იუწყებიან, ეხნატონს არც ერთი აწუხებდა და არც მეორე. ის გამოირჩეოდა განსაკუთრებული მამაკაცურობით, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ჰარემი, ორი ოფიციალური ცოლი და ათობით შვილი. ულამაზესმა ნეფერტიტმა მას 6 გოგონა აჩუქა.

ტუტანჰამონი ფარაონის მეორე ცოლის – კიიას ვაჟი, რომლის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, სავარაუდოდ, გვარის გამგრძელებელი იყო.

უფოლოგები მიიჩნევენ, რომ ეხნატონი უცხოპლანეტელთა ექსპერიმენტის შედეგია და ცდილობენ მიაღწიონ ეგვიპტის ხელისუფლების თანხმობას შეისწავლონ ეხნატონის გვამის ნაშთების დნმ ამ ვარაუდების დასამტკიცებლად.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ამ კვირაში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. არ არის გამორიცხული გარკვეული წინსვლა გქონდეთ სამსახურში.

**კურო** – კვირის დასაწყისში მოგიწევთ საქმიანი წინადადებების განხილვა, სადაც თქვენ გარდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფიც მიიღებს მონაწილეობას.

**ტყუპები** – ყურადღების ცენტრში მოექცევით და თქვენ გარშემო მიმდინარე პროცესებშიც აქტიურად მოგიწევთ ჩართვა.

**კირჩხიბი** – საინტერესო კვირა გელით. თუ შეძლებთ და საკუთარ ჩანაფიქრებს კონკრეტულ მიზნამდე დაიყვანთ და ამასთან ქმედით ნაბიჯებსაც გადადგამთ, მაშინ მოახერხებთ სერიოზული და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას.

**ლომი** – ამ პერიოდში შესაძლებელია მგზავრობა მოგიწიოთ. ამასთან, საინტერესო წინადადებების განხილვაც მოგიწევთ.

**ქალწული** – შესაძლოა შეიტყოთ ახალი ინფორმაცია, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. არ არის გამორიცხული ეს დაკავშირებული იყოს სამსახურთან.

**სასწორი** – მიმდინარე კვირაში მოსალოდნელია, გარკვეული გადაფასებების გაკეთება და ახალი საქმეების დაგეგმარება მოგიხდეთ.

**მორიელი** – იყავით აქტიური და უკვე არჩეულ მიზანს მიზანმიმართულად მიჰყევით, თუმცა, გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე.

**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია, გაგიუარესდეთ ემოციური მდგომარეობა და ნერვული სისტემაც დაგეძაბოთ. ამის მიზეზი ისევ და ისევ თავად იქნებით.

**თხის რქა** – ეს კვირა ჩვეულებრივ ტემპში წარიმართება და საქმიანი აქტივობა საშუალოზე მაღალი იქნება, რაც, სხვათა შორის, გაზრდის თქვენს პროდუქტიულობას.

**მერწყული** – არ არის გამორიცხული, ძლიერი ემოციური დატვირთვები გქონდეთ, თუმცა ეს უფრო ახლობელთა პრობლემების გამო წარმოიშვება. ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით.

**თევზები** – მოსალოდნელია თქვენი საქმიანობის ან ბიზნესის რეფორმირება მოგიწიოთ და ამაში თქვენი ახლობლები და კომპანიონებიც იქნებიან ჩართული. იქნება იმის ალბათობაც, რომ მოგიწიოთ სახელმწიფო ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობა.

## ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

1.დოსტოევსკი. 2. კომბალი. 3. კონტინენტი. 4. მეტლახი. 5. ანაპურნა. 6. პანა. 7. კოსმოდრომი,. 8. ვადუცი. 9. დისკრიმინაცია. 10. ცაიტნოტი. 11. ტუბეროზა. 12. ვიკონტი. 13. ბიკინი. 14. სტოკერი. 15. ფესვები. 16. კატო. 17. ნოტი. 18. გორიო. 19. შალკე. 20. ჩითილი. 21. შეთე. 22. რურკი. 23. შამოტი. 24. ნაცია. 25. ტრიპლეტი. 26. სარკოფაგი. 27. მელანი. 28. ჟივილი. 29. ცერცეტი. 30. როსტევან. 31. იდები. 32. ტერფი. 33. ალანია. 34. რაფსოდია. 35. რუქნადინი. 36. ლადა. 37. დიორამა. 38. უაიტი. 39. ლობიო. 40. ოსტატი. 41. ჯერალდი. 42. აბორტმახერი. 43. პასტილა. 44. ტარბი. 45. ლესი. 46. დინი. 47. ბომბორა. 48. დონ. 49. ბონი. 50. ბილიაში. 51. ლომბარდია. 52. ვალერიანა. 53. ანდრეი. 54. ტიტული. 55. მოლოხი. 56. რეი. 57. კინშასა. 58. კაბირია. 59. არისტოტელე. 60. სულგუნი. 61. სოიო. 62. პრერია. 63. პიზა. 64. აზიზა. 65. ტარიგი. 66. განძელი. 67. მარულა.

ISSN 2233-3983
9 772233 398001

## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63